ახალ სოფლისათვის

ლიტერ
1929-1930

1

ოქტომბერი

ს.ს.ს.რ. განსახკომი 1929-30 ტფილისი

...ელისმოსწავლეთა საყურადღებოდ.

...�ულ წელს, ამ წლიდანაც ხელისმოწერა ჟურნალზე ...რიდან ოქტომბრამდე და ისევ „დაუხწრებელ“ ...საღლით. ამის გამო ჟურნალი წრეულსაც ეღირება წელიწადში (12 ნომერი, დამატებით) 5 **მანეთი.**

ერთ წელზე ნაკლები ვადით ჟურნალის გამოწერა არ შეიძლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუხწრებელი კურსების“ მახალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ჟურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწეროონ ჟურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ეალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღდებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ სრულ ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, ჟურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ ჟურნალი. ვთხოვთ გამოწერისას სრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მიხედვით.

ხელმძღვანელი კოლეგია.

ს.ს.ს.რ. ბანათლების სახალხო კომისარიატის
ყოვლითვიური პედაგოგიური ჟურნალი
წელ. VII

ახალ სკოლისაკენ

4881

1 (50)
ოქტომბერი
1929-30

ლენინი

ოქტომბრის
12 წელი



სტალინი

დიდი გარდატეხის წელი

გასული წელი ხასიათდება დიდი გარდატეხით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს გარდატეხა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გადამწყვეტი შეტევის ნიშნით. ამ შეტევის დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან უკვე მოგვცა გადამწყვეტი შედეგები ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის (რეკონსტრუქციის) ძირითად დარგებში.

აქედან აშკარაა, რომ პარტიამ უკან დახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ სტადიებში მიზანშეწონილად გამოიყენა იმისათვის, რომ მის შემდგომ სტადიებში მოეწყო გარდატეხა და განევითარებინა წარმატებითი შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს ამბობდა:

> „ჩვენ ახლა უკან ვიხევთ, მაგრამ ამას ჩავდიგართ იმისათვის, რომ ჯერ დავიხიოთ, შემდეგ კი უფრო ძლიერათ გავიქცეთ და გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავიხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების დროს... რომ უკან დახევის შემდეგ დავიწყოთ მედგარი შეტევა წინ“ (ტომი 18, ნაწილი 2, გვერდი 103).

გასული წლის შედეგები ნათლად ააშკარავებს, რომ პარტია წარმატებით ასრულებს თავის მუშაობაში ლენინის ამ გადამწყვეტ მითითებას.

თუ ავიღებთ გასული წლის შედეგებს სამეურნეო მშენებლობაში, რასაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფრონტზე ჩვენი შეტევის წარმატებანი, ჩვენი მიღწევები გასული წლის განმავლობაში შეიძლება სამ ძირითად მომენტში გავაერთიანოთ:

1. შრომის ნაყოფიერების დარგში.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ გასულ წელს ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, თუ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს არა, ის გარემოება წარმოადგენს, რომ ჩვენ მივაღწიეთ გადამწყვეტ გარდატეხას შრომის ნაყოფიერების დარგში. ეს გარდატეხა გამოიხატა მუშათა კლასის მილიონიანი მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლაში და მძლავრ შრომითს აღფრთოვანებაში სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ამაშია ჩვენი პირველი და ძირითადი მიღწევა გასული წლის განმავლობაში.

მასების შემოქმედებითი ინიციატივის და შრომითი აღფრთოვანების გაშლა სამი ძირითადი ხაზით ხდებოდა: ა) თვითკრიტიკის საშუალებით ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, რომელიც ბოჭავს მასების შრომის ინიციატივას და შრომის დისციპლინას; ბ) სოციალისტური შეჯიბრების საშუალებით ბრძოლა მუშაობის გამცდენებთან, რომლებიც ძირს უთხრიან პროლეტარულ შრომის დისციპლინას და, ბოლოს, გ) განუწყვეტელი საწარმოო კვირის საშუალებით ბრძოლა რუტინასთან და უმოძრაობასთან წარმოებაში.

ამის შედეგათ გვაქვს მიღწევა შრომის ფრონტზე მუშათა კლასის მილიონიანი მასების შრომითი ენტუზიაზმის, ერთმანეთის შრომაში გამოწვევის სახით ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხეში. ამ მიღწევის მნიშვნელობა კი ჭეშმარიტად დაუფასებელია, რადგან მხოლოდ მილიონიანი მასების შრომითს აღტყინებას, შრომითს ენტუზიაზმს შეუძლია უზრუნველჰყოს შრომის ნაყოფიერების ის თანდათანობითი ზრდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე.

„შრომის ნაყოფიერება, — ამბობს ლენინი, — საბოლოოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ყველაზე უფრო მთავარია ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა ისეთი შრომის ნაყოფიერება, რომელიც წარმოუდგენელი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ დამარცხებული იქნება იმით, რომ სოციალიზმი შექმნის ახალ გაცილებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას“.

გამოდის რა აქედან, ლენინი ამბობს, რომ:

„ჩვენ უნდა გავიმსჭვალოთ იმ შრომითი ენტუზიაზმით, იმ შრომითი ნებისყოფით, სიმტკიცით, რომელზეც ახლა დამო-

კიდებულია მუშების და გლეხების სასწრაფოდ გადარჩენა, სახალხო მეურნეობის გადარჩენა“.

ასეთია ამოცანა, რომელიც ლენინმა დაუსახა პარტიას.

გასულმა წელმა დაგვანახვა, რომ პარტია წარმატებით ასრულებს ამ ამოცანას და გადაჭრით სძლევს ყველა დაბრკოლებას, რომელიც მას გზაზე ეღობება.

ასეთი მდგომარეობაა პარტიის გასული წლის პირველი მნიშვნელოვანი მიღწევის მხრივ.

2. მრეწველობის მშენებლობის დარგში.

პარტიის ამ პირველ მიღწევებთან მჭიდრო კავშირი აქვს მის მეორე მიღწევას. პარტიის ეს მეორე მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ გასულ წელს ჩვენ დადებითად გადავწყვიტეთ მძიმე მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო თანხების დაგროვების პრობლემები, გაძლიერებული ტემპი ავიღეთ წარმოების საშუალებათა დასამზადებლად და შევქმენით პირობა ჩვენი ქვეყნის ლითონის ქვეყნად გადაქცევისათვის. ამაშია ჩვენი მეორე ძირითადი მიღწევა გასული წლის განმავლობაში.

მსუბუქი ინდუსტრიის პრობლემა არ წარმოადგენ განსაკუთრებულ სიძნელეს. ის უკვე გადავწყვიტეთ რამდენიმე წლის წინად. უფრო მძიმე და უფრო მნიშვნელოვანია მძიმე ინდუსტრიის პრობლემა. უფრო მძიმეა, რადგან ის მოითხოვს დიდ თანხებს, ამასთან, როგორც ამას მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნების ისტორია ამტკიცებს, მძიმე ინდუსტრიისათვის აუცილებელია გრძელვადიანი დიდი სესხები. ეს პრობლემა უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თუ არ განვითარდა მძიმე მრეწველობა, ჩვენ ვერ შევსძლებთ ვერავითარი მრეწველობის მოწყობას, ვერ შევსძლებთ ვერავითარი ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას. მაგრამ ვინაიდან არა გვქონია და არა გვაქვს არც გრძელვადიანი სესხები, არც ცოტად თუ ბევრად გრძელვადიანი კრედიტები, ამიტომ პრობლემის სიმწვავე ჩვენთვის უფრო აშკარა ხდება.

სწორედ აქედან გამოდიან ყველა ქვეყნების კაპიტალისტები, როდესაც უარს გვეუბნებიან სესხსა და კრედიტებზე; ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ საკუთარი ძალებით ვერ გადავწყვეტთ თანხების დაგროვების პრობლემას, კისერს მოვიტეხთ მძიმე ინდუსტრიის რეკონსტრუქციის საკითხზე და იძულებული გავხდებით მივიდეთ მათთან და დავთანხმდეთ ყოველგვარ პირობაზე.

რას გვეუბნება ამ საკითხის შესახებ გასული წლის შედეგები? გასული წლის შედეგების მნიშვნელობა იმაშია, რომ მათ მტკიცედ აქციეს ბატონ კაპიტალისტების ანგარიშები. გასულმა წელმა დაამტკიცა, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის აშკარა და ფარული ფინანსიური ბლოკადისა, ჩვენ არ დავემონეთ კაპიტალისტებს და ჩვენივე საკუთარი ძალებით წარმატებით გადავწყვიტეთ თანხების დაგროვების პრობლემა, რითაც საფუძველი ჩავუყარეთ მძიმე ინდუსტრიას. ამის უარყოფა ახლა არ შეუძლიათ მუშათა კლასის დაუძინებელ მტრებსაც კი. მართლაც, თუ კაპიტალური დაბანდებანი მსხვილ მრეწველობაში შარშან შეადგენდა მილიარდ რვაას მილიონ მანეთზე მეტს, ამასთან მილიარდ სამასი მალიონი მანეთი დაბანდებული იყო მძიმე მრეწველობაში, წელს კაპიტალური დაბანდებანი მსხვილ მრეწველობაში სამ მილიარდ ოთხას მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. აქედან ორ მილიარდ ექვსას მილიონ მანეთზე მეტი მოდის მძიმე მრეწველობაზე; თუ მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია შარშან 23 პროცენტით გაიზარდა, ამასთან მძიმე მრეწველობაში ეს ზრდა 30 პროცენტით გამოიხატა, წელს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 32 პროცენტით უნდა გაიზარდოს. მძიმე მრეწველობაში კი ზრდა უნდა გამოიხატოს 43 პროცენტით. აქედან განა აშკარა არ არის, რომ თანხების დაგროვება მძიმე მრეწველობის ასაშენებლად არ წარმოადგენს ჩვენთვის გადაულახავ სიძნელეს? როგორ შეიძლება ეჭვი შეიტანო იმაში, რომ ჩვენ წინ მივდივართ აჩქარებული ნაბიჯით ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარების ხაზით, წინ ვუსწრებთ ძველ ტემპებს და უკან ვიტოვებთ ჩვენს „მუდმივ“ ჩამორჩენილობას,

ყოველივე ნათქვამის შემდეგ განა გასაკვირალია, რომ ხუთწლიანი გეგმის ნავარაუდევ რაოდენობას განვლილ წელს გადავაჭარბეთ, ხოლო ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტი, რომელსაც ბურჟუაზიული კალმოსნები „მიუწვდომელ ფანტასტიკად“ სთვლიდნენ და რომელიც შიშს გვრიდა ჩვენს მემარჯვენე ოპორტუნისტებს (ბუხარინის ჯგუფი), ნამდვილად გადაიქცა ხუთწლიანი გეგმის მინიმალურ ვარიანტად?

„ჩვენ ვიცით, — ამბობდა ლენინი, — რომ ხსნას რუსეთისათვის წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, ეს კიდევ ცოტაა, არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც გლეხობას აწვდის მოხმარების საგნებს, ესეც კიდევ ცოტაა, ჩვენ გვესაჭიროება მძიმე ინდუსტრია. თუ არ ვუშველეთ მძიმე ინდუსტრიას, თუ

არ აღვადგინეთ ის, ჩვენ ვერ შევსძლებთ ვერავითარი მრეწ-ველობის აშენებას. უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. მძიმე ინდუსტრიას ესა-ჭიროება სახელმწიფო სუბსიდიები. თუ ვერ გამოვნახავთ ამ სუბსიდიებს, ჩვენ, როგორც ცივილიზაციური სახელმწიფო,— მე უკვე აღარ ვამბობ სოციალისტური სახელმწიფო — დავი-ღუპებით".

აი, როგორ მკვეთრ ფორმულაში აყალიბებს ლენინი დაგროვე-ბის პრობლემას და პარტიის ამოცანას მძიმე მრეწველობის ასაგებად.

განვლილმა წელმა გვიჩვენა, რომ პარტია წარმატებით უძღვე-ბა ამ ამოცანას, იგი გადაჭრით სძლევს ყველა და ყოველგვარ სიძნე-ლეს ამ გზაზე.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ მრეწველობას აღარ ექნება სერიოზული სიძნელეები. მძიმე ინდუტრიის აგების ამოცანა უკავშირდება არა მარტო დაგროვების პრობლემას, იგი უკავშირ-დება კიდევ კადრების პრობლემას; ეს პრობლემაა: 1) საბჭოთა ნი-ადაგზე მდგომი ათი ათასოსით ტექნიკოსების და სპეციალისტების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და 2) ახალი წითელი ტექნი-კოსების და წითელი სპეციალისტების მომზადება მუშათა კლასის წრიდან. თუ დაგროვების პრობლემა მთავარ ნაწილში გადაწყვეტი-ლად შეიძლება ჩაითვალოს. კადრების პრობლემა ჯერ კიდევ მოელის გადაწყვეტას. ხოლო კადრების პრობლემა ახლა მრეწველობის ტექ-ნიკური რეკონსტრუქციის პირობებში სოციალისტური მშენებლობის გადამჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

მთავარი რამ, — ამბობდა ლენინი; — რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტუროსნობა და მართვა-გამგეობის ცოდნა. ახალი ეკონო-მიური პოლიტიკა ეკონომიურად და პოლიტიკურად სავსებით უზ-რუნველყოფს საძირკველის აგებას სოციალისტური ეკონომიკისათვის. საქმე „მხოლოდ" პროლეტარიატის და მისი ავანგარდის კულტუ-რულ ძალებშია (ლენინის კრებული 8, გვერდი 68).

ცხადია, რომ აქ ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, „კულტუ-რული ძალების" პრობლემაზე, კადრების პრობლემაზე სამეურნეო მშენებლობისათვის საერთოდ, მშენებლობისა და მრეწველობის მმარ-თველობისათვის განსაკუთრებით.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ, მიუხედავად მეტად სერიოზული მიღწევებისა დაგროვების დარგში, რომლებსაც არსებითი მნიშვნე-ლობა აქვთ მძიმე ინდუსტრიისათვის, მძიმე ინდუსტრიის აგების

პრობლემა არ შეიძლება სავსებით გადაჭრილად ჩაითვალოს, სანამ არ გადაწყდება კადრების პრობლემა.

აქედან პარტიის ამოცანას შეადგენს—უშუალოდ შეუდგეს კადრების პრობლემის გადაწყვეტას და დაეუფლოს ამ ციხე-სიმაგრეს, რათაც გინდა დაუჯდეს.

ასეთია პარტიის მეორე მიღწევა განვლილ წელს.

3. სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში.

ბოლოს, პარტიის იმ მესამე მიღწევის შესახებ განვლილ წელს, რომელიც ორგანიულად არის დაკავშირებული ორ პირველ მიღწევასთან. აქ ლაპარაკია ძირითად გარდატეხაზე ჩვენი მიწათმოქმედების განვითარებაში: წვრილი, ჩამორჩენილი ინდივიდუალური მეურნეობის გადაყვანა მსხვილ მოწინავე კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე, მიწის ერთად დამუშავება, მანქანა-ტრაქტორების სადგურების, არტელების და კოლმეურნეობათა მოწყობა, რომლებიც ემყარებიან ახალ ტექნიკას და, ბოლოს, გიგანტ საბჭ. მეურნეობების შექმნა, რომლებიც ასეული ტრაქტორებით და კომბაინებით არიან შეიარაღებულნი. პარტიის მიღწევა იმაში მდგომარეობს რომ გლეხობის ძირითადი მასები მთელ რიგ რაიონში ძველი კაპიტალისტური გზით განვითარებიდან, — რომლითაც, სარგებლობენ მხოლოდ მდიდრები, კაპიტალისტების ხროვა, გლეხობის უდიდესი უმრავლესობა კი სიღატაკეში ღაფავს სულს, —ჩვენ გადავიყვანეთ განვითარების ახალ სოციალისტურ გზაზე, რომელიც ავიწროებს მდიდრებს, კაპიტალისტებს; საშუალო და ღარიბ გლეხებს კი აიარაღებს ახალი საშუალებებით, აიარაღებს ახალი იარაღით, აიარაღებს ტრაქტორებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რომ მათ თავი დააღწიონ სიღარიბეს, კულაკის მონობას და დაადგნენ მიწის ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების ფართო გზას.

პარტიის მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ეს ძირითადი გარდატეხა მოვახდინეთ თვით გლეხობის ფართო ფენებში და გავიყოლიეთ ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასები მიუხედავად არაჩვეულებრივ სიძნელეთა, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა ყველა და ყოველგვარი ბნელი ძალების მხრივ, დაწყებული კულაკებით და მღვდლებით და გათავებული ფილისტერებით და მემარჯვენე ოპორტუნისტებით.

აი, ზოგიერთი ციფრი: 1928 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი სივრცე შეადგენდა 1.425.000 ჰექტარს, რომლის მარცვლე-

ულის სასაქონლო პროდუქცია 6 მილიონ ცენტნერზე მეტს უდრიდა (36 მილიონ ფუთზე მეტს), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი სივრცე შეადგენდა 1.390.000 ჰექტარს, რომლის მარცვლეულის პროდუქცია 3 მილიონ ფუთს უდრიდა. 1929 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი სივრცე შეადგენდა 1.816.000 ჰექტარს, რომლის მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია 8 მილიონ ცენტნერს უდრიდა (დაახლოვებით 48 მილიონი ფუთი), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი სივრცე შეადგენდა 4.262.000 ჰექტარს, რომლის მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია დაახლოვებით 13 მილიონ ცენტნერს უდრიდა (დაახლოვებით 78 მილიონი ფუთი). მომავალ 1930 წელს საბჭოთა მეურნეობის ნათესი სივრცე, საკონტროლო ციფრებით, უნდა შეადგენდეს 1.280.000 ჰექტარს, რომლის მარცვლეულის პროდუქცია 18 მილიონ ცენტნერს უნდა უდრიდეს (დაახლოვებით 110 მილიონი ფუთი), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი სივრცე უნდა შეადგენდეს 14 მილიონ ჰექტარს, რომლის მარცვლეულს სასაქონლო პროდუქცია უნდა უდრიდეს დაახლოვებით 49 მილიონ ცენტნერს (დაახლოვებით 300 მილიონ ფუთს). სხვანაირად რომ ვთქვათ, მომავალ 1930 წელს მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში უნდა შეადგენდეს 400 მილიონ ფუთზე მეტს, ე. ი. მთელი სოფლის მეურნეობის მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის 50 პროცენტზე მეტს (სოფლის გარეშე ბრუნვა).

უნდა აღვიაროთ, რომ განვითარების ასეთი სწრაფი ტემპი არ იცის ჩვენმა სოციალიზაციაქმნილმა მსხვილმა მრეწველობამაც კი, რომლის განვითარების ტემპები საერთოდ ვანირჩევიან თავისი დიდი სისწრაფით.

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდა სოციალისტურ მიწათმოქმედებას (კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი) დიდი მომავალი აქვს, რომ იგი ზრდის სასწაულს გამოიჩენს?

ეს არაჩვეულებრივი წარმატება კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში აიხსნება სხვადასხვა მიზეზით, რომელთაგან შემდეგი მაინც უნდა აღვნიშნოთ. ეს წარმატება აიხსნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ პარტია ანხორციელებდა მასების აღზრდის ლენინურ პოლიტიკას და კოოპერატიული საზოგადოებრიობის დამკვიდრების საშუალებით თანდათანობით მიჰყავდა მასები კოლმეურნეობისაკენ. ეს აიხსნება აგრეთვე იმით, რომ პარტია წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას როგორც იმათთან, ვინც ცდილობდა გაესწრო მოძრაობისათვის და დეკრეტებით მოეწესრიგებია კოლმეურნეობათა განვითარება („მემარცხენე“ ფრაზიორები), ისე იმათთან, ვინც უკან ეწეოდა

პარტიას და ცდილობდა კუდში მოქცეოდა მოძრაობას (მემარჯვენე ოპორტუნისტები).

ასეთი პოლიტიკის გარეშე პარტია ვერ შესძლებდა გადაექცია კოლმეურნეობათა მშენებლობა თვით გლეხობის ნამდვილ მასიურ მოძრაობად.

„როდესაც პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ძალაუფლებას თავის ხელში იღებდენ,—ამბობს ლენინი—მათ მშვენივრად იცოდენ, რომ მშენებლობას სოფლად დიდი დაბრკოლებები გადაეღობება, რომ აქ საჭიროა უფრო თანდათანობით მოქმედება, რომ აქ დეკრეტებით და კანონებით მიწის საზოგადოებრივად დამუშავების ცდა უდიდესი უაზრობა იქნებოდა, რომ ამას დასთანხმდებოდა მხოლოდ შეგნებულთა უმნიშვნელო რიცხვი, ხოლო გლეხობის უდიდეს უმრავლესობას ეს ამოცანა არ წამოუყენებია. ამიტომაც ჩვენ ვჯერდებოდით მხოლოდ იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში არ ვუსწრებდით წინ მასების განვითარებას, არამედ ვუცდიდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილებით, მათი საკუთარი ბრძოლის ამ მეთხებით, მოძრაობა წინ არ წავიდოდა“.

(ლენინი. ტომი 15, გვ. 500).

თუ პარტიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა კოლმეურნეობათა მშენებლობის ფრონტზე, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ იგი სწორედ ასრულებდა ლენინის ამ ტაქტიკურ მითითებას. მეორეს მხრივ, ეს არაჩვეულებრივი წარმატება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის საქმეში კიდევ იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ გაითვალისწინა, რომ გლეხობას თანდათან უფრო ესაჭიროება ახალი ინვენტარი, ახალი ტექნიკა, მან სწორედ გაითვალისწინა, რომ მიწის დამუშავების ძველი ფორმების დროს გლეხობა გამოუვალ მდგომარეობაში დარჩებოდა, და, გაითვალისწინა. რა ყოველივე ეს, თავის დროზე მოაგვარა გლეხობისათვის დახმარების გაწევის საქმე—მოაწყო გასაქირავებელი პუნქტები, სატრაქტორო კოლონები, მანქანა-ტრაქტორების სადგურები, შემოიღო მიწის საზოგადოებრივად დამუშავება, დაამკვიდრა კოლმეურნეობანი და, დასასრულ, საბჭოთა მეურნეობების ძალებით მოაწყო გლეხური მეურნეობისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საქმე. კაცობრიობის ისტორიაში ქვეყანაზე პირველად გამოჩნდა ისეთი ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ იგი მზად არის და შე-

უძლია გაუწიოს გლეხობის მშრომელ მასებს სისტემატიური და ხანგრძლივი საწარმოო დახმარება. განა ცხადი არ არის, რომ გლეხობის მშრომელ მასებს, რომელნიც მუდამ განიცდიდენ ინვენტარის დიდ ნაკლებობას, არ შეეძლოთ არ ჩასჭიდებოდენ ამ დახმარებას და არ დასდგომოდენ კოლმეურნეობათა მშენებლობის გზას, და განა გასაკვირველი იქნება, რომ მუშათა ძველ ლოზუნგს „პირით სოფლისაკენ“ ამიერიდან შეიძლება დაემატოს კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხთა ლოზუნგი „პირით ქალაქისაკენ“?

ეს არაჩვეულებრივი წარმატება კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში აიხსნება, დასასრულ, იმითაც, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშებმა. მე ვგულისხმობ მუშათა ბრიგადებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მთავარ რაიონებში ათობით და ასობით არიან გაფანტულნი. უნდა აღვიაროთ, რომ კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობის არსებულ და შესაძლებელ პროპაგანდისტთა შორის მუშა-პროპაგანდისტები საუკეთესო პროპაგანდისტებს წარმოადგენენ გლეხთა მასებში. რაღა გასაკვირველია, თუ მუშებმა გლეხები დაარწმუნეს, რომ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობას წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე უპირატესობა აქვს, მით უმეტეს, რომ არსებული კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი ამ უპირატესობის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ.

აი, რა ნიადაგზე გაიზარდა ჩვენი მიღწევა კოლექტიურ-მეურნეობრივი მშენებლობის დარგში, მიღწევა, რომელიც, ჩემის აზრით, უკანასკნელი წლების მიღწევათა შორის უმნიშვნელოვანეს და უაღრესად გადამწყვეტ მიღწევას წარმოადგენს.

განიავდა და მტვრად იქცა „მეცნიერების“ საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია და მიზანშეუწონელი 50—100 ათასი ჰექტარის მოსავლისათვის გათვალისწინებული მარცვლეულის მსხვილი ფაბრიკების მოწყობა. პრაქტიკამ დაარღვია „მეცნიერების“ საბუთები და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მარტო პრაქტიკამ კი არ უნდა ისწავლოს „მეცნიერებისაგან“, არამედ „მეცნიერებისათვისაც“ ზედმეტი არ იქნება, რომ პრაქტიკისაგან ისწავლოს რამე. კაპიტალისტურ ქვეყნებში ვერ ხეირობენ მარცვლეულის მსხვილი გიგანტი ფაბრიკები. მაგრამ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური არ არის. ეს „პატარა“ განსხვავება არ უნდა დავივიწყოთ. იქ, კაპიტალისტების ქვეყანაში, მარცვლეულის მსხვილი ფაბრიკა ვერ მოეწყობა, თუ კაცი მიწის სხვადასხვა ნაკვეთებს არ შეისყიდის და მიწის აბსოლუტურ რენტას არ გადაიხდის, რაც წარმოებას უდიდესი ხარჯებით

დატვირთავს, ვინაიდან იქ კერძო საკუთრება არსებობს. ჩვენში კი, პირიქით, არც მიწის აბსოლუტური რენტა არსებობს, არც მიწის ნაკლებობის ყიდვა-გაყიდვა, რამაც მსხვილი მარცვლეული მეურნეობის განვითარებას აუცილებლად უნდა შეუქმნას ხელსაყრელი პირობები, ვინაიდან ჩვენში მიწის კერძო საკუთრება არ არსებობს. იქ, კაპიტალისტების ქვეყანაში, მსხვილ მარცვლეულ მეურნეობათა მიზანს შეადგენს მოგების მაქსიმუმის მიღება ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მოგების მიღება, რომელიც შეესაბამება მოგების ეგრედწოდებულ საშუალო ნორმას, უამისოდ, საერთოდ რომ ვთქვათ, კაპიტალს არავითარი ინტერესი არა აქვს მარცვლეული მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში ჩაებას. ჩვენში, პირიქით, მსხვილ მარცვლეულ მეურნეობებს, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მეურნეობებს წარმოადგენენ, თავის განვითარებისათვის არც მოგების მაქსიმუმი სჭირდებათ, არც მოგების საშუალო ნორმა; მათ შეუძლიათ დასჯერდენ მოგების მინიმუმს, ზოგჯერ კი ყოველგვარ მოგებასაც შეელიონ, რაც ისევ და ისევ ხელსაყრელ პირობებს უქმნის მსხვილი მარცვლეული მეურნეობის განვითარებას.

ბოლოს, კაპიტალიზმის ქვეყანაში მსხვილი მარცვლეული მეურნეობისათვის არც განსაკუთრებული შეღავათიანი კრედიტები არსებობს, არც განსაკუთრებული შეღავათიანი გადასახადები, მაშინ, როდესაც საბჭოთა წესების თანახმად, რომლებიც გულისხმობენ სოციალისტური სექტორის დახმარებას, ასეთი შეღავათი არსებობს და იარსებებს. ყოველივე ეს დაივიწყა პატივცემულმა „მეცნიერებამ“.

განიავდა და მტვრად იქცა მემარჯვენე ოპორტუნისტების (ბუხარინის ჯგუფი) მტკიცება იმის შესახებ, რომ ა) გლეხები კოლექტიურ მეურნეობაში არ შევლენ, რომ ბ) კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების გაძლიერებულ ტემპს შეუძლია მასიური უკმაყოფილება გამოიწვიოს და გლეხობა მუშათა კლასს დააშოროს, რომ გ) სოფლად სოციალისტური განვითარების „მთავარ გზას“ კოლექტიური მეურნეობა კი არა, არამედ კოოპერაცია წარმოადგენს, რომ დ) კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევას ქვეყნის უპუროდ დატოვება შეუძლია. ყოველივე ეს განიავდა და მტვრად იქცა, როგორც ძველი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ნაგავი.

ჯერ **ერთი,**—გლეხები კოლექტიურ მეურნეობაში შევიდენ, შევიდენ მთელი სოფლები, თემები და რაიონები.

მეორე, — მასიური კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობა კი არ ასუსტებს, არამედ ამაგრებს გლეხობისა და მუშათა კლასის კავშირს

და მას ახალ საწარმოო ბაზას უქმნის. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ თუ გლეხობის ძირითად მასებში რაიმე სერიოზული უკმაყოფილება არსებობს, ამ უკმაყოფილებას იწვევს არა საბჭოთა ხელისუფლების კოლექტიურ-მეურნეობრივი პოლიტიკა, არამედ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება კვალდაკვალ ვერ მისდევს კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობის ზრდას გლეხობისათვის მანქანებისა და ტრაქტორების მიწოდების მხრით.

მესამე,—დავა სოფლის სოციალისტური განვითარების „მთავარი გზის“ შესახებ სქოლასტიური დავაა, რომელიც აიხენვალდისა და სლეპკოვის ტიპის ახალგაზრდა წვრილ-ბურჟუაზიულ ლიბერალებს შეეფერებათ. ცხადია, სანამ მასიური კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობა არ არსებობდა, „მთავარ გზას“ წარმოადგენდა კოოპერაციის დაბალი ფორმები—მიმწოდებელი და გამსაღებელი კოოპერაცია, ხოლო როდესაც სარბიელზე კოოპერაციის უმაღლესი ფორმა, კოლექტიური მეურნეობა, გამოვიდა განვითარების „მთავარ გზად“ ეს უკანასკნელი გადაიქცა. ფრაზილები რომ არ ვიხმაროთ, სოფლის სოციალისტური განვითარების მთავარ გზას წარმოადგენს ლენინის კოოპერატიული გეგმა, რომელიც შეიცავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ფორმას, დაბალი ფორმებიდან (მიმწოდებელ-გამსაღებელი) უმაღლეს ფორმებამდე (საწარმოო კოლექტიურ-მეურნეობრივი). კოლექტიური მეურნეობისა და კოოპერაციის დაპირდაპირება ლენინიზმის აბუჩად აგდებასა და საკუთარი უმეცრების დადასტურებას ნიშნავს.

მეოთხე,—ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გარეშე კოლექტიური და საბჭოთა-მეურნეობრივი მოძრაობის განვითარების გარეშე, ჩვენ ახლა ვერც მიმდინარე წლის გადამწყვეტი წარმატება გვექნებოდა პურის დამზადების საქმეში, ვერც ის ხელუხლებელი ათეული მილიონი პურის მარაგი, რომელიც უკვე დაგროვდა სახელმწიფოს ხელში, უფრო მეტიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიურ-საბჭოთა ურნეობრივი მოძრაობის ზრდის წყალობით, პურის კრიზისს საბოლოოდ თავს ვაღწევთ ან უკვე დავაღწიეთ. თუ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობა გაძლიერებული ტემპით განვითარდება, საფუძველი არა გვაქვს დავეჭდვეთ, რომ ჩვენი ქვეყანა სამიოდე წლის შემდეგ მთელს მსოფლიოში პურის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად გადაიქცევა, თუ პურის ყველაზე ძლიერ ქვეყნად არა.

რა არის ახალი დღევანდელ კოლექტიურ-მეურნეობრივ მოძრაობაში? დღევანდელ კოლექტიურ-მეურნეობრივ მოძრაობაში ახალი

ის არის, რომ კოლექტიურ მეურნეობებში გლეხები შედიან არა ცალ-ცალკე ჯგუფებად, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მთელ სოფლებად, თემებად, რაიონებად და ოლქებადაც კი. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტიურ მეურნეობაში საშუალო გლეხი შევიდა. სწორედ ეს შეადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირითადი გარდატეხის საფუძველს, რომელიც განვლილ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს.

ნიავდება და ნაცარ-მტვრად იქცევა ტროცკიზმის მენშევიკური „კონცეპცია" იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს არ ძალუძს გლეხობის ძირითადი მასები გაიყოლიოს სოციალისტური მშენებლობის გზით. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ საშუალო გლეხმა პირი კოლექტიური მეურნეობისაკენ იბრუნა. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ხუთწლიანი გეგმაა, რომ იმ პირებს, რომლებსაც არ სწამთ სოციალიზმის შექმნის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში, უფლება არა აქვთ ჩვენს ხუთწლიან გეგმას მიესალმონ.

ნიავდება და მტვრად იქცევა უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ, რომ საბჭოთა კავშირში აღსდგეს კაპიტალიზმი, — „კერძო საკუთრების საღმრთო პრინციპი". გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის საჭირო ნიადაგის გამანოყიერებელ მასალად სთვლიან, „კერძო საკუთრების" ქებულ დროშას მასიურად სტოვებენ და კოლექტივიზმის, სოციალიზმის ნიადაგზე გადადიან. ნიავდება კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

სხვათა შორის, ამით აიხსნება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების თავგანწირული ცდა — შეტევაზე გადასული სოციალიზმის წინააღმდეგ მთელი ქვეყნის ძალები აამხედრონ; ეს ცდა კლასთა ბრძოლის გამწვავებას იწვევს. არ სურს კაპიტალიზმს სოციალიზმს „შეეზარდოს".

ამავე მიზეზებით უნდა ავხსნათ ის გაბოროტებული ღმუილი, რომელიც უკანასკნელ დროს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ასტეხეს კაპიტალის ქოფაკმა ძაღლებმა—ყოველგვარმა სტრუვეებმა, ჰესენებმა, კერენსკებმა, დანებმა და აბრამოვიჩებმა. განა ადვილი სათქმელია: ეკარგებათ კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

კიდევ რას უნდა ადასტურებდეს კლასობრივი მტრების ეს ცოფმორეული გაბოროტება. კაპიტალის ლაქიების ეს გამწარებული ღმუილი, თუ არა იმას, რომ პარტიამ მართლაც გადამწყვეტი გა-

მარჯვება მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველაზე ძნელ ფრონტზე.

„მხოლოდ მაშინ,—ამბობს ლ ე ნ ი ნ ი,—თუ საქმით დაჯუმტკიცებთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, საამხანაგო, საარტელო დამუშავების უპირატესობას, მხოლოდ მაშინ, თუ გლეხს დავეხმარებით საამხანაგო, საარტელო მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მოახერხებს მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფოს ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცოს გლეხს თავისი აზრის სისწორე. ნამდვილად მიიმხროს მტკიცედ და საბოლოოდ გლეხთა მრავალმილიონიანი მასა“ (ტომი მე-16. გვერდი 392).

ასე აყენებს ლენინი მუშათა კლასის მხარეზე მრავალმილიონიანი გლეხობის მიზიდვის საშუალებათა საკითხს, კოლექტიურ-მეურნეობრივი მშენებლობის გზაზე გლეხობის გადაყვანის საშუალებათა საკითხს.

განვლილმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ პარტია წარმატებით სწყვეტს ამ საკითხს და თამამად სძლევს ამ გზაზე გადაღობილ ყოველგვარ დაბრკოლებას.

„კომუნისტურ საზოგადოებაში,—ამბობს ლ ე ნ ი ნ ი,—საშუალო გლეხობა მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როდესაც მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს შევამსუბუქებთ და გავაუმჯობესებთ. ჩვენ რომ ხვალ 100000 პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა შეგვეძლოს საჭირო ბენზინითა და სათანადო მემანქანეებით (თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ეს ჯერჯერობით ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიას“, ესე იგი კომუნიზმის მომხრე ვარო. მაგრამ ჩვენ რომ ეს მოვახერხოთ, ჯერ საერთაშორისო ბურჟუაზია უნდა დავამარცხოთ, უნდა ვაიძულოთ იგი, რომ მან ეს ტრაქტორები მოგვცეს, ან ჩვენი წარმოება იმდენად უნდა გავაძლიეროთ, რომ შევძლოთ მათი მოპოვება. მხოლოდ ეს იქნება საკითხის სწორედ დასმა“ (ტომი მე-16, გვერდი 153).

ასე აყენებს ლენინი საშუალო გლეხის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საშუალებათა საკითხს, კომუნიზმის მხარეზე მისი მიზიდვის საშუალებათა საკითხს.

განვლილმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ პარტია ამ ამოცანებსაც წარმატებით სწყვეტს. ცნობილია, რომ დამდეგი 1930 წლის გაზაფხულასათვის მინდვრებზე გამოტანილი გვექნება 60.000-ზე მეტ [illegible] ხოლო ამის შემდეგ რომ ერთი წელიწადი გავა

4881

— 100000-ზე მეტი ტრაქტორი, კიდევ ორი წლის შემდეგ — 250.000-ზე მეტი ტრაქტორი. ის, რაც რამდენიმე წლის წინათ „ფანტაზიად“ ითვლებოდა, ჩვენ ახლა საშუალება გვაქვს სინამდვილედ ვაქციოთ და გადავამეტოთ კიდეც.

აი, სად არის იმის მიზეზი, რომ საშუალო გლეხმა პირი „კომუნიისაკენ“ იბრუნა.

ასეთია პარტიის ძირითადი მიღწევა.

ასეთია პარტიის ძირითადი მიღწევანი განვლილი წლის განმავლობაში.

დასკვნა. ჩვენ უაღრესი სისწრაფით მივეშურებით ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ და უკან ვტოვებთ ჩვენს საუკუნოებრივს „რასეიულ“ [1]) ჩამორჩენილობას, ჩვენი ქვეყანა ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად იქცევა. და როდესაც საბჭოთა კავშირს ავტომობილზე დავსვამთ, ხოლო გლეხს ტრაქტორზე, მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი „ცივილიზაციით“. ჩვენ მაშინ დავინახავთ, თუ რომელი ქვეყნები შეიძლება ჩამორჩენილ ქვეყნებში „ჩავრიცხოთ“ და რომელი — მოწინავე ქვეყნებში.

---

[1]) რასეია — ასე ეძახის რუსის ჯ ლეზი რუსეთს.

შ. სიხარულიძე

კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმა

ოქტომბრის რევოლუციით ადამიანთა ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ამ ეპოქის ისტორიული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე სწარმოებს ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის გეგმიანი გარდაქმნა. იცვლება საგნების დამოკიდებულება ადამიანებთან, რაც თავის მხრივ საფუძვლად ედება ადამიანთა ახალ სოციალურ ურთიერთობას. საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის გარდაქმნა, ახალი ადამიანის მომზადებასთან ერთად, იდეოლოგიურ ფრონტზე სრული გამარჯვების აუცილებელი წინნამძღვარია. სტიქიური ზემოქმედების კანონი გეგმიანობით იცვლება. შეგნებული აუცილებლობა თავისუფლებად იქცევა და ადამიანები თავს აღწევენ საგნების ბატონობას. ფართოვდება ადამიანის ზემოქმედების უნარიანობა ბუნებაზე. მოუწესრიგებელ საზოგადოებაში ნებისყოფის შედეგი არ ეთანხმება იმ მიზანს, რომელსაც ადამიანები ისახავენ. ეს მით აიხსნება, რომ ამ საზოგადოებაში სტიქიური კანონი ბატონობს. კაპიტალისტური სახელმწიფო ამ კანონის მოქმედების საფუძველზე ვერ დაისახავს გარკვეულ გეგმას. ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ ენგელსი შემდეგს სწერდა: „ისტორიაში არაფერი არ ხდება შეგნებული განზრახვის (Absicht) და სურვილისამებრი მიზნის გარეშე. მაგრამ ძალიან იშვიათად ხორციელდება სწორედ ის, რაც სურდათ (das Gewollte), უმეტეს შემთხვევაში ერთი მეორეს ხვდება და ებრძვის აუარებელი სურვილი და მიზანი. დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორ მიმდინარეობს ისტორიის მსვლელობა, ადამიანები მაინც ქმნიან ისტორიას იმ სახით, რომ თითოეული თავისი მიზნის მიღწევას ფიქრობს. სხვადასხვაგვარად მოქმედი ნებისყოფის და გარეშე ბუნებაზე მისი მოქმედების შედეგია ისტორია. მაგრამ ისტორიაში მოქმედი მრავალი კერძო ნებისყოფა უმეტეს შემთხვევაში იმის საწინააღმდეგო შედეგებს იწვევს, რისი მიღწევაც სურდათ“ [1]).

---

[1]) ფ. ენგელსი—ლიუდვიგ ფეიერბახი, გერმანული გამოცემა, 1928 წ., გვ. 44—45.

მოუწესრიგებელ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა სურვილები ერთმანეთს ეჯახება, გარკვეული გეგმის გამომუშავებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჩვენი ეპოქის თავისებურება სრულყოფილი გონიერი საზოგადოების რეალური სინამდვილისაგან იმით განსხვავდება, რომ სტიქიური განვითარების კანონი საესებით მოხსნილი არ არის. გარდამავალი ეპოქის ეკომომიკა გეგმიანი დასაწყისის სრული გამარჯვებისათვის ჭიდილს წარმოადგენს; რამდენადაც ჩვენს მეურმეობაში ჯერ კიდევ არის კერძო კაპიტალისტური საზოგადოების ელემენტები, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სრულყოფილი შეგნებული აუცილებლობის შესახებ. მაგრამ ეს მომენტი, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სოციალისტურ საზოგადოებაში, გარკვეული სახით თავის გამოხატულებას საბჭოთა სახელმწიფოს 5-წლიან საპერსპექტივო გეგმაში პოულობს. ოქტომბრის რევოლუციით დასრულდა კაცობრიობის ისტორიის შესავალი.

5-წლიანი გეგმით, შესაძლებელია ითქვას, იწყება კაცობრიობის ნამდვილი ისტორია. გეგმიანი და შეგნებული მოწესრიგების სათავეში დგას კომუნისტური პარტია, რომელიც გამოხატავს პროლეტარიატის ნებისყოფას. ამ მომენტს უდიდესი ისტორული მნიშვნელობა აქვს. პროლეტარიატი არ ისახავს მიზნად პრივილეგიური ადგილი დაიჭიროს საზოგადოებაში და ამით მართლდება მისი ბრძოლა ძველი საზოგადოების დასანგრევად, ამაშია მისი მორალურ-ისტორიული გამართლება.

ჩვენი წერილის მიზანს შეადგემს კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხილვა. კულტურული მშენებლობის საფუძველი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში უნდა ვეძიოთ. როდესაც ქვეყნის კულტურულ აღმშენებლობაზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს მისი ეკომომიკა, რადგანაც „საზოგადოების ანატომია მის ეკონომიკაში უნდა ვეძიოთ“ (მარქსი). სამეურნეო განვითარების დონე განსაზღვრავს ქვეყნის კულტურულ ვითარებას, მაგრამ ეს სრულებითაც არ უარყოფს კულტურის ზედმოქმედებას ეკომომიკაზე. აქ ჩვენ ურთიერთ გავლენასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ადამიანთა ახალი კადრების მომზადებას მეტად დიდი და პასუხსაგები მნიშვნელობა ენიჭება. სამეურნეო განვითარების ხუთწლიანი გეგმა აყენებს სახალხო განათლების სისტემის გადასინჯვის საკითხს. ის სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს, არ გამოგვადგება, სისტემის გადასინჯვასთან ერთად რადიკალურად უნდა შეიცვალოს ჩვენი სკოლის პროგრამები. ამ პროგრამებიდან უნდა ამოვიღოთ ყველაფერი, რაც ზედმეტია ახალი საზოგადოების თვალსაზ-

რისით, უნდა განვტვირთოთ ძველი პროგრამები და დადებითად გავითვალისწინოთ ახალი მომენტები იმ პერსპექტივით, რომ ბავშს, რომელიც ახლა იწყებს სწავლას და 10—15 წლის შემდეგ სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშემებელი გახდება, უნდა მოეპოვებოდეს ახალი სოციალური ურთიერთობისათვის საჭირო შესაფერისი ცოდნა-ჩვევები.

ხუთწლიანი გეგმის უდიდესი მიღწევა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანთა ახალი კადრების იმ სოციალური წრიდან მომზადების საქმეს, რომელიც ჩვენთვის კლასობრივად მისაღებია. კლასობრივი მომენტის მხედველობიდან გამოშვება შეგნებული ზედმოქმედების უარყოფა იქნებოდა. ამიტომ ყოველი მასწავლებელი და განათლების მუშაკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მომენტს უნდა აქცევდეს. ჩვენ გზადაგზა გავარკვეთ იმ ამოცანებს, რომელიც დაკავშირებულია ამ ძირითად საკითხთან. კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმის რეალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა იყო მეფის იმპერიის დროს, რა ცვლილებები შეიტანა მასში ოქტომბრის რევოლუციამ, რა გვაქვს დღეს და რა რესურსები მოგვეპოვება ამ მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად. საბჭოთა კავშირის უმთავრეს ამოცანად ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ითვლება. აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყანა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად უნდა გარდაიქმნას. ამ ამოცანის შესრულება ყოვლად შეუძლებელია, თუ კულტურულად არ დავეწევით და არ გავასწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მრეწველობისა და კოლექტივიზაციაქმნილი სოფლისათვის ახალი კადრების მომზადება გადაუდებელ და სადღეისო ამოცანათ ითვლება. ათეული წლების განმავლობაში პროლეტარული რევოლუციის მტრები ერთ უმთავრეს მომენტად რუსეთში რევოლუციის შესაძლებლობის წინააღმდეგ მასების უკულტურობას ასახელებდენ. მენშევიკები ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად გზაჯვარედინზე გაჰყვიროდენ ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ. 1905 და 1917 წლების რევოლუციის გამოცდილებამ საფუძვლიანად გააყალბა მენშევიკების შეხედულებანი რუსეთის პროლეტარიატზე. თგითმპყრობელობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა მასების გონების დაჩლუნგებისათვის, რადგანაც მონარქიის არსებობა ამ ძირითად მომენტს ეყრდნობა. რუსეთის პროლეტარიატი ისტორიულად იძულებული იყო ეზრუნა უპირველეს ყოვლისა ცარიზმის დამხობის შესახებ და შემდეგ შესდგომოდა მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეს. თუ რამ-

დენად ჩამორჩენილი იყო რუსეთი სხვა ევროპულ ქვეყნებს კულტურული თვალსაზრისით 1917 წლამდე,—ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: „პირველდაწყებით განათლებაზე მოსახლეობის ყოველ სულზე იხარჯებოდა: შვეიცარიაში—6 მან. და 8 კაპ., ინგლისში—6 მან. და 4 კაპ., შოტლანდიაში—5 მან. და 8 კაპ., საფრანგეთში—2 მან. და 80 კაპ., გერმანიაში—4 მ. და 10 კ., მეფის რუსეთში კი 56 კ. [1]).

ამერიკაში 90 მილიონ მოსახლეობაზე მოდიოდა 50600 მასწავლებელი, ხოლო რუსეთში 160 მილიონ მოსახლეობაზე—154000. მოსწავლე ახალგაზრდობის გონების დაჩლუნგებისათვის მეფის ხელისუფლებას დაქირავებული ჰყავდა 50000 მღვდელი. წერაკითხვის უცოდინარობის საქმეს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, თუ მსედველობაში არ მივიღებთ იმ სკოლებს, რომლებსაც ეკლესიები და მონასტრები ხსნიდენ და სადაც კურსდამთავრებულთა რაოდენობა მხოლოდ 6%-ს აღწევდა.

ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ თვითმპყრობელობას აღებული ჰქონდა გარუსების პოლიტიკა, თითქმის ყველგან აკრძალულ იქნა ნაციონალური სკოლები, იკეტებოდა როგორც საშუალო, ისე დაწყებითი განათლების სკოლები ნაციონალურ უმცირესობათა ენაზე. ერთ დროს გამოცემულ იქნა ბრძანება პოლონური ენის სკოლებში სავსებით აკრძალვის შესახებ. ასეთსავე პოლიტიკას ატარებდენ საქართველოშიაც. 1897 წელს დაკეტეს 200-მდე სომხური სკოლა. ერობათა ბიუჯეტი სახალხო განათლების დარგში, დადგენილების თანახმად, 3%-ით შეიძლებოდა გაზრდილიყო. ცხადია, ასეთი პროცენტებით საყოველთაო სავალდებულო განათლების მოწესრიგება ყოვლად შეუძლებელი იყო. სახელმწიფო სათათბიროს მე-3 მოწვევის დროს დაისვა საკითხი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონპროექტის გამომუშავების შესახებ, მაგრამ, სახელმწიფო საბჭომ და განათლების სამინისტრომ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ცხადია, ასეთ პირობებში კანონპროექტის რეალიზაცია შეუძლებელი იყო. საშუალო სკოლა მარტოოდენ პრივილეგიური კლასებისათვის არსებობდა, ხოლო უმაღლესი განათლება შედარებით უფრო მიუწდომელი იყო მშრომელი მოსახლეობისათვის.

ასეთია, მოკლედ, ის საფუძვლები, რომელიც პროლეტარიატმა მიიღო მეფის თვითმპყრობელობისაგან. მასების კულტურული ჩამორჩენილობის გამოსწორება რევოლუციის შემდეგ პრაქტიკული მოქმედების დღის წესრიგში დაისვა.

---

[1]) Школьная перепись 1911 года.

რევოლუციას წინ უსწრებდა მსოფლიო ომი, რომელმაც მოშალა სახალხო მეურნეობის ნორმალური პირობები და განადგურებამდე მიიყვანა ის. ამ გარემოებამ თავისებური გავლენა მოახდინა მასების ისედაც ჩამორჩენილი კულტურული დონის დაქვეითებაზე. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის სამეურნეო აღდგენის საქმეს, საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავს იმ ხარვეზების გამოსწორებას, რომელიც დაგვიტოვა მეფის თვითმპყრობელობამ და რაც კიდევ უფრო გაძლიერდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შემდეგ.

მეფის მთავრობამ სრულებითაც არ იცოდა სასკოლო ასაკამდე აღზრდა. ეს საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაისვა და 1926—27 წლისათვის უკვე მოგვეპოვება სასკოლო აღზრდის 1629 დაწესებულება 85000 ბავშვით. პირველდაწყებითი განათლების სკოლების ქსელი 1914 წელთან შედარებით გაიზარდა 108,9%-მდე, ხოლო ამ ტიპის სკოლებში გაერთიანებულ ბავშვების რიცხვი ამავე წელთან შედარებით 126,9%-ს აღწევს. საშუალო სასწავლებლის ქსელი გაიზარდა 38%, ხოლო მოწაფეთა რაოდენობა—32%-ით. ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. გაიხსნა 2500 საბავშო სახლი; დაბალ პროფტექნიკურ განათლებას თვითმპყრობელობის დროს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, რადგან ასეთი სკოლების გახსნა არ შეესაბამებოდა ხელისუფლების ინტერესებს. დაბალი პროფტექნიკური განათლების გაფართოვების საქმეს საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია. ამას სხვათა შორის ამტკიცებს შემდეგი ციფრები: 1914 წელთან შედარებით პროფტექნიკური განათლების დაწესებულებანი გაიზარდა 73,9%-ით, მოწაფეთა რაოდენობა—120%-ით.

თავისი სოციალური ბუნებით შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების დროს. თუ მეფის მთავრობის დროს უნივერსიტეტის კარი დახურული იყო მუშებისა და გლეხებისათვის, საბჭოთა ხელისუფლება იმის ცდაშია, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ ფენების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის საქმეს. თუ ავიღებთ 1914 წლის სინამდვილეს, დავინახავთ, რომ უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი 36%-ით გაიზარდა, ხოლო სტუდენტების რიცხვი—2,8%-ით. ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში მუშებისა და გლეხების საშუალო პროცენტი დღითი-დღე იზრდება. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ის პროცენტი, რომელსაც ამ მხრივ ჩვენ

მივაღწიეთ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლები ჩვენთვის სოციალურად მისაღები ელემენტებით შევავსოთ.

თუ მეფის მთავრობის დროს მოზრდილი მოსახლეობის აღზრდა-განათლებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა და მიზნის განსახორციელებლად გახსნილ იქნა სრულიად ახალი ტიპის დაწესებულებანი, როგორიცაა: მუშფაკი, კომუნისტური უნივერსიტეტი, საბჭოთა პოლიტსკოლები, წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტები და სხვა. ამ დაწესებულებათა ქსელი ყოველწლობით იზრდება.

გასაკუთრებული ყურადღება წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ექცევა. ჩვენ ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს მიღწევები საკმარისი არ არის ევროპის კულტურულ ქვეყნებთან შედარებით. 1926 წლის საყოველთავო აღწერის მიხედვით თუ საბჭოთა კავშირში 8 წლის ასაკიდან დაწყებული წერაკითხვის უცოდინართა რაოდენობა 50% აღწევდა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1920 წლის აღწერის მიხედვით, 10 წლიდან დაწყებული წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი 94%-ს აღწევს. 5 წლიდან დაწყებული, ვიდრე 11 წლამდე საბჭოთა კავშირში სწავლობდა 55%, ამერიკაში—100 %.

თუ საბჭოთა კავშირში 12—15 წლამდე მოზარდი თაობის მხოლოდ 10% სწავლობს, ამერიკაში ასწავლიან 100%-ს [1]).

ეს ციფრები განმარტებას არ მოითხოვს. ამ მდგომარეობის გამოსწორება კულტურული მშენებლობის სადღეისო და გადაუდებელ ამოცანად ითვლება. ჩვენი კულტურული ზრდის ნათელსაყოფად (რომელიც ჯერ კიდევ საკმარისი არ არის) შეგვიძლია მოვიყვანოთ კულტურულ დაწესებულებათა განვითარების შემდეგი ცხრილი:

	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.	1928/29 წ.
საყოველთაო განათლების სკოლა.	90690	90421	99416	105640
ქოხსამკითხველოები.	16530	15494	1315	2061
საშუალო განათლების სკოლები	11480	12262	13994	14457
ტექნიკუმები	1803	1805	1826	1903
უნივერსიტეტები	1620	1604	1576	1637

[1]) „Пятилетний план Народнохозяйственного строительства С. С. С. Р. ტომი მე-2, ნაწილი მე-2, გვ 212.

როგორც ვხედავთ, ყოველწლიური ზრდა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად. მაგრამ ზრდის ეს ტემპი საკმარისი არ არის. კულტურულ ფრონტზე ჩვენ ორგვარ დისპროპორციასთან გვაქვს საქმე. ერთია გარეგანი დისპროპორცია, ანუ კულტურულ დაწესებულებათა ქსელის ჩამორჩენა ქვეყნის სამეურნეო განვითარების ტემპისაგან და მეორე—შინაგანი დისპროპორცია, ანუ ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან შეუფარდებლობა. ამ დისპროპორციათა თავისებურების გადაწყვეტას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საბჭოთა სახელმწიფომ იმთავითვე სერიოზული ყურადღება მიაქცია სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოებათა ზრდა-განვითარების საქმეს. თუ 1918 წლისათვის მოგვეპოვებოდა 21 სამეცნიერო დაწესებულება და 200 მეცნიერული ხასიათის საზოგადოება, 1927 წლისთვის ამ დაწესებულებათა რიცხვი 85-ს უდრის, საზოგადოებათა რიცხვი კი—798-ს.

მეფის რუსეთისაგან განსხვავებით ჩვენი სკოლები თვისობრივადაც წინ წავიდა. ჩვენ გვაქვს მთლიანი შრომის სკოლა. რელიგია განდევნილია სკოლიდან და სკოლა მასთან მეცნიერული ხასიათის ბრძოლას აწარმოებს. ყოველ ნაციონალურ უმცირესობათა ეროვნებას უფლება აქვს იქონიოს სკოლები თავის მშობლიურ ენაზე.

ამ პოლიტიკის შემწეობით შედეგად მივიღეთ ჩამორჩენილ ეროვნებათა კულტურული დონის ამაღლება. კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობაში გამოიხატება, საბჭოთა მეურნეობის პირობებში დღითი-დღე მცირდება. ჩვენს უმთავრეს ამოცანას შეადგენს დავძლიოთ სოფლის კულტურული ჩამორჩენილობა. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ის, რაც დღეს მოგვეპოვება, საკმარისი მაინც არ არის. ამას სხვათა შორის ამტკიცებს შემდეგი მაჩვენებლები:

	ქალაქში	სოფელში
წერაკითხვის მცოდნე მოსახლეობის 10000 სულზე	8204	3445
მოწაფ. დაწყებით სასწავ. 8—11 წლამდე ყოველ 100 ბავშზე	116,6	78,2
მოწაფ. საშუალო სასწავ. 12—16 წლამდე ყოველ 100 ბავშზე	30,5	2,5

მოწ. პროფესიონ. სკოლ. ყოველ 10000 დაქირ. მუშაზე	160,0	40,0
მასწავლ. მას. სკოლ. მოსახლ. ყოველ 10000 სულზე	21,0	15,0
საწოლებ. საავადმყ. მოსახლეობის ყოველ 10000 სულზე	49,0	4,7
ექიმები „	12,0	0,5
წერაკითხვ. უცოდინართა სალიკ. სკ. ყოველ 10000 უცოდინ.	188,0	173,0
რადიომიმღები მოსახლეობის ყოველ 10000 სულზე	185,0	4,%

ეს ციფრები საკმაო სიცხადით ნათელყოფს სოფლის კულტურულ ჩამორჩენილობას. ამ კულტურული დისპროპორციის აღმოფხვრა და სოფლის კულტურული დონის აწევა 5-წლიან გეგმაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ეპოქა, რომელიც გარკვეული სიძნელით ხასიათდება, გულისხმობს იმ საწარმოო საფუძვლის რადიკალურ გადახალისებას, რომელიც დღეს ჩვენს წარმოებას მოეპოვება. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით მსუბუქი ინდუსტრიის დარგში, ჩვენ ომის წინა დროს გადავაჭარბეთ, მსხვილ მრეწველობაში კი ომის წინადროინდელი დონე ჯერ კიდევ არ გვაქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს სახალხო მეურნეობას მაინც დიდი უპირატესობა აქვს კაპიტალისტური ქვეყნის მეურნეობასთან. ეს უპირატესობანი შემდეგში მდგომარეობს:

ა) მიწაზე და საწარმოო საშუალებებზე მოსპობილია ყოველგვარი კერძო საკუთრება,

ბ) უღარიბესი გლეხობის 35% განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან,

გ) სამხედრო შეიარაღებისათვის ჩვენს ქვეყანაში გაცილებით ნაკლები იხარჯება, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში,

დ) მაშინ, როდესაც ევროპულ ქვეყნებში ეხედავთ სამუშაო დღის გახანგრძლივებას, ჩვენ მთელ რიგ წარმოებებში განუწყვეტელ კვირაზე და 7-საათიან სამუშაო დღეზე გადავდივართ,

ე) მაშინ, როდესაც ამერიკისა და ევროპის მძიმე ინდუსტრიის განვითარების ყოველწლიური პროცენტი 5-9-მდე აღწევს, ჩვენი ინდუსტრია 20-25%-ით ვითარდება. კაპიტალისტური სამყარო სოციალისტურ ქვეყანას ეჯიბრება. კაპიტალისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც საწარმოო საშუალებანი კერძო საკუთრე-

ბას არ წარმოადგენს, წარმოების განვითარება შეუძლებელია, მაგრამ როდესაც ეს დებულება არ მართლდება, მაშინ ისინი მზად არიან სამხედრო ინტერვენციით და სამეურნეო ბლოკადით შეუშალონ ხელი ჩვენ მშენებლობას. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი იქნება განვითარების ტემპი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლის განმავლობაში, მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კაპიტალური დაბანდების რაოდენობა.

	1923/24-1927-28 წ.	1928-29-1932-33 წ.
მთელი დაბანდება უდრის	25 მილიარდ მან.	64,5 მილიარდ მან.
სოფლის მეურნეობაში	14,9 „ „	15,6 „ „

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტური დაბანდება წინა ხუთწლედთან შედარებით გადიდებულია ორნახევრად; ასეთივე ზრდას ვხედავთ ელექტროფიკაციის გაფართოების დარგში: ელექტროფიკაციის გაფართოებისათვის გაღებულ იქნა 3 100 მილიარდი მან., ე. ი. წინა ხუთწლედთან შედარებით 4-ჯერ უფრო მეტი. ტრანსპორტის გასაძლიერებლად, რომელიც გულისხმობს მიმოსვლის ახალი ქსელის გაყვანასაც, ხუთწლედში ნაგულისხმევია 9600 მილიონი მანეთი. ლითონის დამზადების დარგში ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი მეურნეობა საგრძნობად წინ წავა, ხუთწლედის უკანასკნელ წელს დამზადებულ იქნა 10.000.000 ტონა ლითონი. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანებული იქნება მილიონის ნაცვლად 21 მილიონი კაცი, ანუ დაახლოვებით მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 16 %. ეს ციფრები საკმაო მაჩვენებელია იმის, თუ როგორი ტემპით გაიზრდება სოციალისტური სექტორი სოფლის მეურნეობაში. ახალი სოფლის მშენებლობა შეუძლებელია ახალ საწარმოო საშუალებათა გამოუყენებლად, ამიტომ ამ ხუთი წლის განმავლობაში სოფლად შეტანილ იქნება მხოლოდ სოციალისტური სექტორის გზით 132000 ტრაქტორი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება ნაგულისხმევია 35%-ით. მელიორაციისათვის განზრახულია გაღებულ იქნას 420 მილიონი მანეთი. სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთი გრანდიოზული მნიშვნელობის გეგმა აყენებს კულტურული რევოლუციის პრაქტიკულად გადაჭრის საკითხს. ამ მიზნით აუცილებელია გადადებულ იქნას ის თანხები, რომელიც იხარჯება სახალხო განათლების საქმეზე. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ქვეყნის სამეურნეო განვითარების ტემპს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 25 წლის განმავლობაში (1900-1925 წ.) პირველი და მეორე

საფეხურის სკოლების მოწყობისათვის გაწეული ხარჯები გადიდებულ-იქნა 940-ით.

ტეხნიკური რევოლუციისათვის, ურომლისოდ წარმოუდგენელია-შრომის ნაყოფიერების გადიდება და საერთოდ ჩვენი სახალხო მეურ-ნეობის რადიკალური რეკონსტრუქცია, აუცილებელია უმაღლესი, სა-შუალო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მომუშავე კადრები. კად-რების მომზადება, — აი კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგ-მის ძირითადი ამოცანა. ჩვენ გვჭირდება ინჟინრები, ტეხნიკოსები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები. ამ საჭიროების დაკმაყოფი-ლების გეგმიან ორგანიზაციას იძლევა ხუთწლიანი გეგმა. პირველი-საკითხი, რომელსაც სერიოზული ყურადღება ექცევა კულტურული მშენებლობის 5-წლიან გეგმაში, არის საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საქმე. საყოველთაო სავალდებულო სწავლების-გატარება ნაგულისხმევია სოფლად ხუთწლედის ბოლოს, ხოლო ქა-ლაქებში შედარებით უფრო ადრე. საქართველოში გამომუშავებუ-ლია გეგმა იმის შესახებ, თუ რომელი ოლქი და ოლქის რაიონი რო-დის უნდა გადავიდეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების პრაქ-ტიკულ გატარებაზე. იმ რაიონებში, სადაც ნაციონალური უმცირე-სობანია დასახლებული და სადაც ოთხწლედისათვის შესაფერისი-კონტინგენტი ბავშვებისა სკოლებში გაერთიანებულია მხოლოდ 30 % რაოდენობით, ნაგულისხმევია, რომ ხუთწლედის ბოლოს ოთხწლედში-გაერთიანებული იქნება მხოლოდ 75 %, მთელ საბჭოთა კავშირში კი კონტინგენტის გადიდება ნავარაუდევია 42-52 %-მდე. აქედან სო-ფელზე მოდის 51-59 %, ხოლო ქალაქებზე საშუალოდ 10-25%-მდე. ჩვენ ვიცით, რომ განსაკუთრებით სოფლად მოგვეპოვება გარ-კვეული კადრი ასაკგადაცილებულთა, რომელთაც არ გაუვლიათ 4-წლედი. მთელი კავშირისათვის ამ კონტინგენტის ახალგაზრდო-ბა 1928/29 წლისათვის 2 %—3 % უდრიდა. ყოველწლიურად ეს პროცენტი იზრდება, რამდენადაც ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს საყოველთაო სავალდებულო სწავლება პრაქტიკულად ყოველ რაი-ონში გატარებული. ახალგაზრდობის ეს კადრი ავსებს წერაკით-ხვის უცოდინართა რიგებს. ხუთწლიან გეგმაში ნავარაუდევია ამ ასაკის ახალგაზრდობისათვის სპეციალური სკოლების გახსნა. ზემო-ნაჩვენები პროცენტი შემცირებულ უნდა იქნას 10%-მდე. საქართ-ველოში ამ ასეკის (11-15 წლამდე) ახალგაზრდობა 80.652 კაცამდეა. თუ ამ ახალგაზრდობისათვის მოეწყობა ორწლიანი პრაქტიკული გა-ნხრის მქონე სკოლები, მაშინ საჭირო იქნება 400-მდე ახალი სკოლა. ასაკგადაცილებულთა პროცენტის შემცირება ბევრად არის

დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უზრუნველვყოფთ უღარიბესი გლეხების შვილებს მატერიალურად, რომ ისინი მეორე-მესამე ჯგუფიდან არ გადიოდენ. ყოველ 100 მოწაფეზე, რომელიც მიღებულია პირველ ჯგუფში, მეოთხე ჯგუფამდე მიდის ქალაქში 72 ბავში, სოფელში — 28; დანარჩენები ავსებენ მცირემცოდნეთა კადრებს. თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდება, მაშინ რეციდივების თავიდან აშორება მეტად ძნელი იქნება. მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შესაფერისი ყურადღება უნდა მიექცეს, არის მეორე წელს დარჩენასთან ბრძოლის საკითხი.

ამრიგად პირველდაწყებითი სწავლების მოწესრიგებისათვის მთელ კავშირში საჭირო იქნება 2.883,6 მილიონი მანეთი, რაც უდრის მთელი ბიუჯეტის 32 %. საქართველოში ამავე მიზნით გაღებული თანხები გაიზრდება 29,8 %-ით. გეგმა ითვალისწინებს მასწავლებელთა ხელფასის გადიდებას. საშუალო თვიური ხელფასი პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებელთათვსა განზრახულია 80 მან. 60 კაპ. (1932-33 წ.), ხარჯები ყოველ მოწაფეზე გადიდდება 3,99 მანეთიდან 4,20 მანეთამდე. მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების საქმეს მოხმარდება 163,7 ათასი მანეთი. აქ მხედველობაში მიღებულია მოკლევადიანი კურსები, დაუსწრებელი კურსების ორგანიზაცია და სხვა. ამ გზით მომზადებულ უნდა იქნეს 100.000 მასწავლებელი.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, თუ რა ხნის განმავლობაში გატარდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში. სხვადასხვა რესპუბლიკებში დროს ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება, მაგალითად:

რ. ს. ფ. ს. რ.-ში	1936—37	წლისათვის.
უ. ს. ს. რ.	1933—34	„ „
ბ. ს. ს. რ.	1934—35	„ „
ა. კ. ს. ფ. ს. რ. (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)	1035—36	„ „
სათათრეთის ს. ს. ს.	1939—40	„ „
უბზეკისტანის ს. ს. რ.	1939—40	„ „

ცალკეული რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონებისათვის ეს დრო ერთნაირი არ იქნება. არის ისეთი რაიონები, სადაც ჩვენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეს შედარებით უფრო ადრე გავატარებთ, რადგანაც საამისო პირობები უკვე მზად არის.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ განათლების ფრონტზე საქმე გვაქვს შინაგან დისპროპორციასთან. რაში მდგომარეობს ეს პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მიმართ? აქ ჩვენ ვხედავთ მაღალი ტიპის სკოლების უგეგმო, მაგრამ ფრიად ინტესიური ზრდის შედეგებს გასული წლების განმავლობაში.

თუ ჩვენ ერთი მხრით ავიღებთ პირველი საფეხურის სკოლის მოწაფეებს და შევადარებთ მათ მეორე საფეხურის სკოლის მოწაფეებს, დავინახავთ, რომ მეორე საფეხურის სკოლების მოსწავლეთა რიცხვი პირველი საფეხურის სკოლის მოწაფეთა საერთო რიცხვის 18,6 % შეადგენს, ნორმალური შეფარდებიდ კი მიჩნეულია 12,5 %. ეს გარემოება მიღებულია მხედველობაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმის შედგენის დროს. ამიტომ უნდა შემცირდეს ათწლედების რიცხვი, რომ შეფარდება 12-მდე დავიყვანოთ. სოფლად არსებული ყველა 7-წლედი უნდა იქცეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად, და ხუთწლედის ბოლოს მთელ საქართველოში გვექნება 322 ასეთი სკოლა. ამას უნდა დავუმატოთ ის 7-წლედები, რომელიც საფაბრიკო-საქარხნო 7-წლედების სახით უნდა გაიხსნას მუშათა რაიონებში. განზრახულია 15-დე ასეთი 7-წლედის გახსნა.

კულტურული მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შესახებ. აქ უმთავრესად მხედველობაშია მიღებული ტექნიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელი დეპროფესიონალიზაცია და ამ ნიადაგზე შექმნილი სიძნელენი. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს მუშათა ისეთი კადრის მომზადებას, რომელსაც ზოგად განათლებასთან ერთად (რამდენადაც მუშა ჩვენს პირობებში ამავე დროს მრავალი არის) ექნება პროფესიონალური-ტექნიკური მომზადება. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამოანგარიშებით მთელ საბჭოთა კავშირში მომზადებულ უნდა იქნეს 1162,4 ათასი მუშა. აქედან საქართველოში საჭირო იქნება 15018 კაცი. ის დაწესებულებანი, რომლებიც დღემდე მუშათა კადრების მომზადებაზე მუშაობენ, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ. საქარხნო-საფაბრიკო სკოლების და საქარხნო-საფაბრიკო 7-წლედების (დამხმარე წყარო) პროდუქციით დაფარული იქნება აღნიშნული მოთხოვნილების 9%, პროფსკოლების პროდუქციით — 13%, ინდივიდუალურ-საბრიგადო სწავლების გამო მომზადებული იქნება საჭირო მუშახელის 21 %, მოთხოვნილების დანარჩენი ნაწილი კი (57 % დაიფა-

რება მუშების არაკვალიფიციურ სამუშაოდან კვალიფიციურზე გადაყვანით და საფანადო მომზადებით პოლიტექნიკურ კურსებზე.

კვალიფიციური ძალების მომზადების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ინჟინერ-ტექნიკოსების მომზადება. მთელი კავშირისათვის 1932/33 წლისათვის საჭირო იქნება მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის 41,5 ათასი ინჟინერი. საქართველოში ამჟამად 600-მდე ინჟინერი ითვლება. ეს შეადგენს მუშათა საერთო რიცხვის 1,6 %-ს. დირექტივი ინჟინერ-ტექნიკოსების მომზადების დარგში ისეთია, რომ ინჟინერთა ხვედრითი წონა მუშების საერთო რიცხვთან შეფარდებით ორჯერ უნდა გადიდდეს, ხოლო ტექნიკოსებისა კი ინჟინრებთან შეფარდებით ერთნახევარჯერ. ხუთი წლის შემდეგ საქართველოში იქნება 1300 ინჟინერი ნაცვლად ექვსასისა, რაც წარმოებაში ჩაბმული მუშების მიმართ შეადგენს 2 %. ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის შეფარდება ხუთი წლის შემდეგ იქნება 1:2.

თუ, ერთის მხრივ, ქალაქის მრეწველობისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება შედარებით უფრო ადვილია, აღრიცხვისა და გამოანგარიშების თვალსაზრისით ძნელია იმისი აღრიცხვა, თუ რა რაოდენობით იქნება საჭირო იმ კადრების მომზადება, რასაც სოფლის განვითარებული ტემპი მოითხოვს. ჩვენი სახალხო მეურეობის ამ დარგში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტრაქტორისტების განსაზოგადოებული სექტორისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის პირებისა და აგრონომების მომზადების საქმეს. 5 წლის განმავლობაში მთელი საბჭოთა კავშირისათვის საჭირო იქნება 200 ათასი ტრაქტორისტი და 50 ათასი მექანიკოსი. ყველაზე უფრო საგულისხმოა იმ კადრების მომზადება, რომლებსაც მოითხოვს საბჭოთა და კოლექტიური მურნეობა. ამ მოთხოვნილებას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

1932/33 წლისათვის საჭირო იქნება:	უმაღლესი კვალ.	საშ. კვალ.
საბჭოთა მეურნეობისათვის	4.500	12.645
კოლექტიური მეურნეობისათვის	2.685	5.700

ხუთი წლის განმავლობაში სკოლებმა უნდა მოამზადოს	უმაღლესი კვალ.	საშ. კვალ.
საბჭოთა მეურნეობისათვის	4.084	11.485
კოლექტიური მეურნეობისათვის	5.700	2.391

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით იმ სკოლებს, რომელთა უშუალო ამოცანას შეადგენს განსაზოგადოებული სექტორისათვის საჭირო კადრის მომზადება, დიდი მუშაობა დასჭირდება თავისი ამოცანის შესასრულებლად.

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე აგრონომულ პერსონალს ამზადებენ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალური ფაკულტეტი და საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. 5 წლის განმავლობაში საჭირო იქნება 30.000 აგრონომის მომზადება, მაგრამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. სამაგიეროდ დროებით მათ ადგილს დაიჭერენ საშუალო კვალიფიკაციის მქონე პირები. საქართველოში 5 წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნება 650 აგრონომი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოოხოვნილებას, რომელსაც აყენებს სკოლებში აგრონომული განათლების ორგანიზაცის საქმე, მაშინ ზემოთმოყვანილი პროდუქცია საკმარისი არ არის. ასეთია, მოკლედ, კვალიფიკაციური ძალების მომზადების ძირითადი მხარეები. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მასების კულტურული დონის ამაღლება შეუძლებელია წერაკითხვის უცოდინარობის მოუსპობლად. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გაკეთებული, მაგრამ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის. 5 წლის განმავლობაში წერაკითხვის უცოდინართაგან შესაფერის სალიკვიდაციო პუნქტებში გატარებულ იქნება 91.103 კაცი. წერაკითხვის მცირემცოდნეთათვის გაიხსნება სპეციალური სკოლები, სადაც გატარდება 21.262 კაცი. მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს რადიოფიკაცია და რადიოგადაცემა. რადიოს გამოყენება მასების განათლების საქმეში ჩვენში 24/25 წლიდან იწყება. ამ მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში მაინც ბევრი რამ არის გაკეთებული. 1928 წლისათვის მთელს საბჭოთა კავშირში უკვე იყო 59 გადამცემი რადიოსადგური. მაგრამ საბჭოთა კავშირის ტერიტორიისათვის ეს რიცხვი მეტად უმნიშვნელოა. გერმანიასთან შედარებით ჩვენი რადიოსადგურების რიცხვი 40-ჯერ ნაკლებია, როდესაც რადიოგადაცემაზე გვაქვს ლაპარაკი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ სოფელი ჩამორჩება ქალაქს და ამასთან ერთად რადიომიმღებთა დიდი უმრავლესობა არ წარმოადგენს მუშათა უბნებისა და სოფლად ღარიბი გლეხკაცობის ხელმისაწვდომ საშუალებას. მომავალში ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. იზრდება მასების ლტოლვა რადიოსაკენ. საჭიროა გადავლახოთ ტექნიკური და ორგანიზაციული სამეურნეო ხასიათის სიძნელენი რადიოფიკაციის დარგში. ინდივიდუალურ საყოფაცხოვრებო მასიურ რადიოფიკაციას-

თან ერთად განზრახულია ხუთწლედის ბოლოს ხმამაღლა მოლაპარაკე რადიომიმღები დადგმულობა მოეწყოს ყველა ქოხსამკითხველოში, კლუბებში, ყაზარმებში, დიდ სკოლებში, დიდ საწარმოთა წითელ კუთხეებში, საბჭოთა მსხვილ და კოლექტიურ მეურნეობაში, სახალხო და გლეხთა სახლებში, დიდ სასადილოებში.

ამ მეტად საგულისხმო გეგმის განსახორციელებლად განზრახულია რადიომიმღებთა რაოდენობა და პუნქტები გადიდებულ იქნას 6 მილიონამდე. ამრიგად ქალაქში ქსელი გადიდდება 11-ჯერ, ხოლო სოფელში — 70-ჯერ.

ხუთწლიანი გეგმა მასიური მუშაობის გაძლიერების დარგში მთავარ ყურადღებას აქცევს რადიოფიკაციის გაძლიერებასთან ერთად ქოხსამკითხველოების, სახალხო სახლების, გლეხთა სახლების და ბიბლიოთეკების ორგანიზაციის საქმეს. ეს ქსელი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება, ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა საზოგადოების გაფართოებულ მოთხოვნილებას. ამიტომ ქოხსამკითხველოების ქსელი უნდა გაიზარდოს 75 %, ბიბლიოთეკების 50 %-ით, კლუბები, სახალხო და გლეხთა სახლები 25 %, ამასთანავე ერთად მხედველობაში არის მიღებული ქოხსამკითხველოების ხელმძღვანელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე, მათი თვიური ხელფასი უნდა გაუთანასწორდეს პირველი საფეხურის შრომის სკოლის მასწავლებლის ხელფასს.

დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემათა ორგანიზაციის საქმეს. ჩვენ ამ მხრივ ომის წინა დროსთან შედარებით საგრძნობი მიღწევები გვაქვს. გაიზარდა გაზეთების ტირაჟი. საბჭოთა კავშირში ამჟამად გამოდის 576 გაზეთი მილიარდ 700 მილიონი ცალი. გამოცემულ წიგნთა რაოდენობა 1913 წელთან შედარებით 134 მილიონი ცალით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი მიღწევები გვაქვს ბეჭდვითი სიტყვის დარგში, საჭიროა მთავარი ყურადღება მივაქციოთ საქმის თვისობრივი მხარის გაუმჯობესებას. ჩვენ გვჭირდება უმთავრესად ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნები. წიგნი სოფელს, — აი კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი საყურადღებო ამოცანა. ჩვენ ამ მხრივ დიდ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ, თუ არ შევამცირებთ წიგნის თვითღირებულებას. ამ მხრივ აუცილებელია შევამციროთ ქაღალდის და პოლიგრაფიული მუშაობის ფასები ზედნადები ხარჯების შემცირებასთან ერთად. გეგმა თვითღირებულების შემცირების საფუძველზე ითვალისწინებს ფასების 36 %-ით შემცირებას. სახელმძღვანელოების გამოცემა უნდა გაიზარდოს 100%-ით.

ტექნიკური და წარმოებითი ხასიათის მქონე წიგნების გამოცემის გადიდება ნავარაუდევია 200 %-ით, პერიოდული ჟურნალების გამოცემა გაიზრდება 80 — 100 %-მდე.

ბეჭდვითი სიტყვის მოწესრიგებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯება 102,3 მილიონი მანეთი და 23,5 მ. მანეთი ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ეს თანხა შემდეგ ხუთწლედში უნდა შემცირდეს, რადგანაც პოლიგრაფიული მრეწველობა სრულ თვითგამოსყიდვაზე უნდა გადავიდეს.

ზემომოყვანილ კულტურულ წამოწყებებთან ერთად მასების კულტურული დონის აწევის დარგში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კინომრეწველობის განვითარებას. მრეწველობის ეს დარგი ყოველწლიურად იზრდება. მას დიდი მომავალი აქვს ჩვენს ქვეყანაში. კინოს გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებში. ევროპაში ამ მხრივ დიდი მიღწევებია. ჩვენ ამ საქმეს მხოლოდ ახლა ვიწყებთ. იმ ქსელის შემწეობით, რომელიც მოგვეპოვება მთელს კავშირში კინოსეანსებზე დამსწრეთა რიცხვი 1927 — 28 წლისათვის დაახლოვებით 312 მილიონამდე აღწევს. იმ გაფართოებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც კინომრეწველობის დარგში არსებობს, 5 წლის განმავლობაში კინოქსელის გაფართოება შემდეგნაირად არის ნავარაუდევი:

	1927 — 28 წ			1932 — 33 წ.		
კინოდადგმულობა	სულ.	ქალ.	სოფ.	სულ.	ქალ.	სოფ.
(სასკოლო ქსელის ჩაუთვლელად)	8521.	4839	3682	34699	9695	25003
აქედან:						
კომერციული	1782	1782	—	2471	2471	—
არაკომერციული	6739	3057	3682	32228	7205	25003
სასკოლო ქსელი	100	—	—	13.766		

კინოგაყვანილობის გაფართოებასთან ერთად ნავარაუდევია კინომრეწველობისათვის საჭირო კვალიფიკაციური ძალების მომზადება და გადამზადება.

ყველა ზემოჩამოთვლილ ღონისძიებასთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასკოლო მშენებლობის გაფართოვებას სკოლებისათვის ახალი შენობების აგებისა და ძველის შეკეთების სახით. ამ მხრივ ჩვენ ავიღებთ მხოლოდ საქართველოს ფაქტიურ მასალებს. ხუთი წლის განმავლობაში სასკოლო შენობების მშენებლობაზე დაიხარჯება: 6.475.000 მ. მოსახლეობის დახმარებით, მთლიანად კი 18.369000 მანეთი. ეს თანხა დაიხარჯება უმთავრესად პირველი საფეხურის სასკოლო შენობათა აგების საქმეზე. ხუთი წლის განმავლობაში აგებულ უნდა იქნას 547 შენობა. სკოლებში უღარიბესი გლეხობის და მუშის შვილების პროცენტის გაზრდის მიზნით გეგმა ითვალისწინებს ღარიბთა სპეციალური ფონდის შექმნას, რომელიც მოხმარდება სტიპენ-

დიებისა და მოწაფეთა საერთო საცხოვრებლის ორგანიზაციის საქმეს. ამ მიზნით საჭირო თანხები ხუთი წლისათვის ნავარაუდევია 10 მილ. მან. ამ ღონისძიებათა გატარებით სკოლებში გაერთიანებულ იქნება ღარიბთა 3 — 5 %-მდე და წლიურად თითოეულ მოწაფეზე დაიხარჯება 15 — 20 მანეთამდე. უმაღლეს სასწავლებელთა სტიპენდია აყვანილ იქნება 20 %-მდე. გეგმის განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ დაწესებულებათა ფინანსიურ უზრუნველყოფას, გვიჩვენებს, თუ რამდენად იზრდება სახელმწიფო შემოსავლიდან სახალხო განათლების საქმეზე დახარჯული თანხა. მთელი კავშირის მასშტაბით 1927 — 28 წელთან შედარებით ხუთი წლის განმავლობაში ხარჯები, გაწეული სახალხო განათლების საქმეზე (როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტიდან), გადიდებულ იქნება 59,6 %-ით. კერძოდ საქართველოში ეს პროცენტი ამავე წელთან შედარებით 204,92 % აღწევს. ბიუჯეტის ასეთი ზრდის პროცენტში ნაგულისხმევია კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოვება, ხელფასის გადიდება, ახალი მშენებლობა და სხვა. ყველა ხარჯის ხვედრითი წონის მიხედვით ხუთი წლის განმავლობაში სახალხო განათლების დარგები საქართველოში შემდეგნაირად ნაწილდება:

პირველი საფეხურის სკოლები	29,8 %
პროფგანათლების დაწესებულებანი (უმღლ. სასწავ. გარდა)	22,8 %
მე-2 საფეხურის სკოლები	11,4 %
უმაღლესი სასწავლებლები	11,3 %
პოლიტგანათლების დაწესებულებანი (სალიკვიდაციო პუნქტებისა და წერაკითხვის მცირემცოდნეთა სკოლებს გარდა)	9,9 %
სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი	6,2 %
სამეცნიერო დაწესებულებანი	3,1 %
სალიკვიდაციო პუნქტები და წერაკითხვის მცირემცოდნეთა სკოლები	2,3 %
მმართველი აპარატი	1,6 %
დაწესებულებანი, რომელთაც სუბსიდია ეძლევათ	1,4 %
ს უ ლ	100 %

სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციის საქმეს ჩვენში საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. კერძოდ საქართველოში მეცნიერული მუშაობის გაღრმავების მიზნით განზრახულია **სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაცია.**

სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებასთან ერთად ისეთი დაწესებულების დაარსება, რომელიც შეაჯამებს ყველა იმ მეცნიერული ხასიათის მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ საქართველოში

დღემდე არსებული სამეცნიერო დაწესებულებანი, სადღეისო და შეტად მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება.

ასეთია, მოკლედ, ხუთწლიანი გეგმა კულტურული მშენებლობის დარგში. ახლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა ამოცანებს აყენებს სკოლების წინაშე ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის საკითხი. პირველი ამოცანაა გეგმის ყოველმხრივი შესწავლა, მაგრამ არა მარტო შესწავლის მიზნით, არამედ გეგმის განხორციელებაში პრაქტიკულად მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობა ეცნობოდეს იმას, თუ რა სახეს მიიღებს კავშირის და კერძოდ საქართველოს სახალხო მეურნეობა 5 წლის შემდეგ, სად რა შენდება, როგორ და რატომ, ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება მარტოოდენ საზმეცნიერების მასწავლებლის მოვალეობას არ შეადგენს. მთელი საგანმანათლებლო და საალმზრდელო მუშაობა ყველა საგანში გადასინჯული უნდა იქნას 5 წლიანი გეგმის კონკრეტულად განხორციელების საფუძველზე. ეს გარემოება აყენებს მთელი პედაგოგიური პროცესის გადასინჯვის საკითხს. ამ მხრივ ყველაზე უფრო გამოკვეთილად ისმება პოლიტექნიკური აღზრდის საკითხი. როდესაც ლაპარაკია პოლიტექნიკური აღზრდის შესახებ, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო ის ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ტიპის სკოლებში არის გაერთიანებული, არამედ მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც უშუალოდ წარმოებაშია ჩაბმული და 5-წლიანი გეგმის რეალიზაციის საქმეში პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს. ახალ საწარმოო წამოწყებათა გაფართოებასთან ერთად, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ისმება წარმოებაში ჩაბმული მოსახლეობის პოლიტექნიკური აღზრდის ფორმების გამომუშავების საკითხი. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობაში მომუშავე გლეხისათვის აუცილებელია პოლიტექნიკური განათლება. მთელ რიგ წარმოებაში ახალ საწარმოო საშუალებათა გამოყენება, რომელიც წარმოების პროცესის რადიკალურ ცვლილებას მოასწავებს, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად გამოიწვევს მუშათა გარკვეული კადრის დეპროფესიონალიზაციას. ამ გარემოებას ამთავითვე უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგან ჩვენ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ არ შეიქნას უმუშევართა კადრი. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი საშუალებაა პოლიტექნიკური აღზრდის საკითხების თავის დროზე დადებითი ორგანიზაცია. ენგელსი „კომუნიზმის პრინციპებში“ თავის დროზე სამართლიანად შენიშნავდა: „მრეწველობა, რომელსაც განაგებს მთელი საზოგადოება გეგმიანად და საზოგადოებრივი ინტერესებით, საჭიროებს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებს, რომლებიც ერკვევიან წარმოების მთელს

სისტემაში. შრომის განაწილება, რომელიც დაშლილია დღეს მანქანებით და ხდის ერთს გლეხად, მეორეს მეჩექმედ, მესამეს ფაბრიკის მუშად და მეოთხეს ბირჟის სპეკულიანტად, სრულებით ისპობა".

წარმოების ახალ საფუძველზე გარდაქმნა საფუძვლიანად სცვლის ადამიანთა ფსიქოლოგიური თვისებებისა და კვალიფიკაციის შერჩევის საკითხს. იცვლება ეკონომიური საფუძველი, იცვლება ადამიანების დამოკიდებულებაც მანქანებთან, საგნებთან და მთლიანად გარემო ბუნებასთან. ამ ცვლილებათა საფუძველზე მუშავდება ახალი საზოგადოების ფსიქოლოგია, საფუძველი ეცვლება ინდივიდუალიზმსა და მეშჩანობას. ადამიანები თავისი მასალით და მსოფლმხედველობით დღეს უკვე ის აღარ არიან, რაც იყვნენ ამ რამედენიმე წლის წინათ. „გლეხი თავისი შრომისა და ცხოვრების პირობებით ინდივიდუალისტია. კოლმეურნეობის ქვაბში მხოლოდ 6 წლის გადახარშვის შემდეგ მან ბევრი რამ თავიდან მოიშორა, განსაკუთრებით, რაც ინდივიდუალისტური ხასიათის ნიშნების სახით მასში დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა. უნდა ვიცოდეთ გლეხის ცხოვრების ინდივიდუალური ხასიათი („იდიოტიზმი", მარქსის გამოთქმით), რომ გასაგები გახდეს „რა იყო" წინათ და რა მოუვიდა გლეხს კოლმეურნეობაში" [1]).

როგორც ვხედავთ, კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმა სკოლების წინაშე მეტად მნიშვნელოვან საკითხებს აყენებს. ყველა ამ საკითხის აქ ჩამოთვლა შეუძლებელი ხდება. ამ გეგმის რეალიზაციისთვის ზრუნვა არის და იქნება. პარტიის პროგრამის იმ დებულების რეალიზაცია, სადაც სკოლის შესახებ გარკვეულად ნათქვამია: „პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ე. ი. იმ პირობათა მომზადების პერიოდში, რომელიც შესაძლებლად ხდის კომუნიზმის განხორციელებას, სკოლა არა მარტო კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი უნდა იყოს საზოგადოდ, არამედ ის ამავე დროს კომუნისტური საზოგადოების დამყარებისათვის საჭირო თაობის აღზრდის მიზნით პროლეტარიატის მიერ ნახევრად პროლეტარულ და არაპროლეტარულ მშრომელ მასებზე იდეური, ორგანიზაციული და საალმშენებლო გავლენის გამტარებელიც უნდა იყოს".

ასეთია ის მეტად რთული ამოცანები, რომელსაც პარტიის პროგრამა აყენებს სკოლის წინაშე. ამ ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად 5-წლიანი გეგმის განხორციელებასთან ერთად უნდა გამოვეჭედოთ ახალი საზოგადოების ახალი ადამიანები.

---

[1]) Н. Семашко: „Ты пойми".



ქუთაისი. 1928 წ. რიონის ჰიდროელსადგურის აგება

ნ. ე.

საბჭოთა მეურნეობის განვითარების მთავარი ხაზები და ახალი ფაქტორები.

საბჭოთა სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ გარდამავალ ხანაშია. მართალია, იგი მოსცილდა კაპიტალისტურ გზას, უფრო და უფრო ფეხს იკიდებს გეგმიანობა და ფართოვდება სოციალისტური სექტორი, მაგრამ ჯერ მაინც შორს არის კომუნისტური სახის მიღებისაგან. ამ მიმართულებით მის განვითარებას ხელს უშლის წარსულის ნაშთები. აუცილებელია ამ ძველის დაძლევა და ახალი ფორმების გაფართოება და განმტკიცება.

ამ მიზნის განხორციელების საუკეთესო გზად მიჩნეულია სახ. მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რაც ნიშნავს არა მარტო მრეწველობის განვითარებას, არამედ მთელი მეურნეობის, ყველა მისი დარგის იმავე საფუძველზე გადაყვანას, რომელიც შეადგენს მრეწვე-



ქუთაისი 1928 წ. რიონის ჰიდროელსადგურის აგება.

ლობის ბაზას. ამასთან დაკავშირებით მოხდება შრომის, წარმოების და განაწილების ახალი ორგანიზაცია. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის განმტკიცებით შეიძლება ჩვენი ჩამორჩენილი სახ. მეურნეობის იმ დონეზე აყვანა, როცა შესაძლებელი გახდება კომუნიზმის დამყარება.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მეურნეობაში ბევრი რამ ისეთი გაკეთდა, ისეთმა ფაქტორებმა იჩინეს თავი, რომელთა მნიშვნელობა ერთი და ორი წლით არ განისაზღვრება.

ამათგან პირველია მთელი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დამუშავება. აქამდე ჩვენ მხოლოდ მეურნეობის ცალკე დარგების გეგმები გვქონდა (ელექტროფიკაციის, მრეწველობის და სხვ.). და ეს გეგმებიც არ იყო შეთანხმებული ერთიმეორესთან და მთელი მეურნეობის მიმართულებასთან.

გასულს წელს სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობამ დაამტკიცა მთელი მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა.

ეს გეგმა ჯამს უკეთებს წინა წლების ნამუშევარს და მასთან ერთად იძლევა მომავალი მუშაობის გარკვეულ ხაზებს. იგი აშკარად ყოფს, როგორც იმას, რა გაკეთდა განვლილ პერიოდში, აგრეთვე იმასაც, თუ რის გაკეთებას შევძლებთ ახლო მომავალში.

პირველი წლის შედეგებმა და შემდეგი წლის საკონტროლო ციფრებმა დაგვანახვა, რომ ეს გეგმა დიდი სიფრთხილით ყოფილა შედგენილი: 1928—29 საოპერაციო წელმა თავისი მიღწევებით გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას, მან

ტფილისი. მაუდის ქარხანა

კავშირის მასშტაბით მოგვცა პროდუქციის ზრდა 24%, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21,4%-ისა. კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრით ხუთწლედის მეორე წელი (1929—30). გეგმით პროდუქციის მატება წინა წელთან შედარებით ნავარაუდევია 20%-ით, საკონტროლო ციფრები კი იძლევა მატებას 31%-ით.

დაახლოვებით ასეთსავე სურათს იძლევა საქართველოს სახელმწიფო მრეწველობაც. 28—29 წელმა მოგვცა პროდუქციის მატება დაახლოებით 43%-მდე, წინააღმდეგ გეგმით ნავარაუდევი 41,5%-ისა.

ხოლო 29—30 წლისთვის საკონტროლო ციფრები იძლევა მატებას 65,6%-ის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47%-ისა.

არა ნაკლებ სანუგეშო და საიმედოა თვისებითი მაჩვენებლების მიმართულება, რომელთაგან ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს მხოლოდ თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების შესახებ. კავშირის მრეწველობისთვის: 28—29 წელს თვითღირებულების დაკლება უდრის 4,5% შრომის ნაყოფიერების მატება—16%. 28—29 წლისთვის კი საბოლოოდ მიღებულია თვითღირებულების დაკლება — 11% და



ტფილისი. მაუდის ქარხანა

შრომის ნაყოფიერების მატება 23,5%. ჩვენი სახალხო მრეწველობისათვის იგივე მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგი ციფრებით: თვითღირებულების დაკლება 28—29 წლისათვის შეადგენს — 8,9% და 1929—30-წლისათვის 10,4%, ხოლო შრომის ნაყოფიერების მატება 28—29 წლისათვის 14,5% და 29—30-წლისათვის—23%. აქედან ჩანს, რომ ცხოვრებამ გაუსწრო გეგმას. მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ უკანასკნელის დეფექტიანობას. აქ შემოიჭრა ახალი ფაქტორების გავლენა და ამან დააჩქარა ჩვენი მეურნეობის წინსვლა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება. ნაცვლად 5-წლიანი გეგმით ნავარაუდევი 2.400 მილ. მან., 1929—30 წელს მრეწველობაზე და ელექტროფიკაციაზე დაბანდებული იქნება 3,547 მილ. მან. ასეთი თანხების გაღება შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ ერთი მხრით თვით მრეწველობა იძლევა საშუალებათა დაგროვების დიდ ჯამს და სახ. ბიუჯეტიდან თხოულობს მხოლოდ ერთ მილიარდ მან., ხოლო მეორე მხრით მუშათა კლასი და საზოგადოდ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ელემენტები დიდი შეგნებით და თანაგრძნობით შეხვდენ ინდუსტრიალიზაციის სესხებს, და მესამე სესხი, რომელიც შეადგენს 750 მილიონ მანეთს, თითქმის ერთი თვის განმავლობაში დაფარეს ხელის მოწერით.

კერძოდ საქ. ს. მ. უ. ს. მოეწველობაში ამ დაბანდებათა რაოდენობა შეადგენს 28—29 წლისთვის — 12.465 ათას მან., ხოლო 29—30 წლისთვის 25—27 მილიონამდე. საბოლოო ციფრი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. გარდა ამისა, ტყვარჩელის ქვანახშირზე კავშირის მრეწველობის ხაზით გადადებულია 5,5 მილ. მან. მაგრამ მარტო ფული ასეთ საქმეში ვერ ითამაშებს გადამჭრელ როლს. უმთავრესი ისევ მუშათა და მშრომელთა შეგნება და საქმისადმი მათი მიდგომაა.

უდიდეს გავლენას ახდენს ამ მხრით გასულ 28—29 საოპერაციო წელს მუშების ინიციატივით შემოღებული სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მტკიცდება შრომის დისციპლინა, იზოგება ნედლი მასალა, რომლის საგრძნობი ნაწილი წინათ უსარგებლოდ იკარგებოდა, იზოგება აგრეთვე თვით ფაბრიკა-ქარხნების მანქანები და მოწყობილობა, რომელთაც მეტი სიფრთხილით ეკიდებიან; დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე თვით წარმოების რაციონალიზაციას. ყოველივე ეს იძლევა შრომის ნაყოფიერების მატებას და თვითღირებულების შემცირებას. ეს მოვლენა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აქ მუშა პროლეტარი გვევლინება იმ როლში და იმ სახით, რომელიც მას ეკუთვნის სოციალისტურ ნიადაგზე დაყენებულ მეურნეობაში. მას ესმის, რომ წარმოებაში შეტანილი ყოველი გაუმჯობესება მისთვის, მისი საზოგადოებისთვის არის სასარგებლო, ესმის, რომ დისციპლინის ყოველი დამრღვევი, საწარმოთა ქონების დამაზიანებელი ვნებას აყენებს საერთო საქმეს და მით აფერხებს წინსვლას, გვაშორებს საბოლოო მიზნის განხორციელებას.

აი ასეთი შეგნება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შეჯიბრება არის აღებული მაღალი ტემპის განხორციელების საიმედო თავდები



ტფილისის მაუდის ქარხანა.

არა მარტო მრეწველობაში, არამედ მეურნეობის სხვა დარგებშიც. იგი ფეხს იკიდებს გზათა და წყალთა მეურნეობაში, კოოპერატივებში, კულტურულ დაწესებულებათა მუშაობაში და სოფლის მეურნეობაშიც.

შემდგომი ახალი ფაქტორი, რომელიც იმავე მიმართულებით იმოქმედებს მეურნეობის განვითარებაზე, განსაკუთრებით მრეწველობაზე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა დარგებზე, არის განუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღება.

აქამდე მიღებული იყო, რომ გარდა ზოგიერთი გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების დამაკმაყოფილებელ საწარმოთა, კვირაში ერთხელ, მეშვიდე დღეს, ყველა საწარმო სწყვეტდა მუშაობას მშრომელთა დასვენებისათვის. ამის გამო ფაბრიკა-ქარხნების ყველა მანქანა, მთელი მათი მოწყობილობა უმოქმედოდ და უსარგებლოდ ჩერდებოდა, ხოლო მათი თვალყურის დევნებისა და დატვირთვის საჭირო ხარჯები კი მაინც უნდა გაწეულიყო. ასეთი წესი, რა თქმა უნდა, საგრძნობად ამცირებდა თვით საწარმოთა ნაყოფიერებას და აძვირებდა პროდუქციის თვითღირებულებას.

ახალი წესი, რომლის მიხედვით საწარმო იმუშავებს განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში, 360 დღეს ნაცვლად წინანდელი 300 დღისა, იძლევა საშუალებას 15—20%-ით ანუ ერთი მეექვსედით გადიდდეს საწარმოთა პროდუქცია და ყველა სხვა თანასწორ პირობაში საგრძნობლად შემცირდეს თვითღირებულება, რამდენადაც მის შემადგენელ ელემენტებში შედის შენობების, მანქანების და სხვა ასეთების ღირებულების ნაწილი, რომელიც განსაზღვრულ ვადაში უნდა დაიფაროს ამორტიზაციის წესით. მცირდება აგრეთვე ნაწარმის თვითეული ერთეულისათვის იმ ხარჯების რაოდენობა, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი კავშირი წარმოებასთან და გამოწვეულია ქონების საერთო მოვლით (დარაჯობა, კეთილმოწყობილობა, ნაწილობრივ გათბობა, გადაზიდვის და მიმოსვლის საშუალებათა შენახვა და სხვა).

თავისთავად აშკარაა, რომ ამ ახალი წესის შემოღება შეიძლება მხოლოდ ისეთ საწარმოებში, რომელნიც უზრუნველყოფილნი იქნებიან ნედლეულით და მუშა-ხელით, ერთი დაკვრით მისი გატარება არ შეიძლება. მაგრამ ეს დაბრკოლებები უძლეველი არ არის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ წელს არა, ერთი ან ორი წლის განმავლობაში იგი გატარებულ იქნება თითქმის სავსებით: სახელმწიფოს ხელის შეწყობით გაფართოვდება ნედლეულის ბაზა და მომზადდება საჭირო მუშა ხელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განუ-

წყვეტელი მუშაობის ახალი კადრების ჩაბმა და მით უმუშევრობის შემცირება.

მარტო ზემოთქმულით არ განისაზღვრება ამ რეფორმის შედეგები. მისი გავლენა მეტად საგრძნობი იქნება ყოფა-ცხოვრების და კულტურულ დარგებშიც, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით. აქ ჩვენთვის უმთავრესად მისი ეკონომიური მნიშვნელობაა საინტერესო. ამ მხრით მისი შედეგები უეჭველად დადებითია.

აქვე უნდა გავიხსენოთ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება, რომელიც ტარდება თანახმად საბჭოთა ათი წლის თავზე გამოკვემული მანიფესტისა. სამუშაო დროის შემოკლებასთან ერთად ამ უდიდესი მნიშვნელობის აქტს გათვალისწინებული აქვს საწარმოთა ორ-სამ წყებად მუშაობა, ნაცვლად წინანდელი თითო წყებისა და აშკარაა, რომ ამ რეფორმამ მოგვცა პროდუქციის შესამჩნევი ზრდა და მოითხოვა მუშათა ახალი კარდების ჩაბმა მრეწველობაში.

ასეთ პირობებში და ამ ფაქტორების ზეგავლენით ჩვენი სახ. მეურნეობა, განსაკუთრებით კი მრეწველობა, პირდაპირ გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ.

განვლილი წლების მუშაობა და მომავლის პერსპექტივები გვიჩვენებს, რომ ჩვენი მეურნეობის მთავარი დარგი — მრეწველობა, რომელიც წინ მიუძღვის მთელს მეურნეობას, მართლაც საზღაპრო ტემპით ვითარდება. ოცი და ოცდაათი პროცენტით ზრდა ერთი წლის განმავლობაში დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია ევროპისა და ამერიკის მრეწველობისათვის. ამიტომ სრულიად არ არის უიმედო და საფუძვლიანობას მოკლებული ჩვენი მეურნეობის წინაშე დაყენებული ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთის მეურნეობას“. ეს ჩვენთვის მარტოოდენ ლოზუნგი კი არ არის, იგი მოქმედების და მუშაობის პროგრამაა. ჩამოჩენილი მეურნეობით სოციალიზმის დამყარება არ შეიძლება... ასეთია საზოგადო ხასიათის მიღწევები ჩვენს სახ. მეურნეობაში.

ახლა აღვნუსხოთ მოკლედ ის კონკრეტული მატერიალური მიღწევები, რომელიც გვაქვს 12 წლის თავისთვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში და ისიც, თუ რის გაკეთებაა გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმით მის მთავარ დარგებში. საერთოდ აღებული, საქართველო ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის ქვეყნად რჩება. მისი მრეწველობის ხვედრითი წონა შედარებით სოფლის მეურნეობასთან (28/29 წ.) შეადგენს მხოლოდ 36%, მეორეს კი უჭირავს 64%. მაგრამ თუ გავიხსენეთ, რომ ამ სამი წლის წინათ (1925/26 წ.) მათი ხვედრითი წონა პროცენტულად გამოიხატებოდა 26 და 74-ით, მაშინ

დავინახავთ, რომ მრეწველობა საგრძნობლად განვითარებულია და მთელს კავშირში ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი აქაც მტკიცედ ტარდება. იმავე წლებისა და დარგებისათვის აბსოლუტური ციფრები ასეთ სურათს იძლევა: 1925/26 წელს სასოფლო მეურნეობის მთელი პროდუქცია უდრიდა 259 მილიონ მან., მრეწველობისა— 92 მილ. მან. 1928/29 წელს სასოფლო მეურნეობისა — 271,3 მილ. მან, ხოლო მრეწველობისა — 154,6 მილ. მან.

აქედან აშკარაა, თუ რამდენად უფრო ჩქარი ტემპით მიდის წინ მრეწველობა.

მაგრამ სოფლის მეურნეობაც არ არის შეჩერებული ერთ დონეზე. ამ ორი წლის განმავლობაში იგი იძლევა პროდუქციის 5% მატებას. მატულობს ხორბლეულის ფართობი, იზრდება ტექნიკური და ძვირფასი კულტურების ფართობიც; იცვლება ძველი ფორმა მეურნეობისა — შემოდის ხმარებაში მანქანები; ფეხს იკიდებს კოლექტიური მეურნეობა და არსდება საბჭოთა მეურნეობანი; ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის მეურნეობაც გადადის სოციალისტურ საფუძველზე.

ხუთწლიანი გეგმით 1932/33 წლისათვის ჩვენ გვექნება ასეთი მდგომარეობა:

ყველა ნათესების ფართობი 1927/28 წ. შეადგენდა 800200 ჰექტარს. 1932/33 წელს იქნება — 1.001.500 ჰექტარი. ამათგან: პურეულისა 27/28 წ. — 758.600 ჰექტარი, ხოლო 32/33 წ. — 872.900 ჰექტარი. იმავე წლებისათვის ტექნიკური კულტურების ფართობი იქნება 22.300 და 64.600. მათ შორის თამბაქოსი—14.100 ჰექტარის ნაცვლად 21.100 ჰექტარი, ბამბისა — 5.400 ნაცვლად 22. 400 ჰექტარი. ჩაის პლანტაციების ფართობი, რომელიც ზემომოყვანილ ციფრებში არ შედის, 27/28 წელს შეადგენდა 1.900 ჰექტარს, 32/33 წელს კი იქნება 40.000 ჰექტარი.

როგორც ჩაის, ისე თამბაქოს, ბამბის, კენაფის და სხვა ტექნიკური კულტურების დამმუშავებელთ კონტრაქტაციის წესით ეძლევა დახმარება. გასულ წელს კონტრაქტაციის ქსელში მოჰყვა მეაბრეშუმეობაც. თუ ამას დავუმატებთ ფართოდ დაყენებულ აგროდახმარებას, დავრწმუნდებით, რომ ამ კულტურების გავრცელების საქმე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის დამუშავების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩვენი სოფლის მეურნეობის ორ დარგს: ჩაისა და მეაბრეშუმეობას. განზრახულია ჩაის ფართობის 60.000 ჰექტარამდე აყვანა, ხოლო მეაბრეშუმეობის პროდუქციისა (პარკისა) — 420 ათას ფუთამდე.

აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ქვეყნისათვის სრულიად ახალი კულტურის გავრცელება, სახელდობრ, შაქრის ჭარხლისა, რომლისთვისაც გარდა კერძო მეურნეობაში მისი ჩანერგვისა, ქართლში ეწყობა ცალკე საბჭოთა მეურნეობა (ვომი-აგარას რაიონში). ეს იქნება მომავალი შაქრის ქარხნის ნედლეულის ბაზა.

ხუთწლიანი გეგმით მთელი სოფლის მეურნეობის გასაფართოებლად და მოსაწყობად ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალური დაბანდება შეადგენს 220 მილ. მანეთამდე. მოსალოდნელია, რომ ეს თანხა შესამჩნევად გაიზარდოს, რადგან, როგორც ვთქვით, ზოგიერთი კულტურების გეგმა გადიდებული იქნება. ხსენებული თანხიდან საერთო ხასიათის ხარჯებისათვის, როგორიცაა მელიორაცია, მიწათმოწყობა, გადასახლება, საცდელი საქმის მოწყობა, აგროდახმარება, სასუქის მიწოდება და სხვა დაიხარჯება 98 მილ. მან., მემცენარეობის სხვადასხვა კულტურებზე—80 მილ. მან. მათ შორის ჩაიზე — 54 მილ. მან., თამბაქოზე — 8 მილ. მანეთამდე, შაქრის ჭარხალზე — 1.600 ათ. მან., მევენახეობაზე — 10 მილ. მან. და სხვ.

მესაქონლეობაზე დაიხარჯება — 29 მილ. მან. აქედან მსხვილი პროდუქტიული საქონლის მოშენებაზე — 4 მილიონამდე და მეაბრეშუმეობაზე — 2,7 მილ. მან. გარდა ამისა, ტყის მეურნეობაზე 5.175 ათ. მან. და საბჭოთა მეურნეობაზე — 6.554 ათ. მან. ამ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად გვექნება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდა 43,3%, ხოლო მისი სასაქონლო ნაწილისა — 94%-ით. პირველის ღირებულება შეადგენდა 1927/28 წელს 268 მილ. მანეთს, 1932/33 კი შეადგენს — 384 მილ. მან., მეორისა კი 1927/28 წელს 81,8 მილ. მან. და 1932/33 წელს შეადგენს — 158,7 მილ. მანეთს (იხ. სახ. განკ. კომისიის „ხუთწლიანი გეგმა", ცხრილ. №№ 8, 9 და 10). ასეთია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო ხაზები.

ახლა ვნახოთ, რა ახალი ელემენტები შედის და რამდენად ძლიერდება მასში სოციალისტური სექტორი, რომლის გამოხატულებას წარმოადგენენ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი. ამათ ეკუთვნის გადამჭრელი როლი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

1927/28 წელს კოლმეურნეობა იყო მოწყობილი 339, 1928/29 წელს მათი რიცხვი 800-მდე ადის.

სამანქანო ამხანაგობათა რიცხვი იყო 1927/28 წელს 100, 1928/29 წ. — 110. კოლმეურნეობაში გაერთიანებული მიწების სი-

ვრცე შეადგენდა 1927/28 წ. 17.110 ჰექტარს, 1928/29 წელს — 36.710 ჰექტ. და 1829/30 წელს ნავარაუდევია ამ სივრცის აყვანა 68.200 ჰექტარამდე, ხოლო თვით კოლმეურნეობათა—1200-მდე.

საბჭოთა მეურნეობის სივრცეც, შედარებით წინა წლებთან, საკმაოდ მატულობს, თუმცა აბსოლუტურად მას დიდი ადგილი არ უჭირავს ჩვენს მეურნეობაში. 1927/28 წ. ეს სივრცე შეადგენდა 1.100 ჰექტარამდე, 1928/29 წელს — 1200 ჰექტარს და 1929/30 წლისთვის ნავარაუდევია 1500 ჰექტარამდე. ხუთწლედის დამლევისთვის (1932/33 წ.) ორივე ტიპის მეურნეობათა სივრცე უნდა ავიდეს 168000 ჰექტარამდე.

სოფლის მეურნეობის ამ ხაზით განვითარება დიდს ცვლილებას შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში. რამდენადაც ამ ტიპის მეურნეობა მოიკიდებს ფეხს, იმდენად შემცირდება სოფლის მეურნეობაში დღეს კიდევ გაბატონებული წვრილი ბურჟუაზიული სტიქია.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას ხელს უწყობს აგრეთვე მექანიზაცია: ნაცვლად ძველი ტიპის პრიმიტიული იარაღებისა გაუმჯობესებული ტიპის გავრცელება. ამის შესახებ ასეთი ცნობები გვაქვს:

შემოზიდულია მთავარი სამეურნეო იარაღები:

	1927/28 წ.	1928/29 წ.	1929/30 წ. (გეგმით)
გუთანი	3340	5968	21.700
ფარცხი	280	717	4475
სათესი მანქანა	147	636	3270
ტრიერი	93	115	500
სათიბი მანქანა	68	123	250

გარდა ამისა, 1929/30 წელს უნდა შემოტანილ იქნეს 250 ტრაქტორი.

დავუბრუნდეთ ახლა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ს, რომელზედაც წერილის დასაწყისში გაკვრით ვილაპარაკეთ და მოვიყვანოთ მისი განვითარების მაჩვენებლების შეჯამებული ცნობები.

საერთოდ ცენზიანი მრეწველობა ასეთ მაჩვენებლებს გვაძლევს:

	27/28 წ.	32/33 წ.	მატების %
საწარმოთა რიცხვი	115	197	—
მუშათა რიცხვი	12.794	33.214	+ 159,6
საერთო პროდუქცია (ათას ჩერვ. მან.)	52.931	266.261	+ 403,0
სასაქონლო პროდუქცია (ათას ჩერვ. მანეთი)	48.326,6	250,671,5	+ 518,7
მუშის თვიური გამომუშავება (მანეთობით)	338,3	653,6	+ 93,2
მუშის თვიური ხელფასი (მანეთობით).	60,47	75,86	+ 25,2

იგივე მაჩვენებლები სმუს მრეწველობისთვის:

საწარმოთა რიცხვი	74	108	—
მუშათა რიცხვი	10.790	25,058	+ 132,2
საერთო პროდუქცია (უაქციზო ათას ჩერვ. მან.)	38.638,8	227.112,4	+ 487,9
სასაქონლო პროდუქცია	34.939,2	212.690,1	+ 508,2
მუშის თვიური გამომუშავება (მან.) .	298,4	755,3	+ 153,1
მუშის თვიური ხელფასი	60,1	77,5	+ 29,0

ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალური ხარჯები შეადგენს სულ მთელ მრეწველობაში—173.513.000 მან. აქედან სმუს მრეწველობაზე მოდის—102.296. 300. ამ თანხებიდან ახალ მშენებლობაზე იხარჯება 145 მილ. მეტი, არსებულის რეკონსტრუქციაზე და გაფართოვებაზე—19 მილიონამდე, კაპიტალურ რემონტზე—3 მილიონამდე სამეცნიერო გამოკვლევებზე—2 მილიონი და გეოლოგიურ გამოკვლევებზე—3,7 მილ. მან.

ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ, თუ რა დიდი მშენებლობა იქნება გაჩაღებული ჩვენში მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში და რა ეფექტს მოგვცემს იგი. ამიტომ სიტყვის გაგრძელება არ მიგვაჩნია საჭიროდ, უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი მომენტი.

ხუთწლიანი გეგმის დამუშავების პროცესში მკაფიოდ გამოირკვა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ჩვენი მრეწველობა.



3-4—ხის დამუშავების ქარხანა, 5—ცელულოზის ქარხ., 5-8—მეკვის ქარხ., 10—სპირტის ქარხ., 11-12—ქალაქის ბინები, 13—ქალაქის საწყობი, 14—ძალოსადგური.

ენგურის ქალაქის ქარხნის პროექტის „ზედელი.

როგორც საკავშირო, ისე ფედერატიული და რესპუბლიკანური ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებულია, რომ მრეწველობის მშენებლობა უნდა სწარმოებდეს შემდეგი ხაზებით: **ელექტროფიკაციის საფუძველზე ფართო განვითარების საშუალება უნდა მიეცესთ სამთამადნო, ხე-ტყის დამმუშავებელ და სოფლის მეურნეობის** წარმოების გადამმუშავებელ დარგებს. მრეწველობის ამ მიმართულებით განვითარება ერთნაირად ხელსაყრელი იქნება როგორც საქართველოს, ისე კავშირის სახ. მეურნეობისათვის. ამის თანახმად, როგორც კაპიტალურ დაბანდებათა ცხრილიდან ჩანს, დიდი ყურადღება ექცევა გეოლოგიურ გამოკვლევებს, რომელთაც საბოლოოდ უნდა გამოიკვლიონ მიწის გულის სხვადასხვა სიმდიდრე. ამ გამოკვლევათა საგანს შეადგენს: ნავთი—გურიაში, შირაქში და აფხაზეთში; სპილენძის მადანი — როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე აჭარაში და აფხაზეთში; მარგანეცი—აჯამეთის რაიონში; რკინის მადნები ჩათახისა და მარელისის რაიონებში და სუფსა-სოხუმის ხაზზე; ოქრო — ბორჩალოს მაზრაში და სხვ. ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ნავთის საქმეს. მის გამოსაკვლევად გურიაში და შირაქში უკვე გადადებულია 2 მილიონი მან. და სმუს-თან არსდება ცალკე ნავთის ტრესტი.

დასასრულ მოგვყავს მოკლე ცნობები ახალშენებათა შესახებ.

სმუს მრეწველობის ხაზით ამ ორი წლის განმავლობაში დამთავრდა და დაიწყო ექსპლოატაცია შემდეგი ფაბრიკა-ქარხნებისა:

1. ბარიტის ქარხანა ქუთაისში, რომლის პროდუქცია მიმდინარე წელს იქნება 6.000 ტონა დაფქული ბარიტი, ხოლო მომავალი წლიდან 12.000 ტონა. ქარხნის ღირებულება შეადგენს 650 ათას მანეთს.

2. მაუდის ქარხანა ტფილისში. მუშაობას იწყებს 1929/30 საოპერაციო წლიდან. პროდუქცია 1.400.000 მეტრი მაუდი. ქარხანა დაჯდა 7.825.700 მან.

3. აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა ქუთაისში. პროდუქცია 82.000 კილოგრამი გრეჯა (ძაფი). ღირებულება . . 550.000 მან.

4. ასეთივე ქარხანა ოზურგეთში, ღირებულება . 490.000 „

5. ასეთივე ხონში . . . . . 325.000 „

6. კონსერვების ქარხანა გორში—ამუშავდება მიმდინარე წელს. პროდუქცია შეადგენს 1964 ტონა კონსერვს ხილისა და ტომატისა. ღირებულება ქარხნისა—820.000 მან.

7. ქუთაისის კირის ქარხანა (მოწამეთაში). პროდუქცია 13.000 ტონა. ღირებულება ქარხნისა—370.000 მან.



ქუთაისი. ბარიტის წისქვილი მუშაობს 1928 წლიდან.

მოწამეთის კირის ქარხანა. მუშაობს 1928 წლიდან.

8. აგურ-კრამიტის ქარხანა ნოსირში (სენაკ. მაზრა) პროდუქცია 3.000.000 აგური და 2.000.000 კრამიტი. დაჯდა 403.000 მან.

9. ასეთივე ძალოვნობისა და ღირებულების ქარხანა ტევრში (შორ. მაზრა).

10. ერბოსა და ყველის ქარხანა ბეჟანოში, გადაამუშავებს 80.000 ფუთ რძეს. პროდუქცია შეადგენს 56.320 კილოგრ. ყველს, 3.200 კილოგრ. ერბოს და 7200 კილოგრ. კარაქს. ქარხანა დაჯდა 125.000 მან.

11 და 12 ხილსახმობი ქარხნები შინდისში და მეჯვრისხევში. თვითეული მათგანის პროდუქცია შეადგენს 10.000 ფუთს ხმელ ხილს. ღირებულება თითო ქარხნისა 140.000 მან.



მოწამეთის კირის ქარხანა.

გარდა ამისა, მოეწყო და დაიწყო სხვადასხვა მაზრებში ექსპლოატაცია აგურის და კრამიტის ქარხნებისა.

დაიწყო ჯერჯერობით პრიმიტიული წესით გუმბრის (ქუთაისის მაზრა) თავსაბანი მიწის საბუდოების დამუშავება. გეგმით ამ საქმის ფართოდ დაყენება განზრახული.

დაიწყო აგრეთვე გასულ წელს სახურავი ფიქალის დამუშავება კახეთში (ს. საბუე). ამ პროდუქციას დიდი მომავალი აქვს. მან უნდა გასწიოს სახურავი თუნუქის და კრამიტის მაგივრობა.

ამ ჯგუფის საწარმოთა ჩამოთვლის დამთავრებისას უნდა აღვნიშნოთ მარგანეცის მრეწველობა, რომელიც 1927/28 წლის დამლევს ჩამოერთვა ამერიკელ კონცესიონერს და გადავიდა სმუს-თან დაარსებულ ტრესტის გამგებლობაში.

ამ ტრესტის პირველ საოპერაციო წელიწადად უნდა ჩაითვალოს 28/29 წელი, რომლის განმავლობაშიც ტრესტის მმართველობამ შესძლო თითქმის სრულად გავერანებულ საწარმოთა აღდგენა და პირველსავე წელს აიყვანა გარეცხილი ქვის პროდუქცია 600.000 ტონამდე, ხოლო გაურეცხავისა—150.000 ტონამდე, რომელთა ღირებულება შეადგენს 14.600.000 მანეთს.

ამ ტრესტმა გასულ წელს ახალ აღმშენებლობაზე დახარჯა სულ 2.569.000 მან.

მომავალი მშენებლობიდან აღვნიშნავთ მხოლოდ იმათ, რომელიც 29/30 წლის განმავლობაში იწყება.

1. ბრიკეტის ქარხანა ტყიბულში. პროდუქცია—50.000 ტონა

მოწამეთის კირის ქარხანა

ბრიკეტი. ღირებულება ქარხნისა—226.000 მან.

2. ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში. მისი პროდუქცია უდრის 6.000 ან 9.000 ტონას, ქარხნის ღირებულება ნავარაუდევია 800.000 მან. ქარხანა შენდება იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით შესაძლებელი იქნება მისი პროდუქციის გაორკეცება.

3. ბიტუმის ქარხანა (ნატანების რაიონში). პროდუქცია—1350 ტონა, ღირებულება—470.000 მან.

4. დიატომიტის ქარხანა (ახალციხის მაზრაში). პროდუქცია 16.000 ტონამდე, ღირებულება მისასვლელი გზით—860.000 მან.

5. სახურავი ფიქალის მექანიკური წარმოება. პროდუქცია—8000 ტონა ფიქალი. ღირებულება—230.000 მან.

6. ლითონის მექანიკური ქარხანა ტფილისში. პროდუქცია ღი-

რებულებით შეადგენს 4.200.000 მან. ღირებულება 4.100.000 მან.

7. ქაღალდის ქარხანა ენგურზე. პროდუქცია—16.000—21.000 ტონა ქაღალდი. ღირებულება 16.000.000 მან.



ბეგანი (ახალქალაქის მაზრა). ერბო-ყველის ქარხანა

8. ხის მრეწველობის კომბინატი ფოთში. გადაამუშავებს 21.000 კუბომეტრის ხის მასალას, ღირებულებით 2.000.000 მანეთამდე. ქარხანა ჯდება 950.000 მან.

9. მანგანუმის („შავი ქვის") მრეწველობაში.

ორი ახალი სარეცხი ქარხანა.

№ 1. პროდუქცია—850.000 ტონა ღირებულება—3.600.000 მ.
№ 2. „ 210.000 „ „ 1.104.000 მ.



ბეყანო-ჯორბო-ყველის ქარხანა. მუშაობს 1928 წლიდან.

და მესამე, განახლებული (ძველი სიმონოვისეული) 150.000 ტონა, ღირებულება—437.000 მან.

ფერომარგანეცის ქარხანა (ზესტაფონში). პროდუქცია პირველ ხანებში 50.000 ტონა, შემდეგ კი 150.000 ტონა, ღირებულება—5.125 მანეთი.

10 ტყიბულის ქვანახშირის ახალი მაღაროების მოსაწყობად დაიხარჯება 2.332.000 მან. პროდუქცია უნდა მოგვცეს 300.000 ტონა ნახშირი.

ადგილობრივი მრეწველობის ხაზით განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საშენი მასალის დამმუშავებელ საწარმოთ, როგორიცაა აგურ-კრამიტის და კირის ქარხნები. აგურ-კრამიტის ქარხნების ასაგებად გამოთხოვილია 1027 ათ. მან. გარდა ტფილისისა, სადაც განზრახულია დიდი მექანიკური ქარხნის აშენება, აგურ-კრამიტის ქარხნები შენდება რესპუბლიკის სხვა ცენტრებშიც. ასეთებია ბათუმი, სოხუმი, ხაშური, გურჯაანი, ოზურგეთი. კირის ქარხნების აშენება განზრახულია ძეგვში და ალში. ამათთვის გამოთხოვილია 425 ათ. მანეთი.

საგეოლოგიო-საგამოკვლევო სამუშაოთათვის საკ. ც-ში შეტანილია 965 ათ. მან. ამ თანხით განზრახულია იმ სამუშაოთა შესრულება, რომელიც შეტანილია ხუთწლედის მეორე წლის გეგმაში. კვლევა-ძიება იწარმოებს რესპუბლიკის ყველა რაიონში. ძიების საგანია — ნავთი, რკინა, ფერადი ლითონები, მინერალური სასუქი, საშენი ქვა, საღებავები და სხვა. იწარმოებს აგრეთვე უკვე აღმოჩენილი ობიექტების შესწავლა სამრეწველო ექსპლოატაციის თვალსაზრისით (დიატომიტი, გუმბრინი, ცეცხლმძლე თიხა, ლიტოგრაფიული ქვა და სხვა).

ასეთია საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის მშენებლობის სურათი მომავალ წელს.

ელექტრიფიკაციის ხაზით. კაპიტალური ხარჯები შეადგენს 1928/29 წ. 8.190.000 მან. 29/30 წ.—22. 220.000 მან და მთელი ხუთწლედის განმავლობაში 85 მილიონამდე.

ეს თანხები იხარჯება უმთავრესად სარაიონო სადგურებზე. ამათგან ამუშავებულია **ზაჰესი**, რომელიც იძლევა ამჟამად 12.800 კილოვატს, ხოლო 31/32 წელს უნდა მოგვცეს—37.500 კილოვატი.

აბჰესიც (აბაშის სადგური) შემოსულია ექსპლოატაციაში და მუშაობს ერთი აგრეგატი 540 კილოვატის ძალოვნებით. წელს მიემატება ამავე სიმძლავრის მეორე აგრეგატი, ხოლო 31.32 წლისათვის მისი ძალოვნობა აყვანილ იქნება 2200 კილოვატამდე.

რიონჰესი (ქუთაისი). შენდება 41.000 კილოვატის ძალოვნობისა და ექსპლოატაციაში შემოვა 31/32 წელს. მისი ამუშავების შემდეგ ჩვენი ელექტროსადგურების სისტემა რიონჰეს-ზაჰეს-აბჰესი შესაძლებლობას მოგვცემს ა/კ. რკინის ყველაზე მძიმე და რთული ნაწილი, სურამის უღელტეხილიდან ზესტაფონამდე, გადავიყვანოთ ელე-

ქტროენერგიაზე. ამავე ხუთწლედში დაიწყება დიდი ცენტრალური ელექტროსადგურის აგება თოფარავანის წყალზე (ახალციხის მაზრა), რომლის ძალოვნობა იქნება დაახლოვებით 60.000 კილოვატი.

ამ სადგურის დანიშნულებაა უზრუნველჰყოს აღნიშნული ჰიდროსადგურების შეუწყვეტელი მოქმედება და ენერგიით უზრუნველჰყოს ფერომარგანეცის ქარხანა, რომელსაც სჭირდება წლიური 600 მილიონი კილოვატ-საათი.



შინდისი (გორის ოლქი). ხილსახმობი ქარხანა.

აჭარის-წყალზე დაწყებული ელსადგურის შენება შეჩერებულია დროებით, ზოგიერთი დამატებითი გამოკვლევების ჩატარებამდე. ამ სადგურის დამთავრება ნავარაუდევია 1931/32 წელს. მისი ძალოვნობა შეადგენს 12.000 კილოვატს. მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს ალაზნის სადგურის აგება 4500 კილოვატის ძალონოვბით. სადგური უნდა დამთავრდეს 1932/33 წელს.

გარდა ამისა, აფხაზეთში შენდება ორი ელსადგური.

1) **გუმიუტისა,** ძალოვნობით 1750—2500 კილოვატი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ქ. სუხუმის და მისი რაიონის უზრუნველყოფ ენერგიით; 2) **გალიზგისა**—3.500 კილოვატის ძალოვნობით, რომლის დანიშნულებაა ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონისა და მის საწარმოთა დაკმაყოფილება. აშენება უნდა დაიწყო 1929/30 წელს.

ამის გარდა განზრახულია აშენება მთელი რიგი მცირე ძალოვნობის სადგურისა ცალკეული სოფლისა, კომუნებისა და ფაბრიკა-ქარხნებისათვის. ამათგან ბევრს მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა აქვს და რამდენადაც სარაიონო სადგურები ამუშავდება, მათი რიცხვი მცირდება. საერთოდ ელექტრობის საქმის განვითარების სურათს გვაძლევს შემდეგი ცხრილი ელექტრო-ენერგიის გამომუშავებისა და მოხმარებისა (გვ. 30 ხუთწლ. გეგ.).

ელექტროსადგურთა ჯგუფები	27/28 წ.		28/29 წ.		29/30 წ.		30/31 წ.		31/32 წ.		32/33 წ.	
	გამომუშავ.	მოხმარება	გამომუშავ.	მოხმარება	გამომუშავ.	მოხმარება	გამომუშავ.	მოხმარება	გამომუშავ.	მოხმარება	გამომუშავ.	მოხმარება
1. რაიონული ელსადგური	18,5	16,2	31,5	27,5	57,0	49,1	74,0	63,8	337,5	272,7	404,8	358,5
2. ქარხნ. ელსადგური . .	3,5	3,2	5,1	4,6	12,7	11,6	26,0	23 7	26,6	24,2	32,0	28,3
3. კომუნალური და სოფლის ელსადგური	9,6	8,3	10,5	9,1	6,7	5,8	9,6	8,3	5,9	5,1	3,2	2,8
სულ . .	31,6	27,7	47,1	41,2	76,4	66,5	109,6	951,8	370,0	326,0	400,0	390,1

ამავე წლებში ენერგიის ღირებულება და გასაყიდი ფასები 1 კილოვატ-საათის იყო და იქნება შემდეგი (კაპეიკებით) (მრიცხველია თვითღირებულება, მნიშვნელი—გასაყიდი ფასი) 1927/28 წ. $\frac{9.1}{11}$ 1928/29—$\frac{6.2}{7,8}$, 1929/30 წ.—$\frac{4.0}{4,9}$ 30/31—$\frac{2,9}{3,4}$ 31/32—$\frac{2,0}{2,3}$ და 1932/33 წ.—$\frac{1,8}{2,1}$. ამრიგად, 5 წლის განმავლობაში ელექტრო-ენერგია უნდა გაიაფდეს ხუთჯერ, თუ არა მეტით.

ენერგიის უდიდეს ნაწილს, ხუთწლედის დამლევს, თითქმის 92%, იძლევა სარაიონო სადგურები, რომელთა რიცხვი 1932/33 წლისათვის ადის 7-მდე, ე. ი. ენერგიის დამუშავება მოხდება 7 პუნქტში. აქედან იგი უნდა მიაწოდონ მთელს საქართველოს. ამისათვის ეწყობა გადასაცემი ხაზები და ქვესადგურები. ასეთი ხაზების სიგრძე შეადგენდა 1928/29 წელს 184 კილომეტრს, ხოლო 1932/33

წლისათვის იქნება—900 კილომეტრამდე. ამჟამად გადასაცემი ხაზები მოქმედობს ზაჰესის სადგურიდან ტფილისის ორ სადგურამდე (დიდუბისა და ავლაბრის) 23 კილომეტრის მანძილზე. აბჰესიდან-ფოთამდე—73 კილომეტრი, აბჰესიდან ხონამდე და შემდეგ ქუთაისამდე 40 კილომეტრი, და სხვა. ხუთწლედის განმავლობაში შეერთებული იქნება ზაჰესი და რიონჰესი, მანძილი—192 კილომეტრი და მით სამივე ჩვენი ჰიდროელსადგური დაუკავშირდეა ერთმანეთს. სხვა ხაზებიდან აღსანიშნავია: ზაჰესიდან-საგარეჯომდე 50 კილომ., ზესტაფონი-ჭიათურა—30 კილომ., ხონი-სამტრედია—20 კილომ., აბჰესი—შამგონი (ქაღალდის ქარხანა)—55 კილომ. ალაზნის სადგური—თელავ-სიღნაღი—105 კილომ., აჭარის სადგ.—ბათუმი 30 კილომ. და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჩვენი მიღწევები სხვა დარგებში (გზების მშენებლობა, აბრეშუმი და სხვ.). გაშუქებულია ამ ჟურნალის 1927 წლის ოქტომბრის ნომერში (№ 10) სათანადო დასურათებით. ზაჰესის შესახებ იხ. ამ ჟურნალის 1927 წლის № 2, თებერვალი (აგრეთვე დასურათებული).

ჩვენი სკოლეგის მუშაობიდან

დ. თუარდოსპირელი

როგორ მუშაობენ ჩვენი სასწავლებლები ზაფხულში.

წერილი თელავიდან

მიმდინარე წლის დასაწყისში განათლების ფრონტზე გადმოსროლილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ლოზუნგი სასწავლებლებში მუშაობის გადიდების, მეორე წელს იმავე ჯგუფში დარჩენასთან ბრძოლის, მოსავლიანობის გადიდების და საზაფხულო არდადეგების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

თელავის ათწლედმა სხვა სკოლებთან ერთად უმალვე დასვა ეს საკითხები დღის წესრიგში და შეუდგა მათ განხორციელებას შემოქმედებითი მუშაობით. მან იმუშავა 210 დღე, თუმცა წლიური საწარმოო გეგმით გათვალისწინებული იყო 192 დღე. ჯგუფებს შორის გამოცხადდა შეჯიბრი, წლის დამლევს მოხდა თვით და ურთიერთ შეფასება და მიხწეულ იქნა მეორედ დარჩენილთა რაოდენობის შემცირება. მოსავლიანობის გადიდებისათვის სასწავლებელმა მხურვალე სიტყვით და საქმით პროპაგანდა ჩაატარა იმ ღონისძიებათათვის, რომლის შემწეობით მეურნეობამ მოსავლიანობა უნდა ასწიოს 30—35% ხუთი წლის განმავლობაში.

ათწლედის წლიური მუშაობის აღმრიცხავი გამოფენის საზაფხულო დავალებათა კუთხეში ყურადღებას განსაკუთრებით რამდენიმე პლაკატი იპყრობდა: 1. ჩვენ ზაფხულში არა ვწყვეტთ შრომასთან კავშირს. ვხსნით კლუბს, ვაწარმოებთ გაცხოველებულ მუშაობას სექციებში, საბავშო მოედანზე, სკოლის მიწის ნაკვეთზე, ვაწყობთ „ექსკურსიებს, ვატარებთ საზოგადოებრივ მუშაობას“.

2. „ამხანაგებო! ზაფხულში უთავბოლო წანწალი გონებრივი გართობით შევცვალოთ. თავისუფალი დრო გავაშინაარსიანოთ კლუბში, ქოხ-სამკითხველოში, კულტურულ დაწესებულებებში მუშაობით“. აქვე იყო ვრცელი პროგრამა საზაფხულო დავალებებისა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ პლაკატების დაპირებას, საპერსპექტივო გეგმას „კაზიონური“ ხასიათი აქვს, უმალვე ავიწყდებათ ხოლმე. საბედნიეროდ, ამას ველარ ვიტყვით ჩვენს სასწავლებელზე. მან და-

თელავის ათწლედის მოწაფეები მუშაობენ მათ მიერ გაშენებულ ვენახში

იწყო მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მიღებული ვალდებულება ახალგაზდების აქტიური მონაწილეობით განახორციელოს. სკოლა ზაფხულშიაც განაგრძობს მოწაფეთა კოლექტიურად აღზრდას, ხელს უწყობს ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელსაც სურს და შეუძლია კიდეც მუშაობა უკულტურო გარემოს გარდასაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიური თვალსაზრისით ზაფხულს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი სკოლები სწორედ ამ დროს სწყვეტენ ხოლმე ყოველგვარ საქმიანობას. ივლისის დამლევს სკოლები გამოიკეტება, წიგნსაცავები და ლაბორატორიუმები დაილუქება, მიწის ნაკვეთს, რომლის დამუშავებაზეც იმდენი მხნეობა იხარჯება გაზაფხულზე, სარეველათა ტყე მოედება და მავნეები აჩანაგებენ დანათესს. მოწაფეობა სრულიად ამოიკვეთს ხოლმე ფეხს და ობლად სტოვებს აბლაბუდის ქსელში გახვეულ სკოლას. ათწლედმა სცადა ზაფხულის გამოყენება და მოწაფეობა სასწავლებელს ოგანიზაციულად დაუკავშირა. მოწაფეობამ ჩამოაყალიბა ორი საზაფხულო კლუბი: პირველი საფეხურის და მეორე საფეხურის მოწაფეთათვის. კლუბში გამოყოფილია სამი სექცია: კულტურული, სამეურნეო და სასწავლო-მეთოდური. ყველას აქვს საკუთარი საწარმოო გეგმა; კლუბი უმთავრესად შემდეგ ამოცანას ისახავს:

1. მოწაფეთა ფიზიკური გაჯანსაღება.
2. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩატარება.
3. ქუჩის მავნე გავლენის მოდრეკა.
4. სუსტ მოწაფეებთან მეცადინეობა.
5. სკოლის მიწის ნაკვეთზე მუშაობა.
6. თვითორგანიზაციაში მუშაობის ჩვევების განმტკიცება.
7. საბავშო მოედნის გახსნა და მისი გაძღოლა.

ჩამოვთვალი თვითეული სექციის მიერ გაკეთებულ უთმავრეს საქმეებს.

კულტურული სექციის საწარმოო გეგმაში ვკითხულობთ:

„საზაფხულო მოედანი ბავშების აღზრდის ორგანიზაციის ინტენსიურ ფორმას წარმოადგენს. იგი საუკეთესო საშუალებაა ქუჩის ზეგავლენისაგან ს. ბავშების დასაცავად“. პედაგოგიური განხრის მოწაფეობა ჯერ კიდევ გაზაფხულზე ენერგიულად ემზადებოდა საბავშო მოედნის გასახსნელად. მალე მიახწიეს კიდეც მიზანს. ქარხნის მუშების ბავშებისა და მშრომელი მოსახლეობის ბავშებისთვის გახსნეს მოედანი, საცა სამოცი ბავში დაიარება. მოწაფეების მოედანზე მუშაობას სრულიად უსასყიდლოდ ხელმძღვანელობს სკოლის ასაკამდე აღზრდის მუშაკი მთვარელიშვილი. პედგანხრის მოწაფეებმა მშენივ-

თელავის ათწლედი. სოფლიდან ჩამოსული მოწაფეები წიგნებს არჩევენ სოფლის საბავშო მოედნიდან.

რად იციან, რომ სკოლის ამოცანაა მოსახლეობის ჩაბმა საალმზრდელო-დაწესებულებათა საქმეში და ამიტომ ისინი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებენ მოსახლეობაში. გაადაქვთ მასში ბავშის მოვლის ჩვევები და აბამენ მათ მოედნის მუშაობაში. ასეთმა საქმიანობამ უკვე მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. მშობლებმა საკუთარი ხარჯით მოაწყეს მოედანზე მეტად დიდი საქმე — ცხელი საუზმეებით ბავშების კვება. მოედნის დამხმარე საბჭოს თავმჯდომარე აზიკური მხნეობას არ იშურებს; რომ ბავშებს არა დააკლდესთ რა.

მოწაფეობა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას უფრო და უფრო აღრმავებს. ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მოწაფენი შესძლებენ და მოედანზე მუშაობას შემოდგომა-ზამთარშიაც განაგრძობენ.

ასეთივე მოედნები გახსნილია ათწლედის, პედაგოგიური ტექნიკუმის და სხვა სკოლების მოწაფეთა თაოსნობით წინანდალში, ოჟიოში, შრომაში, ბუშატში, ვარდისუბანში, კურდღელაურში, შალაურში და სხვაგან. უნდა ითქვას, რომ მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს სოფლად საბავშო მოედნის გახსნა. აქ მოსახლეობა ჯერ აღფრთოვნებით არა ხვდება სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს. მიუხედავად ამისა, მოწაფეებმა მაინც დასძლიეს დაბრკოლებანი, კარ-კარ ჩამოიარეს, ასწერეს ბავშები, მოიწვიეს მშობლები, ჩაატარეს მათთან სათანადო პროპაგანდა, დაუახლოვეს მოედანს კულტურული დაწესებულებები და შესძლეს ცხელი საუზმეების მოწყობა.

ათწლედი ცდილობს შეეშველოს ზოგიერთ მოედანს მაინც ხელმძღვანელობით და სხვა დახმარებით. ზოგს სათამაშოებს უგზავნის, ზოგს წიგნებს, ზოგს რვეულებს, ქაღალდებს, ფანქრებს და სხვა.

სოფლად გასული ახალგაზრდების მუშაობა მარტო მოედნების გახსნით არ ამოიწურება. ისინი სხვა საზოგადოებრივ საქმიანობასაც აწარმოებენ, მაგრამ ამაზე მაშინ დავწერთ, როდესაც ისინი სასწავლებელში დაბრუნდებიან და საზაფხულო დავალებათა შესახებ ამრიცხავ კონფერენციას ჩაატარებენ.

დამხმარე საბჭო ათწლედთანაც არსებობს. მის დიდმნიშვნელოვან მუშაობაზე ცალკე ვისაუბრებთ, ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ იგი მოღვაწეობას ზაფხულშიაც განაგრძობს. ძან დახმარება, აღმოუჩინა ათწლედის ექსკურსიას მოსკოვ-ლენინგრადში გამგზავრების დროს და ახლაც ყოველმხრივ ხელს უწყობს. ამ დღეებში პირველი საფეხურის კლუბმა მოაწყო ექსკურსია წინანდალში და დამ-

საბავშო მოედნის დამხმარე საბჭო ბავშებს ასაუზმებს

ზმარე საბჭომ აქაც თავისი ყურადღებიანობა და ზრუნვა გამოიჩინა, ფულითაც დაეხმარა და საბჭოს ერთი წევრიც გააყოლა ექსკურსიას.

კულტსექციის ხელმძღვანელობით სასწავლებელში გახსნილია სამკითხველო, წიგნსაცავი. ეს თელავის სკოლებს შორის ერთი იმ წიგნსაცავთაგანია, საიდანაც არამც თუ მოწაფეობა, არამედ სტუდენტობაც ზაფხულის განმავლობაში უხვად სარგებლობს წიგნებით.

ათწლედის წიგნსაცავი ეხმარება აგრეთვე სოფლიდან საგანგებოდ ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომელთაც ადგილობრივ საბავშო მოედნები აქვთ გახსნილი და ესაჭიროებათ საბავშო ლიტერატურა. ამავე სექციამ მოაწყო სოლარიუმი. იგი გახსნილია მაღალ ბურჯზე, საცა მზის სხივები და „ცივიდან“ მონაბერი ნიავი უხვად ეფრქვევა. სოლარიუმის გახსნაში ხელი ძალიან შეგვიწყო ახალგაზრდობის მეგობარმა ექიმმა **სოსო ლომოურმა**. მან მთელი რიგი მოხსენებები გააკეთა მოწაფეთა წინაშე და მისცა ინსტრუქციები, თუ როგორ გამოვიყენოთ მზე, ჰაერი და წყალი ჯანმრთელობის გასაკაჟებლად:

ჯანმრთელობის საშუალებათა პროპაგანდასაც აქტიურად აწარმოებენ. ათწლედის მუზეუმში ჩვენ შევხვდებით შემდეგი შინაარსის პლაკატს: „ნუ დავივიწყებთ, რომ სუფთა ჰაერი, მზე და წყალი ყველაზე კარგი და უსასყიდლო მკურნალია. ტყე მკურნალობადის ქარხანაა. ჩვენი ჯანმთელობის გასაჯანსაღებლად ხშირად ვიაროთ ტყეში, ყოველდღე მივიღოთ მზის აბაზანები, ცივ წყალში ვიბანაოთ, სუფთა ჰაერზე ვიმუშაოთ“.

კულტკომისიის თაოსნობით იმართება სხვადასხვა ხასიათის მოხსენებანიც. მათ შორის მნიშვნელოვანია საერთაშორისო წითელი ღლის (1 აგვისტო) აღმნიშნავი საღამო.

კულტსექციის მიერ დამზადებულია და ამ დღეებში გამოვა კედლის გაზეთი, საცა ზაფხულის ფერად შთაბეჭდილებებზე იქნება წერილები.

ცოცხალი სინამდვილე ჩვენგან დაბეჯითებით მოითხოვს პრაქტიკულ ცოდნას, ახალი ცხოვრების გამოცდილ მშენებელს, და მოწაფეობაც ამ მოთხოვნილებას შემოქმედებითი მუშაობით ანხორციელებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სამეურნეო სექციის მუშაობა, მან თავს იდო სკოლის მიწის ნაკვეთების მოვლა, გაზაფხულზე დარგულ მცენარეებზე ზრუნვა და ახლად გაშენებულ მოედანზე მორიგ სამუშაოთა ჩატარება, მეაბრეშუმეობის შესასწავლად აბრეშუმის ჭიის გამოყვანა ინკუბატორიდან და მოვლა. აგროგანხრის მოწაფეებს მორიგეობა აქვთ დაწესებული და სადაც გინდა იყოს მოწაფე საზა-

ფხულოდ წასული, როცა მისი მორიგეობის დრო დადგება, მიაშურებს ხოლმე მიწის ნაკვეთს, მოწაფეთა შორის დაუდეევრები ურევიან, შიგადაშიგ გამოერევიან ისეთებიც, რომელნიც ივიწყებენ ნაკისრ მოვალეობას, მაგრამ მათ უმალვე შესცვლიან ხოლმე მე-5, 6, 7, ჯგუფების მოწაფენი.

ამ ზაფხულს უჩვეულო გვალვა დაიჭირა, გადახმა და გატიელდა მოსავალი, ჩამოჭკნა გაზაფხულს ტყის კამპანიის დროს ჩარგული ხეები და ზოგი მათგანი სრულიად დაიღუპა, ათწლედის მოწაფეობამ კი თავისი მხნეობით უმრავლესობა გადაარჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სასწავლებლის ეზოში წყალი დაწყვეტილია, მოწაფეებს ცისმარე დღე შორიდან მოაქვთ „ვედროებით“ წყალი და რწყავენ როგორც სკოლის ეზოს ხეებს და ბოსტნეულს, ისე კოოპერატიის სახელობის ახლად გაშენებულ საბავშო მოედანს. ყველას შემჩნეული აქვს, რომ მცენარეულობაზე ზრუნვა მხოლოდ ტყის დღეს გვაგონდება, დიდის ამბით ჩავყრით ხეებს, ერთი-ორი დღის განმავლობაში მოვრწყავთ და მალევე ვივიწყებთ, რის გამო ადვილად ჩანაგდება ნორჩი, სისვი მცენარეულობა. ახალგაზრდობის საამაყოდ უნდა აღვნიშნო, რომ ათწლედს ორიოდე ძირის მეტი არ გადაჰხმობია, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში ისინი სათუთად ეკიდებიან ხეებს.

ათწლედის ორივე საფეხურის მოწაფეთა შრომის შემწეობით სკოლა იქცა ბაზად:

1. სოფლის მეურნეობის მოწესრიგებისა,
2. მოწაფეთა ცდების და დაკვირვებებისა,
3. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა.

ათწლედის პირველი საფეხურის მიწის ნაკვეთიც კი კონკრეტ დამაჯერებელ მასალას იძლევა აგრომუშაობის საქმეში.

ოთხწლედის აგრონომიზაცია ჩვენში უკვე რეალურ საქმედ იქცევა. ჯერ ისევ დათხოვნის წინ ჩვენი ოთხწლედის სამეურნეო სექციამ ჩაატარა თემის ოთხწლედის სამეურნეო სექციების წევრთა კონფერენცია. მეტად ხალისიანად და აღფრთოვანებით მიდიოდა მისი მუშაობა. გულს ახარებდა დიდი პლაკატი: „სალამი მოსავლიანობისათვის მებრძოლ 4-წლედის მოწაფეთა კონფერენციას“. დღის წესრიგში იდგა მოსავლიანობის გადიდების საკითხები და ჩვენს პატარა მშენებლებს უკვე მოესწროთ და გამოეშვათ საგანგებო კედლის გაზეთი სათაურით: „გავაძლიეროთ მოსავლიანობა.. აქ მრავალ წერილს შორის მოთავსებულია ასეთი ლიზუნგებიც: „კარგი მოსავალი შემ-

თხვევითი სტუმრობიდან ჩვენი ვენახ-მინდვრების და ბოსტნების მუდმივ მობინადრედ ვაქციოთ".

კონფერეცნიის წევრები ათწლედში დიდის აღტაცებით ათვალიერებდენ ფრინველთა კუთხეს, საცა ფრინველთა სახლი და საკვები მაგიდა იყო სანიმუშოდ გამოკიდული. აქ შემდეგი შინაარსის პლაკატებიც ერია: „ფრინველები სპობენ მავნეებს, ადიდებენ მოსავლიანობას. დაჰკიდეთ ბაღებში ფრინველების სახლები და დაუკვირდით: მოისპობიან თუ არა ბოსტნის მავნეები, შემცირდება თუ არა დაჭიანებული ნაყოფის რაოდენობა".

„უმეგობრეთ ფრინველებს, ისინი სპობენ მცენარეთა სამეფოს მტრებს".

წლიური მუშაობის აღრიცხვის დროს ამავე სექციის თაოსნობით გაიმართა საღამო, საცა სხვათა შორის წარმოდგენილ იქნა თვით მოწაფეების მიერ გადმოკეთებული პიესა სარეველებთან ბრძოლის შესახებ. ორივე, საფეხურის მიწის ნაკვეთზე სჩანს მძლავრი მაჯის ცემა ნორჩი თაობისა.

ვუყურებ მხნედ მომუშავე მოწაფეებს და ვამბობ: ისინი უფრო მეტ ნაყოფს მოიტანდენ, რომ მეორე საფეხურის მასწავლებლობა ისევე აღფრთოვანებით მუშაობდეს ზაფხულის განმავლობაში, როგორც პირველი საფეხურის მასწავლებლები. ეს უკანასკნელნი მუდამ მოწაფეებთან იმყოფებიან, მეორე საფეხურიდან კი ორი-სამი მასწავლებლის მეტი არ გაგვკარებია. სკოლას, მართალია, სუსტი, მაგრამ მაინც აქვს კავშირი სოფლად წასულ ახალგაზრდებთანაც. ისინი პედტექნიკუმის მოწაფეებთან ერთად აარსებენ საბავშო მოედნებს და ატარებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

სასწავლო-მეთოდური სექცია ჯერჯერობით მხოლოდ პირველ საფეხურზე მუშაობს. აქ მეცადინეობა სწარმოებს სუსტ მოწაფეებთან, ღარიბ ბავშებს გამოუძებნეს წიგნები, რვეულები, ფანქრები და სწამთ — იმდენად მოაღონიერებენ მათ, რომ იმავე ჯგუფში აღარ დასტოვებენ. მოწაფეობა ამთავითვე ემზადება ზაფხულის დამლევს სააღრიცხვო კონფერენციის ჩასატარებლად და სხვათა შორის იმ მოწაფეების გასასამართლებლად, ვისაც შეუძლია და მაინც არ დაიარება სასწავლებელთან გახსნილ კლუბში.

არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო მუშაობის უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზები:

1. ჩვენი გამოუცდელობა — ასეთი მუშაობა ჩვენთვის ახალია და მისი გაძღოლა გვიძნელდება.

2. მასწავლებელთა ნაკლები პროცენტის ჩაბმა ამ საქმიანობაში.

3. მოწაფეთა დატვირთულობა ოჯახური საქმეებით, რაც ხელს უშლიდა მათ სისტემატიურად ევლოთ კლუბში.

4. ქუჩის მავნე გავლენა. ქუჩა ჯერ ისევ ძლიერია და მნიშვნელოვან წინააღმდეგობასაც გვიწევს. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ჯერაც ვერ გადავაჩვიეთ ქუჩაში უთავბოლო ხეტიალს.

ჯერჯერობით ასეთია ათწლედის საზაფხულო კლუბის საქმიანობა.

დაბოლოს უნდა დავძინო, რომ ამგვარი მუშაობა, ცალკეული სკოლების პედაგოგიურ ექსპერიმენტს არ უნდა წარმოადგენდეს, მან მასიური ხასიათი უნდა მიიღოს და, მაშინ ურთიერთი გამოცდილებით უფრო მოვლონიერდებით.

სკოლების სოციალისტური შეჯიბრის პირობებში საზაფხულო მუშაობის მოწესრიგების საკითხსაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს.

ა. მაჭარაშვილი

სკოლის მონაწილეობა თესვის კამპანიაში.

წერილი ხაშურიდან

ხაშურის რკ. გზ. მესამე შრომის სკოლამ თესვის კამპანიაში მხურვალე პრაქტიკული მონაწილეობა მიიღო. სკოლამ თავდაპირველად აირჩია თესვის კამპანიის ჩამტარებელი კომისია მასწავლებლებისა და მოწაფეებისაგან. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო წინასწარ შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმად სკოლამ თავის საშეფო სოფლებში—აზარმაში, ნიკორტში და ჭანკოტაძეებში — შეასრულა შემდეგი სამუშაოები: გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა ზემოხსენებული სოფლების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. სოფლის საბჭოსთან და სამეულთან შეთანხმებით აღრიცხულ იქნა ცალკე ის ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომელთაც ესაჭიროებოდათ აუცილებლად დახმარება თესლეულობით, მუშა-ხელით, მუშა-საქონლით და აგრეთვე სხვადასხვა სახის აგროდახმარება. ადგილობრივმა თემ-აღმასკომმა დიდი დახმარება გაუწია კომისიას. მისი საშუალებით ჩვენი საშეფო სოფლების გლეხობამ მიიღო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისაგან საჭირო დახმარება როგორც თესლეულობით, ისე კრედიტით. კომისიამ გამოიწვია სკოლის მასწავლებელნი და მსურველი მოწაფეები თესვის კამპანიის სასარგებლოდ, რითაც შეგროვდა 92 მანეთი. გარდა ამისა, დადგმულ იქნა

ხაშურის შრომის სკოლა აძლევს სოფელ აზარმას სასოფლო-სამეურნეო იარაღებს

საღამო-წარმოდგენა თესვის კამპანიის ფონდის გაძლიერებისათვის. აღნიშნული თანხები კომისიამ შემდეგ საქმიანობას მოახმარა: სოფ. აზარმის უღარიბესი გლეხების და წითელარმიელების ოჯახებს მოვუხანით ჩვენი ხარჯით რვა დღის მიწა. სკოლამ მოაწყო ზემოხსენებულ სოფლებში სამეურნეო ლაშქრობა, რაშიაც მონაწილეობა მიიღო 105 მოწაფემ და 13 მასწავლებელმა; სამეურნეო ლაშქრობის დროს გამარგლულ იქნა 38 დღიური პურის ყანა. ამჟამად სკოლას აქვს შეძენილი დიდი გუთანი და ფარცხი, რომელიც გადაეცემა სოფელ აზარმას იმ მიზნით, რომ სოფლის უღარიბესი გლეხობისაგან ჩამოყალიბდეს პატარა სამანქანო ამხანაგობა. აღნიშნული საკითხი კომისიამ უკვე შეათანხმა ადგილობრივ რაიკომსა და თემალმასკომთან. გარდა ამისა, სოფლებში ჩატარდა მოხსენება-საუბრები თესვის კამპანიის მნიშვნელობის და მიზნის შესახებ და დაიდგა პიესები: 1. „რასაც დასთეს, იმას მომკი“ და 2. „ობლიგაცია“. მოხსენება-საუბრებს და პიესებს დაესწრენ ჩვენი საშეფო მთელი გლეხები და გლეხი-ქალები.

გლეხობა ყველგან დიდი სიხარულით და აღტაცებით ეგებებოდა ჩვენს მუშაობას. კომისიას მომავლისათვის განზრახული აქვს გაუწიოს საშეფო სოფლების უღარიბეს გლეხობას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული და ნივთიერი დახმარება, როდესაც დაიწყება თოხნა და შემდეგ კი ჭირნახულის მოწევა.

ს. რეხვიაშვილი

საზმეცნიერების კაბინეთი და საზმეცის მასწავლებლის კვალიფიკაციის საკითხი.

„Обществовед, кроме того, что он обществовед, должен быть педагогом, стоящим на уровне всех современных достижений педагогической теории и практики“.

Корнейчин.

საზმეცის კაბინეთების მოწყობის და მისი დანიშნულების საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღეს, რადგან ამ საკითხის სათანადოდ მოგვარებასთან არსებითად დაკავშირებულია საზმეცნიერების მასწავლებელთა კვალიფიკაციის აწევის შესაძლებლობა.

ჩვენს კაბინეთებს ხანგრძლივი ტრადიცია არა აქვს და ამით აიხსნება მათი მუშაობის სისუსტე. საზმეცნიერების კაბინეთების მნი-

შვნელობა ყველასათვის ცხადია, მაგრამ მოწყობილობის მხრივ ეს კაბინეთები ჩვენში ყოვლად საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენდა. ლიტერატურა, რომელიც აშუქებდა საზმეცნიერების მეთოდების და მეთოდოლოგიუ საკითხებს, ჩვენს კაბინეთებში ხშირად სანთლით იყო საძებარი, რაც საშუალებას უსპობდა ამ საკითხებით დაინტერესებულ პირს გვერდი აეხვია სურვილისათვის და გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩენილიყო. მართალია, უკანასკნელი წლის განმავლობაში კაბინეთების მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ ამით ვერ განისაზღვრებოდა დადებითი მუშაობის მხარე.

კაბინეთების მუშაობის ორგანიზაციაც ძალზე მოისუსტებდა იმ მხრივაც, რომ კონტაქტი ქართულ, სომხურ და რუსულ კაბინეთებს შორის (მუშაობის გეგმის კოლექტიურად დამუშავება, მიზანდასახულობის ერთგვაროობა) სუსტი იყო.

შემცდარი აზრი იქნებოდა დაუკავშირებლობის მიზეზების ძებნა რომელიმე პიროვნების მხრივ ხელმძღვანელობაში, ვინაიდან კაბინეთის ხელმძღვანელობის სურვილს და მისწრაფებას ობიექტური ვითარება განსაზღვრავდა. ეს დებულება, ვფიქრობ, მომავლისათვისაც ძალაში დარჩება, თუ განათლების განყოფილებამ ე. წ. კაბინეთების მოწყობას მეტი ყურადღება არ მიაქცია. ამ მიმართულებით სიძნელეთა რუბიკონი გადალახულია.

საზმეცის კაბინეთების ხელმძღვანელმა ინსტრუქტორება უნდა დაამუშაონ სათანადო ხარჯთაღრიცხვა ლიტერატურის შესაძენად და წარადგინონ განყოფილებაში. ეჭვი არ არის, რომ საზმეცნიერების კაბინეთებისათვის გაორკეცებული ყურადღების მიპყრობა შეგვაძლებინებს იმ სიძნელეთა გადალახვას, რომელნიც აბრკოლებენ კაბინეთის მუშაობას.

მაგრამ, არ კმარა მარტო კაბინეთების შესახებ ლაპარაკი — პარალელურადა უნდა დაისვას საკითხი: ვის უნდა ემსახურებოდეს ეს კაბინეთი, როგორია ჩვენი საზმეცის მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე და დღემდე კაბინეთში დასწრება. პირველ კითხვაზე პასუხს იძლევა კაბინეთის მიზანი და დანიშნულება. რაც შეეხება საზმეცის მასწავლებელთა პასიურობას, რაც გამოიხატებოდა სისტემატიურ დაუსწრებლობაში, ეს უსათუოდ ინტერესის შემცირების ბარომეტრია, რასაც თვით საზმეცის მასწავლებელმა უნდა გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა. შეგნება საგნის და ახალთაობის მიმართ მოვალეობისა, ვფიქრობთ, უდიდესი საშუალება იქნება მიძინებული ინტერესის გამოსაღვიძებლად. საზმეცის კაბინეთსა და საზმეცის მასწავლებელს შორის ორგანიული კავშირის დაჭერა, — აი რამ უნდა გამოა-

სწოროს ის ტრაღიკული მდგომარეობა, რასაც ჩვენი მასწავლებლობის კვალიფიკაციის სისუსტე ეწოდება. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახალგაზრდა მასწავლებლობის ნაწილი სხვათა შორის ჰკიდებს ხელს იმ საგნის სწავლებას, რომელიც ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინათა რთული კომპლექსია. ამ ნაწილის კვალიფიკაცია ზოგ შემთხვევაში ნოლს არ აღემატება. საზმეცის ზოგიერთი მასწავლებლის მოუმზადებლობა იმდენად ცხადია ბავშვებისათვისაც კი, რომ მასწავლებლის ავტორიტეტის აწევა არანაირად არ ხერხდება. საზმეცის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მით უმეტეს დღე, როდესაც საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის ზრდა პრობლემად კი არ დგას ჩვენს წინაშე, როგორც ბევრი ფიქრობდა, არამედ გიგანტურად არღვევს დაბრკოლებათა ზღუდეებს და იჭრება მსხვილ ინდუსტრიაში. საზმეცის მასწავლებლის—კომუნისტის პოლიტიკურად მომზადების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით იშლება ჩვენს წინ და მის გადაჭრას მოითხოვს მომენტის სიდიადე. უნდა ითქვას, რომ იმ საერთო მიზეზებს შორის, რომელნიც ხელს უშლიან საზმეცნიერების საკითხის დადებითად მოგვარებას ჩვენს სკოლაში, პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს საზმეცის მასწავლებლების მოუმზადებლობას. მოუმზადებლობის ხაზით უნდა ვიგულისხმოთ ცალმხრივი მომზადება. მაგ., ზოგი მასწავლებელი კარგად იცნობს არა კლასთა ბრძოლის ისტორიას, არამედ სახელმწიფოების ისტორიას, ხოლო ისტორიის შესწავლა უკანასკნელის თვალსაზრისით არსებითად ეწინააღმდეგება პროლეტარულ იდეოლოგიას.

სად უნდა ვეძიოთ ასეთი აბნეულობის მიზეზები? ჩვენ ვფიქრობთ, იმაში, რომ ჩვენი ამხანაგი მასწავლებლები ვერ იცნობენ მარქსისტულ მეთოდოლოგიას, რომელიც თავისებური კომპასია საზოგადოებრივ რთულ მოვლენებში შესასვლელად. არიან ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ ისტორიაზე ელემენტარული წარმოდგენაც არა აქვთ. თუ მასწავლებელი არ არის შეიარაღებული იმ დისციპლინებით, რომლებიც საზმეცნიერების შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს, ცხადია, იმედების განაღდებაზე ლაპარაკი ზედმეტია. არსებული მდგომარეობის ობიექტური ანალიზი ვერაოდეს ვერ ჩაითვლება აბსოლუტური პესიმიზმის ნავსაყუდრად, ვინაიდან ჩვენს ხელშია ის საშუალება, რამაც უნდა გამოასწოროს მდგომარეობა. სად არის გამოსავალი? უდავოა, რომ გამოსავალია საზმეცის მასწავლებელთა კვალიფიკაციის აწევა. საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა შექმნას მაგარი დისციპლინა მუშაობისათვის, თვითგანვითარებისათვის, მოუმზადებ-

ლობის დასაძლევად საზმეცის მასწავლებელი უნდა ავიდეს იქამდე, რომ მასში დავინახოთ არა მარტო ამ საგნის მასწავლებელი, არაქედ პედაგოგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელიც თანამედროვე თეორიების და პრაქტიკის მიღწევებთან ახლოს იდგომება. ჩვენი საზმეცის მასწავლებელთა ახალგაზრდული ენტუზიაზმი, რომელიც ჯერ მოკლებულია საკმაო გამოცდილებას, გახდება პროლეტარიატის იდეოლოგიის სასარგებლოდ მომავალი შემოქმედებითი მუშაობის თავდები.

ოფიციალური ნაწილი

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი ენტუზიაზმით გავასალოთ.

ცირკულარული წერილი
18/X—1927

მასწავლებლობას და მოსწავლე ახალგაზრდობას.

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა მივიღეთ. მა გეგმის სწორედ შეფასებამ მშრომელი მასებისათვის ცხადი უნდა გახადოს არა მარტო მისი შედეგების უდიდესი მნიშვნელობა, არამედ ხუთწლედთან დაკავშირებული სიძნელენი და ის პასუხისმგებლობა, რომელიც თვით მასებს აქვთ დაკისრებული ხუთწლედის განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში. მშრომელთა ათეული და ასეული მილიონები ურყევ რიგებად უნდა დაირაზმონ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გარშემო.

ჩვენი მშრომელი მასების სოციალისტურ მშენებლობაში ძლიერი ნებისყოფისა და პასუხისმგებლობის შეგნების საუკეთესო მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თვითონ დააყენეს საკითხი, ხუთწლიანი გეგმის და სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნის განმტკიცების მიზნით, ნივთიერი სახსრის თვით მასებშივე გამონახვის შესახებ, და ეს სწორედ მაშინ, როდესაც, მსოფლიოს იმპერიალისტების დაგეშებით, მანჯურიის და ნანკინის ავანტიურისტებმა ხმალი იშიშვლეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომის საშიშროება მთელი სიცხადით კვლავ აღიმართა.

მასების მოთხოვნით და თაოსნობით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი გამოშვებულია და მასზე იშვიათის ერთსულოვნებით წარმოებს ხელის მოწერა. სესხის სწრაფი განაღდება იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქ-

ცია აჩქარებული ტემპით იწარმოებს, ადგილებზე კულტურული მშენებლობის საფუძველი განმტკიცდება, რადგან მთელი სესხის (750 მილ. მანეთი) 10% ადგილობრივ სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას მოხმარდება (იმაზე რომ არ ვთქვათ, რომ სესხის ობლიგაციების შემძენს საკმაო ნივთიერ შემოსავალს აძლევს). სესხის სწრაფი განაღდება ჩვენი მშრომელი მასების პოლიტიკური სიმწიფისა და სოციალისტური სამშობლოს მიმართ უდიდესი ერთგულების უეჭვო მაჩვენებელია. მასების ამოქმედება სესხის განაღდების ამოცანების გარშემო უნდა დავაფასოთ არა მარტო როგორც მშენებლობის ნივთიერი საფუძვლების გამაგრების საიმედო წყარო და საშუალება, არამედ თვით მასების გათვითცნობიერებისა და ორგანიზაციის საშუალებაც. ამ მიმართულებით გაძლიერებული მუშაობის წარმოება გვმართებს, განსაკუთრებით სოფლად; წინა სესხების განაღდებაში სოფელი თუ შედარებით პასიური იყო, მესამე სესხმა უღარიბესი და საშუალო გლეხობა უეჭველად უნდა აამოძრაოს: არცერთი ოჯახი არ უნდა დარჩეს, რომ მას სესხის ობლიგაცია არ ჰქონდეს შეძენილი. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ. სკოლა აქაც პირველ რიგში უნდა იდგეს. მასწავლებლობამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ, თავისი საზოგადოებრივი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სესხის პოპულარიზაცია უნდა გაიხადოს და მის განაღდებას ხელი შეუწყოს, მოსახლეობის ფართო მასებში სწორედ უნდა გაშუქდეს სესხის რაობისა და მისი დანიშნულების საკითხი. ამ მიზნით ჩატარებულ უნდა იქნას საუბრები და მოხსენებები მასწავლებელთა კონფერენციებსა და თათბირებზე, მასიურ კრებებზე, მოეწყოს დემონსტრაციები და ხვადასხვა სახის გამოსვლები სესხის განაღდების სასარგებლოდ, გამოშვებულ იქნას კედლის გაზეთის საგანგებო ნომრები, გაიკრას დაწესებულებებსა და საჯარო ადგილებზე მოწოდებანი, სათანადო შინაარსის ლოზუნგები და პლაკატები, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოს ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ სესხის განაღდების საქმეს. ახალ სესხზე კოლექტიური ხელის მოწერა და როგორც ახალი, ისე წინა სესხების—ობლიგაციების კოლექტიურადვე შენახვა, — აი ამ ამოცანაზე უნდა გამახვილდეს მასწავლებლობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ყურადღება. სადაც სკოლას სპეციალური საშუალება გააჩნია, მან სესხზე ხელის მოწერაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა; ხელის მოწერაში მოსწავლეთა მასებიც უნდა ჩაებან.

თავისი მუშაობის პირობების მიხედვით, ქალაქის და სოფლის სკოლა მუშაობის საკუთარ გეგმას შეიმუშავებს. ძლიერ სასურველია

ამ მუშაობაში მთელი რაიონის სკოლების შეთანხმებული გამოსვლა— შეერთებულად დამუშავებული გეგმის მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრის ტალღა სკოლებზეც ვრცელდება: ვინ მეტს და უკეთესად გააკეთებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის სასარგებლოდ,—ეს ამოცანაც შეჯიბრის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად უნდა გახდეს სკოლაში.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში.

ცირკულარული წერილი

7/X—1929

სოციალისტური შეჯიბრება მიზნათ ისახავს მშრომელი მოსახლეობის მთელი ძალღონისა და ენერგიის შემოკრებას იმ საქმის გარშემო, რომელიც საბჭოთა მეურნეობის და მრეწველობის ნაყოფიერების ჩქარი ტემპით გაზრდა-გაუმჯობესებასა და მისი კულტურული დონის აწევას ემსახურება.

სოციალისტური შეჯიბრება — ეს ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია, იმისთვის, რომ 5-წლიან გეგმაში გათვალისწინებული აღმშენებლობის ამოცანები საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყოველ ფრონტზე საუკეთესოთ იქნეს შესრულებული, რომ შეჯიბრებაში მონაწილე დაწესებულებებმა — იქნება ის წარმოება, სამეურნეო ორგანიზაცია, თუ რომელიმე კულტურული საგანმანათლებლო დაწესებულება — სკოლა, თუ საბავშო ბაღი, ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე თავისი მუშაობა მთლიანად ან სპეციალურად რომელიმე ერთ ან ორ დარგში გააუმჯობესონ და მისი ნაყოფიერება მაქსიმალურად გაზარდონ.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებმაც, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა კულტურულმა კერამ, რომელიც ათავისუფლებს მშრომელ მუშა და გლეხ ქალს ოჯახის ვიწრო ფარგლებიდან და ახალი ცხოვრებისათვის, საჭირო ახალთაობას უზრდის საბჭოთა სახელმწიფოს, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ 5-წლიან გეგმაში დასმულ ამოცანების განხორციელებაში სოციალისტური შეჯიბრების გზით.

სანამ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები ერთმანეთს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვევდენ და ხელშეკრულებას და-

სდებენ ერთმანეთის მუშაობის რომელიმე დარგის განსაზღვრულ ვადაში გაუმჯობესების და გარკვეული შედეგების მიღწევის შესახებ. — აუცილებელია თითოეულმა ამათგანმა დაკვირვებით აღრიცხოს თავისი მუშაობის ყოველი მხარე, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ანგარიში გაუწიოს მის უახლოეს საჭიროებას და კარგათ აწონ-დაწონოს თავისი ძალები. მხოლოდ ამის შემდეგ, სოციალისტური შეჯიბრების მიერ დაკისრებული მოვალეობის სრული პასუხისმგებლობის შეგნებით, შესაძლებელია თითოეულმა საბავშო დაწესებულებამ (საბ. ბაღი, კერა) ხელშეკრულება დასდოს მეორესთან.

ასპარეზი სოციალისტური შეჯიბრისათვის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ფართოა, ბევრია ის მტკივნული, სუსტი მხარე, რომლის გამოსასწორებლად პირველ რიგში უნდა იქნეს ჩატარებული ინტენსიური მუშაობა, როგორც საბავშო დაწესებულებებში უშუალოდ მომუშავე პედაგოგების, ისე მათ გარშემო შემოკრებილ მშობლების მიერ.

ყველაზე უფრო მტკივნეულ მხარეთ სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში საერთოდ უნდა ჩაითვალოს თვით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა სიმცირე (მთელს რესპუბლიკაში არსებულ საბ. ბაღები ამ ასაკის ბავშთა მხოლოდ 1,7% აკმაყოფილებენ, დანარჩენი სკოლის ასაკამდე ბავშების 98, 3% საბ. დაწესებულებათა გარეშე რჩებიან, რაც არსებულ საბავშო ბაღებს და კერებს მათი გადატვირთვის გამო არანორმალურ მდგომარეობაში აყენებს და ყოველ მხრივ ხელს უშლის მათი მუშაობის ნაყოფიერების გაზრდას.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებს მშობლებთან ერთად დიდი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ სწორეთ სოციალისტური შეჯიბრების გზით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საქმეში.

შეჯიბრებაში მონაწილე დაწესებულებები, რომელნიც ერთმანეთთან ხელშეკრულებას დასდებენ განსაზღვრული დროისათვის ახალი საბ. ბაღის ან საბავშო მოედნისა და საღამოს ოთახების ორგანიზაციის შესახებ, მთელ ძალ-ღონეს მოანდომებენ იმას, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციები, მშობლები და მოსახლეობა დაიხმარონ, ნივთიერი საშუალებები გამონახონ და შეერთებული ძალით მისცენ განათლების ორგანოებს ახალი საბავშო დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობა.

მართალია, ამ საკითხში დაწესებულებებს შორის სოც. შეჯიბრების გამოცხადება და ხელშეკრულებაში დადებული პირობის რეალიზაციისათვის მუშაობა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ქალაქებში (ტფილისი და მაზრის ცენტრები), სადაც ნივთიერი საშუა-

ლებებიც მეტია და სხვადასხვა ამ საქმით დაინტერესებული ორგანიზაციების სიმრავლეც უფრო ხელს შეუწყობს მუშაობის ნაყოფიერათ დამთავრებას, მაგრამ ადგილებზეც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულების მიერ შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს ქსელის გაფართოების საქმეში.

ადგდლებზე დიდი მნიშვნელობა ექნება სხვა საკითხებს შორის შეჯიბრების გამოცხადებას ბავშების კვების საკითხის საუკეთესოთ მოგვარებაში, რადგან აქამდე მიუხედავად მაზრის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მრავალი ცდისა, საბ. ბაღებში ბავშებს უმეტეს ნაწილად სრულიად არ ეძლევათ ცხელი საუზმე არც ადგილობრივ აღმასკომებისა და არც მშობლების ხარჯზე. ბავშების მიერ შინიდან სხვადასხვაგვარი საუზმის მოტანა კი, რასაც ზოგ საბ. ბაღში აქვს ადგილი, სრულიად ეწინააღმდეგება სოციალური აღზრდის პრინციპებს და აფერხებს საბ. ბაღის ხელმძღვანელების მუშაობას ბავშების გაჯანმრთელების გარშემო.

ის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, რომლებშიც ბავშებს კვება აქვთ მოწყობილი, შეიძლება შეეჯიბრონ ერთმანეთს კვების გაუმჯობესების საკითხში.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის ნაყოფიერებისათვის მშობლებთან და მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერასა და მათთან ფართო საზოგადოებრივ პედაგოგიური მუშაობის ჩატარებას.

ამიტომ აუცილებელია შეჯიბრებისათვის ერთ-ერთ მთავარ საკითხად საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობის საკითხი იქნეს გამოყოფილი მისი საუკეთესოდ დაყენებისა და ფართოდ გაშლა-განვითარების მიზნით.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგიური მუშაობის გაღრმავებისათვის საჭირო და სასარგებლო იქნება მათი შეჯიბრება ერთმანეთთან, როგორც საერთოდ პედაგოგიური მუშაობის საუკეთესოდ დაყენების, ისე მუშაობის ცალკე დარგების, — როგორიც არის, მაგალითად: ბუნებაში შრომა, ხეზე მუშაობა, საოჯახო შრომა, ბავშებში და მათ ოჯახებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების განმტკიცება და სხვა გაუმჯობესებისათვის. სასურველია შეჯიბრება შოეწყოს აგრეთვე საბ. დაწესებულების საჭირო ინვენტარით და დიდაქტიურ მასალით საუკეთესოთ უზრუნველყოფის საკითხში.

ყოველ საბ. დაწესებულებას თავისი მუშაბის ყველა მხარის გათვალისწინებისა და თავისი ძალ-ღონის დაწვრილებითშეფასების შემდეგ შეუძლია ორი-სამი (არა უმეტესი) საკითხი გამოყოს და მათ

საუკეთესოთ დაყენებაში შეეჯიბროს მეორე საბავშო დაწესებულებას. ხელშეკრულობის დადების დროს აუცილებლად უნდა შედგეს განსაკუთრებული კომისია. რომელშიც შევლენ გან. ორგანოების პარტიულ და სხვა ორგანიზაც. წარმომადგენლები და რომელთაც მიენდობაოთ ხელშეკრულობის ცალკე მუხლების მკაფიოთ ჩამოყალიბება; განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამავე კომისიის მიერ უნდა მოხდეს სოც. შეჯიბრში მონაწილე საბ. დაწესებულებების მუშაობის, მათ მიერ დადგენილ პირობის მიხედვით, შემოწმება და შედეგების გამოქვეყნება (ჩატარებული მუშაობის აღნიშვნა) ან ადგილობრივ, ან ცენტრალურ პრესაში.

შეჯიბრებაში საბ. დაწესებულებებთან ერთად აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დაწესებულებებთან დაკავშირებულმა მშობლებმაც და საერთოდ მოსახლეობამ, რომელნიც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებთან ერთად ეცდებიან მისი მუშაობის ნაყოფიერების საერთოდ გადიდებას და კერძოდ იმ საკითხების საუკეთესოდ მოგვარებას, რომელთა გარშემო შეჯიბრება იქნება გამოცხადებული.

ამ გზით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები თავის დიდ წვლილს შეიტანენ 5-წლიან გეგმაში დასახელებული ამოცანების განხორციელებაში კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

განათლების სახალხო კომისრის
მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**
I საფეხურის სკოლებისა და სკოლის ასაკამდე
აღზრდის ინსტრუქტორი **მ. ლომინაძე.**

დაუსწრებელ კურსებზე ჩამწერთათვის.

იწყება ახალი სამოსწავლო წელი და მასთან ერთად ჟურნალის ახალი წელიც. წრეულსაც გამოვა „დაუსწრებელი კურსების“ მასალა. ამიტომ საჭიროთ ვსთვლით მეორეთ ხელახლად მოვათავსოთ დაუსწრებელ კურსებზე ჩაწერის პირობები. კურსებზე ჩასაწერად საჭიროა ამ ჟურნალზე ხელის მოწერა, ქვემოთ მოყვანილი ანკეტის შევსება და მუშაობის დაწყება **პირველი დავალებიდან** (1928/29 წლის ჟურნალი № 1-2). **კურსებზე ჩაწერილ მსმენელებს** შეუძლიათ ჟურნალის 1928/29 წლის ნომრები მიიღონ წრეულს (გამონაკლისის სახით) შეღავათიან ფასში—2 მანეთად. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ იმ მასწავლებელთ, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლების ცენზი და რომელნიც კარგათ შეასრულებენ დაუსწრებელი კურსების მუშაობას და რომლებიც მოისურვებენ მეორე საფეხურის დამთავრების მოწმობის მიღებას, ჩაეთვლებათ წარმოებული მუშაობა და განთავისუფლებულ იქნებიან პედაგოგიური საგნების ჩაბარებისაგან.

დაუსწრებელი კურსების კოლეგია.

დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითგანვითარებისათვის

№ 8[1]

[1] პირველი 7 დავალება მოთავსებულია ამ ჟურნალის 1928 — 29 წლის 12 ნომერში.

1929-30 წ.

გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის აღზრდა.

მეცხრე დავალება.

დავალების შესავალი.

დავალების მიზანია — ბავშებში გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის აღზრდის მთავარი გზების გარკვევა.

წინად ჩვენ ლაპარაკი გვქონდა რეაგირობის — გარემოსადმი ორგანიზმის სხვადასხვაგვარი რეაქციის უნარის — აღზრდაზე. სხვადასხვაგვარი რეაქციის უნარი წარმოადგენს ძირითად სასიცოცხლო ფონდს, რომლიდანაც შენდება ჩვენი ცხოვრება, ვინაიდან ადამიანის ცხოვრება არსებითად მის სხვადასხვაგვარ რეაქციათა რთული ქსოვილია. რაც უფრო სხვადასხვაგვარია ეს რეაქციები, რაც უფრო მდიდარი და ინტენსიურია, მით უფრო სხვადასხვაგვარი, მდიდარი და ინტენსიური იქნება მთელი ეს ქსოვილი, რომელსაც ცხოვრება ეწოდება. მაგრამ ეს რეაქციები მხოლოდ ნედლი მასალაა. მისგან უნდა აშენდეს ცხოვრება. ამისათვის საჭიროა, რომ ეს სხვადასხვაგვარი რეაქციები აგებული იქნას გარკვეული წესით, დალაგებული იქნას მიზანშეწონილად. საჭიროა, რომ აღნიშნული ფიზიოლოგიური, რეაქციები წესიერად, მიზანშეწონილად იქნას მოწესრიგებული, მიმართული და რომ მათმა შეერთებამ შედეგად მოგვცეს გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული ყოფაქცევა.

ეს კი ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას — გამოვარკვიოთ გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული ყოფაქცევის რაობა და მექანიზმი და მისი აღზრდის მეთოდები.

პირველ თავში ჩვენ ვცდილობთ გავარკვიოთ გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის განმსაზღვრელი ძირითადი მომენტები. ამ მომენტების გარკვევის დროს ჩვენ გამოვდივართ ადამიანის თანამედროვე ყოფაქცევის იმ ნაკლიდან და უმართებულობიდან, რის აღრიცხვაც ჩვენს წინაშე ამ მომენტების პედაგოგიური რაციონალიზაციის ამოცანას აყენებს.

მეორე თავში ჩვენ განვიხილავთ ბავშებში გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის განვითარების პროცესს. ამ პარაგრაფის მასალას შეადგენს ბავშის ყოფაქცევის ფაქტები, წინადვე ცნობილი პედოლოგიაში, რომლებიც გამორკვეულია სხვადასხვა ავტორის მიერ როგორც ზუსტი დაკვირვებების საშუალებით, ისე ბავშებთან მუშაობის ყოველდღიური პრაქტიკული ცდების აღრიცხვის საშუალებითაც. ჩვენ დაწვრილებით არა ვჩერდებით ამ განვითარების ცალკე საფეხურებზე, არ მივუთითებთ ასაკობრივ საზღვარს თვითეული საფეხურისათვის. ასეთი ზუსტი ცნობები პედოლოგიას ჯერ კიდევ არ მოეპოვება. ცდების დროს ჩვენ ვხვდებით მეტად დიდ ვარიაციებს ამ დარგში, რაც დამოკიდებულია იმ გარემოსა და სოციალურ პირობებზე, რომელშიც ბავშს ცხოვრება უხდება. მაგრამ, სხვადასხვა ვარიაციისა და გადახრისაგან დამოუკიდებლად, ბავშებში მიზანშეწონილი გონივრული ყოფაქცევის უნარის განვითარების საერთო გზა მოხაზულია ჩვენ მიერ მისი ძირითადი ნიშნებით იმდენად, რამდენადაც ეს ძირითადი პედაგოგიური დასკვნების გამორკვევისათვის არის აუცილებელი.

მესამე თავში ჩვენ ვცდილობთ მთელი რიგი პედაგოგიური დასკვნების გამოყვანას, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მუშაობას ბავშებთან.

მეოთხე თავში მოცემულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამებით მუშაობის შეფასება საზოგადოებრივ-ღირებული ყოფაქცევის აღზრდის ამოცანის თვალსაზრისით, მოყვანილია კომპლექსის დამუშავების ნიმუში და ეს უკანასკნელიც იმავე თვალსაზრისითაა გარჩეული. ბოლოს დასახულია ამ მიმართულებით მასიური სასკოლო მუშაობის გაუმჯობესების გზები.

დავალების გეგმა.

I. გონივრული და მიზანშეწონილი ყოფაქცევის განმსაზღვრელი ძირითადი მომენტები.

ა) განსაზღვრული მიზნის ქონა, ბ) ყურადღების გამახვილების უნარის ქონა, გ) წინასწარი მოფიქრების ჩვევის ქონა, დ) შემოწმებულ ცოდნათა საკმაო მარაგისა და სწორი ლოგიკური აზროვნების უნარის ქონა, ე) მოქმედების ორგანოთა შეთანხმებულობისა და

გაწაფულობის ქონა, ვ) შესრულებული მუშაობის მხედველობაში შეღებისა და შეფასების ჩვევის ქონა, ზ) მიღწეულის განმტკიცების ჩვევის ქონა.

II. ბავშებში მიზანშეწონილი მოქმედიანობის უნარის განვითარება.

ა) მიზანდასახულობის ჩანასახები პატარა ბავშების ყოფაქცევაში; ბ) მიზანშეწონილი მოქმედიანობის უნარის განვითარების თანდათანობითი მსვლელობა; გ) ამ უნარის განვითარების შემაფერხებელი სიძნელენი.

III. ბავშებში გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული მოქმედიანობის უნარის აღზრდის ძირითადი გზები.

ბავშების სისტემატიური ვარჯიშობა ამ მოქმედიანობაში და ამ ვარჯიშობაში პედაგოგის დახმარება (დახმარება ბავშის მიერ მიზნის დასახვის დროს, დახმარება დავალებისადმი ყურადღების გამახვილებაში, მის მოფიქრებაში, დაგეგმვაში და გადაწყვეტაში, დახმარება ტეხნიკური მუშაობის შესრულებაში, მიღებულ მიღწევათა შეფასებაში, მიღწეულის განმტკიცებაში).

IV. გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული ყოფაქცევის აღზრდა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამებით მუშაობა.

ა) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამების შინაარსის დახასიათება და მუშაობის ამ პროგრამებზე აგება ამ უნარის აღზრდის ამოცანის თვალსაზრისით; ბ) „ჯანმრთელობის დაცვის“ კომპლექსის (რიგესის წიგნიდან) დამუშავების გარჩევა ამავე თვალსაზრისით; გ) ამ მიმართულებით მასიური სასკოლო მუშაობის გაუმჯობესების გზები.

გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის აღზრდა.

გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის მომენტები.

ადამიანის ყოფაქცევად ჩვენ ვგულისხმობთ მისი რეაქციების მთელ შენაერთს იმ გაღიზიანებათა საპასუხოდ, რომლებიც მოქმედებენ მასზე როგორც გარემო ქვეყნის, ისე ორგანიზმის შინაგანი პროცესების მხრივ.

ასეთი რეაქცია, ორგანიზმის პასუხი გაღიზიანებაზე, ძლიერ ბევრია. მაგრამ ამ საპასუხო რეაქციებიდანა და საქციელიდან ყველა მიზანშეწონილი და გონივრული არ არის. არა მარტო ცხოველი და არა მარტო ბავში, არამედ სავსებით მომწიფებული და განვითარებული ადამიანიც ხშირად ჩაიდენს ხოლმე უგუნურ, მიზანშეუწონელ საქციელსა და მოძრაობებს. ცხოვრებაში ჩვენ ძლიერ ხშირად ვხვდებით ხოლმე ამ ფაქტს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, — სასწორის ერთ პინაზე რომ ადამიანების მიერ ჩადენილი გონივრული და მიზანშეწონილი საქციელი დაგვედო, მეორეზე კი — უგუნური და მიზანშეუწონელი, საეჭვოა რომ პირველს დაეძლია. სწორედ ეს ფაქტია წყარო ჩვენი ცხოვრების ყველა სიდუხჭირისა. კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა ყველა ღონისძიება სახელდობრ იქითკენ არის მიმართული, რომ ადამიანის ყოფაქცევა მაქსიმალურად გონივრული და მიზანშეწონილი გახადოს.

გავარჩიოთ, რა განსაზღვრავს ჩვენი ყოფაქცევის მიზანშეწონილებასა და გონივრულობას.

1. განსაზღვრული მდგრადი მიზნის ქონა.

თვითეულ ცალკე მომენტში ჩვენი ტვინი მრავალ გაღიზიანებას განიცდის. მათგან ზოგს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის სიცოცხლისა და არსებობისათვის, ზოგს კი ნაკლები. ეს გაღიზიანებანი ჩვეულებრივ ექიშპებიან ერთიმეორეს, თვითეული მათგანი ჩვენი ტვინის თითქო მთლიანად დაუფლებას ცდილობს. ასეთ შემთხვევაში ხშირია ხოლმე, რომ ჩვენ ამ ბრძოლის მსხვერპლი ვხდებით. ჩვენი ტვინი მაშინ ემსგავსება ბრძოლის ასპარეზს, რომელიც გამუდმებით ხელიდან ხელში გადადის. ადამიანმა გარკვეულად არ იცის, თუ რა სწადია. ჯერ ერთის შესრულებას არ შესდგომია, რომ უკვე მეორე წადილი მოდის და პირველს აძევებს.

ჩვენს წინაშეა ადამიანი, დასასვენებლად ქალაქს გარედ მყოფი. აი მან მაგიდაზე ჟურნალი დაინახა. მოუვიდა აზრი: „მოდი, წავიკითხავ“; გადაშალა პირველი გვერდი, წაიკითხა რამდენიმე წინადადება, სადაც ნავით სეირნობა არის აწერილი. დაებადა ახალი აზრი: „კარგი იქნება ნავით გავისეირნო“, დახურა ჟურნალი და მდინარისაკენ გაემართა. გზად კინოს გვერდით გაიარა, დაინახა სალაროსთან რიგში მდგომი ხალხი და გადაწყვიტა კინოში შესვლა და

სხვ. ასე უაზროდ შეიძლება გაიაროს დღეებმა, კვირეებმა, ადამიანის ენერგია უსარგებლოდ იყოს გაბნეული და არაფერს აძლევდეს არც სხეულს, არც გონებას და არც გულს.

მიზანი ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი სურვილისა და წადილისაგან. უკანასკნელები წარმოადგენენ მხოლოდ მსწრაფლწარმავალ იმპულსებს, ურთიერთთან მოქიშპე ბიძგებს, მაშინ როდესაც მიზანი წარმოადგენს ნამდვილ ძალას, რომელიც ადამიანის მოქმედებას გარკვეული მხრით მიმართავს. მიზანი — ადამიანის მრავალი სურვილისა და წადილის ცენტრია, იგი ფოკუსია, რომელშიც თავს იყრის ორგანიზმის მთელი ენერგია მოცემული მომენტში. მიზანი შეთანხმებული სურვილებისა და წადილების სინთეზია. მაგალითად, დასასვენებლად ქალაქს გარედ მყოფი ზემოხსენებული კაცის ქაოტიურად ერთმანეთთან შეჯახებული სხვადასხვა წადილი, — წადილი წიგნის წაკითხვისა, ნავით სეირნობისა, კინოში წასვლისა, — რომ შეთანხმებულიყო და შედუღებულიყო ერთ მისწრაფებად ჯანმრთელობის გამოკეთებისადმი, დასვენების საუკეთესოდ მოწყობისადმი, დროის შევსებისადმი სპორტისა, კითხვის და სანახაობების ერთმანეთის წესიერად შემცვლელი მომენტებით, — ამ კაცის ენერგია მაშინ უფრო გონივრულადა და მიზანშეწონილად იქნებოდა გამოყენებული. ამნაირად, მიზანი არის თითქოს წერტილი მოცემული მომენტის უმეტესად მნიშვნელოვანი წადილებისა და ინტერესების გარდაკვეთისა და შეერთებისა.

ამნაირად, მიზანშეწონილი გონივრული ყოფაქცევის პირველი აუცილებელი პირობაა თვითეულ მოცემულ მომენტში განსაზღვრული მდგრადი მიზნის ქონა.

2. ყურადღების გამახვილება (ყურადღების კონცენტრაცია).

განსაზღვრული მიზნის ქონა მაინც კიდევ არ უზრუნველყოფს მიზანშეწონილსა და გონივრულ ყოფაქცევას. მიზანი იქნებ გვქონდეს, მაგრამ ჩვენს ტვინში შეჭრილმა გაღიზიანებებმა და შთაბეჭდილებებმა მაინც შეიძლება ყოველთვის აგვაშორებინონ ხოლმე ყურადღება დასახული მიზნისაგან და გზა აგვარევინონ. ვთქვათ, განვიზრახეთ რომელიმე წიგნის საფუძვლიანად შესწავლა, მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს მისი წაკითხვა, რადგან ყოველთვის ჩვენს ყურადღებას რაღაც სხვა

იტაცებს, აზრი წყდება და იძულებული ვხდებით კითხვა თავიდან დავიწყოთ.

ერთი ცნობილი ფსიქიატრი შემდეგნაირად აგვიწერს იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც ყურადღების გამახვილების უნარს არის მოკლებული და რომელსაც მიზნად მოგზაურობა დაუსახავს.

„მას სურს ბარგის ჩალაგება, მივარდება კარადებსა და განჯინებს, მაგრამ ყუთის გასაღებს ვერა პოულობს და მირბის მეორე ოთახში მის საძებნად, ამ ოთახში მაგიდაზე წააწყდება მივიწყებულ დეპეშას, დაინტერესდება და კითხულობს. ამ დროს საათის რეკვა სინამდვილეს მოაგონებს. ის გარბის ყუთისაკენ, მაგრამ ისევ მოაგონდება, რომ გასაღები არა აქვს. ბოლოს, გასაღებიც ნაპოვნია, ყუთიც გაღებულია, მაგრამ... ჩვენი მოგზაური უცებ გაშეშდა კარადასთან, წამოაგონდა, რომ ბილეთის ყიდვას ველარ მოასწრებს. იგი გარბის სამზარეულოში, რომ ეტლის მოსაყვანად გაგზავნოს ვინმე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეტლის მოსვლის დროსაც იგი წასასვლელად ისევ მოუმზადებელი იქნება“.

ასეთი მდგომარეობის საწინააღმდეგო მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ ყურადღების კონცენტრაციის ანუ ყურადღების გამახვილების მდგომარეობა. ასეთ მდგომარეობაში ადამიანის ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებითია, და აგრეთვე იმაზეც, რასაც ამასთან რაიმე კავშირი აქვს. რაც შეეხება სხვა უცხო გაღიზიანებებს, მათ ის თითქო ველარა გრძნობს. ყურადღების ასეთი გამახვილება, ასეთი კონცენტრაცია გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის მეორე აუცილებელი პირობაა.

3. წინასწარი მოფიქრება, დაგეგმვა.

მაგრამ მიზნის ქონა და ყურადღების გამახვილება კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოქმედება მიზანშეწონილი იყოს, შეიძლება დაჟინებით მივისწრაფოდეთ რაიმე განსაზღვრულისაკენ, მთელი ჩვენი ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ მისკენ იყოს მიმართული, მაგრამ იმავე დროს მრავალი უხეში შეცდომა დავუშვათ. ეს მაშინ ხდება, როდესაც კაცი მოქმედობს ნაჩქარევად, ფაციფუცობს, და წინასწარ არ მოიფიქრებს ხოლმე, თუ რა მოქმედებაა უმეტესად მიზანშეწონილი. დავუბრუნდეთ მოყვანილ მაგალითს. ზემოაღწერილი მოგზაურის ყურადღება მაგიდაზე მდებარე დეპეშას კიდეც რომ არ

მიექცია, მისი მოქმედება მაინც მიზანშეუწონელი იქნებოდა. ის გაფაციცებით მივარდება გამოსაღებათ ბარგს, ყუთი კი ჯერ მზად არა აქვს; წასავლელად ემზადება, ბილეთის შეძენაზე კი არ უზრუნია; საჩქაროდ გზავნის კაცს ეტლის მოსაყვანად, ბარგი კი ჩაულაგებელი აქვს, და სხვ.

ჩვენი მოქმედება რომ მიზანშეწონილი და გონივრული იყოს, საჭიროა რამდენადმე ზომიერი გავხადოთ მისი იმპულსივობა, ე. ი. მისი ანაზდეულობა და შემთხვევითობა. ცხოვრება მოითხოვს, რომ თვითეული ჩვენი უშუალო რეაქცია, ყოველ შემთხვევაში თვითეული ისეთი რეაქცია, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე გამომჟღავნდებოდეს გარე მოქმედებაში, განიცდიდეს ერთგვარ გამოცდას ჩვენი ორგანიზმის შიგნით. ეს მოთხოვნა გამოხატულია ხალხურ თქმაში: „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერიო“. შვიდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა გაიზომოს. ჩვენი იმპულსების აი ეს წინასწარი გამოცდა, მათი ერთგვარი შეჩერება, მომავალი მიზანშეწონილი ყოფაქცევის მესამე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

4. ცოდნათა მარაგი და სწორე აზროვნობის უნარი.

მაგრამ წინასწარი მოფიქრება კიდევ არ უზრუნველყოფს გონივრულსა და მიზანშეწონილ ყოფაქცევას. შეიძლება კაცმა ბევრი იფიქროს და დიდხანს იფიქროს, მაგრამ მისი გადაწყვეტილებანი და მოქმედება კი უმართებულო იყოს. მოფიქრებამ რომ სწორე შედეგებამდე მიგვიყვანოს, ამისათვის აუცილებელია მთელი რიგი სხვა სპეციალური პირობა. მათგან ყველაზე არსებითია შემდეგები.

ა) ამა თუ იმ საკითხის მოსაფიქრებლად და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს ცოდნათა სათანადო მარაგი. ადამიანის გონივრული ყოფაქცევა დამოკიდებულია იმ წარმოდგენებსა და ცნებებზე, რომლებიც საკითხის მოფიქრების დროს მის გონებაში დაიბადება. სწორი გადაწყვეტილების აგებისათვის ეს წარმოდგენანი და ცნობები წარმოადგენენ იმასვე, რასაც საამშენებლო მასალა ასაშენებელი სახლისათვის. როგორც შეუძლებელია სახლის აშენება, თუ არა გვაქვს აგური, ხე, რკინა და სხვა საამშენებლო მასალა, ისევე შეუძლებელია სწორი გონივრული ყოფა-

ქცევის გამომუშავება, თუ არა გვაქვს იმ წარმოდგენათა და ცნებათა სათანადო მარაგი, რომლებიც რეაქციების ასეთს თუ ისეთს შერჩევას განსაზღვრავენ. ამიტომ, რაც უფრო მდიდარია ადამიანის ცოდნათა მარაგი, მით უფრო შესაძლებელია მისთვის გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის გამომუშავება. რა თქმა უნდა, ეს არა ნიშნავს, რომ ყოველივე ცოდნა ჩვენს მეხსიერებაში უნდა ინახებოდეს. როგორც შენობის აგების დროს შეიძლება მასალის თანდათან მიზიდვა, ისე ამა თუ იმ საკითხის მოფიქრების პროცესში ადამიანს შეუძლია მიიღოს და უნდა მიიღოს კიდეც ზომები ახალი ცნობების შესაძენად წიგნებიდან, გამოცდილებით და სხვა პირთაგან.

ბ) ადამიანის ცოდნის ელემენტები აუცილებლად მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული და ისეთი სისტემით დალაგებული, რომ მტკიცედ იყოს შენახული მეხსიერებაში და სათანადო პირობების დროს მზად იყოს გამოსაყენებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება საამშენებლო მასალის ქაოტიური გროვა, რომლიდანაც საჭიროების დროს შეუძლებელი იქნება იმის ამორჩევა, რაც ყველაზე მეტად არის აუცილებელი.

გ) აუცილებელია, რომ ამა თუ იმ წყაროდან მიღებული ცნობები საკმაოდ სწორი და ზუსტი იყოს. ამისათვის კი ადამიანმა, რომელიც ამ ცნობებით სარგებლობს, არ უნდა მიიღოს ისინი შეუმოწმებლად, არამედ კრიტიკულად უნდა შეხედოს მათ, დაეჭვდეს მათ სისწორეში, უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სანდოა ამ ცნობათა წყაროები, და შეადაროს ეს ცნობები სხვა წყაროებიდან ან ცდის საშუალებით მიღებულ ცნობებს. ეს მუშაობის ის ეტაპია, რომელიც შეიძლება შევადაროთ შენობის აგების დროს მიმღებთა მუშაობას, რომლებიც ამოწმებენ, თუ რამდენად კარგი ხარისხისაა მოზიდული საამშენებლო მასალა — აგური, ხე, რკინა და სხვა.

დ) აუცილებელია, რომ მოფიქრების პროცესში გამოყვანილი კავშირი და მიმართება ცალკე აზრებსა და ფაქტებს შორის ემყარებოდეს არა ამა თუ იმ შემთხვევითს მოსაზრებებსა და გრძნობებს, არამედ მრავალგზის შემოწმებული ცდით მიღებულ ცნობათა ანალიზს. როგორც შენობა მკვიდრი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ხუროთმოძღვარმა ზუსტად გაითვალისწინა შენობის ცალკე ნაწილების ყველა მიმართება და გამოიანგარიშა შენობის ცალკე ელემენტების სიმძიმისა და წინაღობის ძალის შეფარდება, ისე მოფიქრების დროს ესა თუ ის გადაწყვეტილებანი გონივრული და მიზანშე-

წონილი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ აზრის თვითეული ცალკე ელემენტის მნიშვნელობა ზუსტად არის ნავარაუდევი და თუ ყველა ეს ელემენტი ურთიერთთან მწყობრ ლოღიკურ სისტემად არის შეკავშირებული. ამ პირობის წინააღმდეგ ყველაზე ხშირ შეცდომას წარმოადგენს ეგრეთწოდებული მსჯელობა ანალოგიით, როდესაც არა საკმაოდ უწევენ ანგარიშს მოცემული მოვლენის განმასხვავებელ თავისებურობებს და დასკვნას ან გადაწყვეტილებას იღებენ იმ გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც მიღებული იყო ცოტად თუ ბევრად ამის მსგავსსავე შემთხვევებში. მაგალითად, რადგან იციან, რომ წყალი ცეცხლს აქრობს, ზოგჯერ აფეთქებულ ბანჭვინს ან ნავთს წყლის სხმას დაუწყებენ ხოლმე, რითაც ცეცხლს უფრო აძლიერებენ.

სწორი (ლოღიკური) აზროვნების ჩვევა, ისევე, როგორც შენობის ამგებ დახელოვნებულ მუშათა და ხუროთმოძღვართა ჩვევა, სავსებით შეიძლება გაივარჯიშოს და განივითაროს საშუალო ნორმალურმა ადამიანმა, და სასკოლო განათლებაც სახელდობრ ამიტომ თავის ერთერთ ძირითად ამოცანად ისახავს სწორი აზროვნების გავარჯიშებას.

5. მოძრაობათა კოორდინაცია (მოტორული ჩვევანი).

მაგრამ სწორი აზროვნება და მდიდარი ცოდნა მაინც კიდევ ყოველთვის არ უზრუნველყოფს მიზანშეწონილ ყოფაქცევას. იმ შემთხვევაში, როდესაც დასახული მიზნის მიღწევა რაიმე მოძრაობის და ფიზიკური მოქმედების შესრულებასთან არის დაკავშირებული, ზემოჩამოთვლილ თვისებათა გარდა საჭიროა კიდევ ცალკე კუნთებისა და ორგანოების მოძრაობის შეთანხმების უნარი, უნარი ყოველივე მოძრაობის დაქვემდებარებისა ცენტრალური ნერვული სისტემიდან მომავალი იმპულსებისათვის. ეს გულისხმობს ტეხნიკურ ძრაობით ჩვევათა ერთგვარი მარაგის ქონას, რომლებსაც ადამიანი იძენს სათანადო ვარჯიშობითა და პრაქტიკული სწავლით. მაგალითად, საკმარისი არ არის ვიცოდეთ, რომ საჭიროა სუფთად და გარკვევით წერა, საჭიროა ვიცოდეთ ასეთი წერა, საკმარისი არ არის ვიცოდეთ, თუ რა არის საჭირო მაგიდის გასაკეთებლად და როგორ უნდა გაკეთდეს იგი, საჭიროა ვიცოდეთ მისი გაკეთება, საჭიროა რომ ხელი გაჩვეული და გავარჯიშებული გვქონდეს ამ მუშაობაში. ამნაირად

როდესაც ლაპარაკია ძრაობით სფეროსთან დაკავშირებულ მოქმედიანობაზე, ადამიანის ყოფაქცევა სავსებით მიზანშეწონილი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მოქმედების ყველა ორგანო, ყველა კუნთი საკმაოდ შეკავშირებულია და ემორჩილება თავის ტვინის უმაღლესი ცენტრებიდან მომდინარე ბრძანებებს, თუ ადამიანს აქვს ერთგვარი ტეხნიკური ჩვევა (რომლის მიღწევაც სათანადო ვარჯიშობით შეიძლება).

6. ანგარიშგაწევა და შეფასება.

გონივრული, მიზანშეწონილი ყოფაქცევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ანგარიშგაწევა და შეფასება. როდესაც ჩვენ გონივრულ, მიზანშეწონილ ყოფაქცევაზე ვლაპარაკობთ, საათის ზუსტად მომქმედი მექანიზმის თანაბარ ყოფაქცევაზე როდი ვფიქრობთ. ადამიანი რაც უნდა გონივრულად იქცეოდეს, ამა თუ იმ შეცდომასა და უმართებულობას იგი მაინც ვერ წაუვა, მაგრამ ამ შეცდომებში არის ერთგვარი აზრი, თუ მათ ადამიანი მხედველობაში მიიღებს, შეაფასებს და, ამნაირად, გამოიყენებს შეცდომების თავიდან აცილების საშუალებად შემდეგში. მაგრამ ჩვენ ხშირად ვხვდებით შეცდომებისათვის არასაკმაო ანგარიშის გაწევის ფაქტს და მათ მრავალგზის გამეორებას შემდეგშიც. მაშინ ეს შეცდომები არა თუ არ უწყობენ ხელს ყოფაქცევის შემდგომ გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, ხშირი გამეორების გამო ისინი განუმტკიცდებიან ხოლმე ადამიანს და გადაექცევიან დაუძლეველ ჩვეულებად, რაც მასში შემდგომი წინსვლის შესაძლებლობას ჰკლავს.

თვითეული მოქმედებისა და მისი შედეგების მხედველობაში მიღებისა და შეფასების მომენტებს, გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც მათ აქვთ როგორც შემდეგი შეცდომების თავიდან აცილების ფაქტორს, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვთ. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნაკლულევანებისა და შეცდომების მხედველობაში მიღებასა და შეფასებას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიღებულ წარმატებათა მხედველობაში მიღებასა და შეფასებასაც. წარმატებისა და წინსვლის შეგნება შემდგომი წინსვლის ერთერთი უძლიერესი სტიმულია.

ამნაირად, ჩადენილი საქციელის მხედველობაში მიღება და მისი სწორი შეფასება წარმოადგენს აგრეთვე გონივრული და მიზანშეწონილი ყოფაქცევის აუცილებელ პირობას.

7. მიღწევათა განმტკიცება.

გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის განმსაზღვრელი ყველა მომენტი, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, კიდევ არ არის საკმარისი, თუ მათ თან არ ახლავს ადამიანის ერთერთი უმნიშვნელოვანესი რეაქციათაგანი. ეს არის განმტკიცების რეაქცია. ხშირად ჩვენ ვახერხებთ მნიშვნელოვან წარმატებათა მიღწევას სხვადასხვა დარგში, ასე ვთქვათ, ვიპყრობთ ახალ პოზიციებს, მაგრამ ძალა აღარა გვყოფნის განვიმტკიცოთ ეს მონაპოვარი და მიღწეული წარმატებანი შევინარჩუნოთ. მთელს ჩვენ ყურადღებას ახალი წინწაწევის პერსპექტივა იპყრობს და ჩვენ ვერ ვაჩნევთ როგორ მიგვდის ხელიდან ის, რის მიღწევასაც იმდენი ძალა მოვანდომეთ. ასეთ შემთხვევაში მეტად გონივრული და მიზანშეწონილი საქციელიც ვეღარ იძლევა გონივრულ ყოფაქცევას. ყველაფერი ქვიშაზე შენდება. ჩვენი ყოფაქცევა მხოლოდ მაშინ შეიძლება დახასიათდეს როგორც გონივრული და მიზანშეწონილი, თუ ჩვენ მიერ შექმნილ ყველა ღირებულებას, ყველა მიღწეულ შედეგს განვამტკიცებთ, დავიცავთ, დავაგროვებთ და შევქმნით მათგან პროგრესიულად მოზარდ საცხოვრებო ფონდს, მკვიდრ ბაზას შემდგომ მიღწევათათვის. ამაშია ადამიანის კულტურის ძირითადი რაობა. ამაშია კაცობრიობის პროგრესის საწინდარი.

ამნაირად, გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის ძირითად პირობებს წარმოადგენს:

1) განსაზღვრული მდგრადი მიზნის ქონა;

2) ყურადღების გამახვილების უნარი;

3) მომავალი მუშაობის წინასწარი მოფიქრებისა და აწონის, ე. ი. დაგეგმვის ჩვევა;

4) შემოწმებულ ცოდნათა საკმაო მარაგის ქონა და წესიერი ლოგიკური აზროვნების, შედარების და შეფარდების და დასკვნების გამოყენების უნარი;

5) მოძრაობათა კოორდინაცია, მოქმედების ყველა ორგანოთა შეთანხმებულობა და გაწაფულობა;

6) შესრულებული მუშაობის მხედველობაში მიღებისა და შეფასების ჩვევა;

7) მიღწეულის განმტკიცების ჩვევა.

ბავშვების მიზანშეწონილი მოქმედიანობის უნარის განვითარება.

1. მიზნობრივი ყოფაქცევის ჩანასახი ბავშვებში. ყველამ ვიცით, რომ მიზანშეწონილი გონივრული მოქმედიანობის უნარს თანდათანობითა და დიდი შრომით ვიძენთ.

სულ ზერელედაც რომ დავაკვირდეთ ბავშის ყოფაქცევას სიცოცხლის პირველ თვეებში, დავინახავთ, თუ რამდენად ქაოტიური და უწესრიგოა მისი ყოფაქცევა, როგორ მთლიანად ემორჩილება იგი მასზე მომქმედ გაღიზიანებებს. ასეთი ბავშის მისწრაფებათა უმდგრადობა, მისი სწრაფი გადახტომა ერთი საგნიდან მეორეზე, მოძრაობათა სწრაფი ცვლა მოწმობს, როს მას არა აქვს ის, რასაც ჩვენ მიზანდასახულობას ვუწოდებთ.

მაგრამ თუ უფრო გულდასმით დავაკვირდებით, ამ პირვანდელი ქაოსის ფონზე შეიძლება შევამჩნიოთ მიზნობრივი ყოფაქცევის ერთგვარი ჩანასახი. ბავშის მოქცევა თავისი დედისადმი, მისი დაჟინებითი მისწრაფება მისდამი მოწმობს, რომ დედის სახით უკვე გვაქვს ისეთი გამაღიზიანებელი, რომელსაც შეუძლია რამდენიმე ხნით აამუშაოს ბავშის ყველა ძალები და მისი ინტერესის კონცენტრაცია მოახდინოს.

ცოტა უფრო გვიან ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, როგორ ცდილობს ბავში რაიმე სათამაშოს ხელში ჩაგდებას და სხვა გაღიზიანებებს უყურადღებოდ სტოვებს.

ამ შემთხვევაში, როგორც დედისადმი მოქცევის შემთხვევაშიც, უკანასკნელები (დედა და სათამაშო) ბავშისათვის წარმოადგენენ გამაღიზიანებლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ბავშის მთელ რიგ მოთხოვნილებას, იწვევენ და აერთიანებენ ბავშის მთელ რიგ რეაქციას. დედა თავის გარშემო აერთიანებს რეაქციას სითბოზე, ალერსზე, საჭმელზე, გაღიმებაზე, თამაშობაზე, სიმღერაზე. სათამაშო თავის გარშემო აერთიანებს ხელის წავლების რეფლექსს, შეხების, მხედველობის, მანიპულიაციის რეაქციას, წოვის რეაქციას და სხვ.

რაც უფრო მტკიცე ხდება ბავშის გამოცდილება, რაც უფრო მჭიდრო ხდება კავშირი სხვადასხვა გაღიზიანებებს (შთაბეჭდილებებს) შორის, მას უჩნდება მით უფრო მეტი და მეტი ინტერესთა ასეთი ცენტრი, ასეთი გამაერთიანებელი ობიექტი, გამაღიზიანებელი, რომლებსაც შეუძლიათ ბავშის ყურადღების საკმაოდ ხანგრძლივი კონცენტრაცია და მიზიდვა.

რაც უფრო იზრდება და ვითარდება ბავში, მით უფრო რთული ხდება მისი მიზნის ეს ობიექტები, მით უფრო დიდხანს შეუძლია მას მათზე ყურადღების შეჩერება.

2. კავშირთა შექმნა დროში. ბავშის გამოცდილების თანდათანობითს გართულებას შედეგად მოსდევს რთულ და მტკიცე კავშირთა შექმნა დროში. ბავშის გონებაში ყალიბდება გარკვეული კავშირი მოქმედებასა და მათ შედეგებს შორის. მაგალითად, როდესაც ბავში ხედავს, რომ დედა სუფრასა შლის ან მაყალში ცეცხლს აჩაღებს, იგი უკვე განიცდის მოუთმენლობას გემრიელი სადილის მოლოდინში. ის თითქო რეაგირობას იწყებს ამ სადილზე, გამოხატავს სიხარულს, მოუთმენლობას, იმეორებს საჭმლის სახელს. ეს კავშირი დროში შემდეგ უფრო გრძელდება. დედა რომ ბაზარში წასასვლელად მოემზადება, ბავში უკვე აქედანვე დაუწყებს გამოკითხვას, რას იყიდი ბაზარზე და რას მომიტანო. აქ უკვე ჩვენ ნამდვილი მიზანდასახულობის ჩანასახი გვაქვს, სადაც ყურადღების ობიექტი აქვე კი არ არის, არამედ ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავალშია. ამასთანავე, ასეთი მიზანდასახულობის ფონზე, იწყებს განვითარებას წინასწარი მოფიქრების უნარი, ე. ი. აზროვნებისა და დაგეგმვის უნარი. ბავშში წამოჭრილი რეაქცია მომავალ გაღიზიანებებზე, რაც ამ წამსვე ვერ კმაყოფილდება და ვერ მთავრდება, თითქო ბავშის ტვინში, მის გონებაში ჩერდება. და შეჩერებისას იგი უკვე აზრად იქცევა. ბავში „ფიქრობს“ შაქარლამაზე, რომელსაც დედა მოუტანს. ის იგონებს გუშინდელ შაქარლამას, გუშინწინდელს, წითელს და ლურჯს, და ცდილობს წინდაწინვე მოიფიქროს, თუ რანაირს მოუტანს დედა ახლა. შეიძლება მას წითელი ურჩევნია და თავის ყურადღებას წითელზე აჩერებს. იგი ზომებსაც კი იღებს, რომ ეს მომავალი წინასწარვე განსაზღვროს. ბაზარში მიმავალ მეზობელს სთხოვს უთხრას დედას, რომ მან მოუტანოს ლურჯი კი არა, წითელი შაქარლამა. მცირე ასაკის ბავშების ყოფაქცევაში ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ ყოფაქცევის ცალკე აქტების უკვე მკაფიოდ გამოხატულ თანდათანობით გაშლას.

ამის მაგალითი ბევრია.

აი 4 წლის ემა დიდიხანია ურევს თავის სათამაშოებს. ყველაფერი იატაკზეა გადმოყრილი. აქ არის დედოფალაც, ზარიც, ცხენიც, თუნუქისა და თიხის სათამაშო ჭურჭელი, სილის ყალიბები, კენჭები, შუშები და სხვ. ამ აუარებელი საგნებიდან მან გულდაგულ გამოარჩია ყველაზე უფრო ულამაზო სათამაშო — სილის ყალიბები. გამოარჩია, ჩაიწყო კალთაში ყველა ყალიბები, დანარჩენ სათამაშოებს კი თავი მიანება. შემდეგ საჩქაროდ სადღაც მირბის და რამდენიმე წუთის შემდეგ ისმის, როგორ იწვევს ნიკოს (მეზობლად მცხოვრებ მის ტოლ ბიჭს): „წამო, წამო, ხაჭაპურს გავაკეთებ!“ იგი ეზოში დაყრილ სილის გროვაზე მიყავს. ეძა დიდხანს და ძლიერ გაიტაცა სილით თამაშმა. ოთახში დაბრუნებისას იგი სდებს ადგილზე ყალიბებს და მხიარულად გაიძახის: „ხვალაც სილაზე ვითამაშებ!“

სილა ეზოში იმავე დღეს მოიტანეს. ეძამ როგორც კი დაინახა სილა, მაშინვე მოირბინა ოთახში ყალიბების წასაღებად; ალბათ მოაგონდა თავისი საყვარელი თამაში სილით ზღვის პირად, 2 თვის წინ. ამ სტიმულის გავლენით გოგონა ასრულებს მთელ რიგ აქტს, რომლებიც გარკვეული ლოგიკური თანდათანობით არის დაკავშირებული და სავსებით შეგნებული მიზნის განხორციელებისაკენ არის მიმართული; ამასთანავე ის მოქმედობს გარკვეული გეგმით: მირბის ოთახში თავისი ყალიბების მოსაძებნად, ჰყრის იატაკზე თავის ყველა სათამაშოს და არჩევს მხოლოდ ამ მიზნისათვის საჭირო სათამაშოებს, მიდის ამხანაგთან და სთხოვს წაყვეს სათამაშოდ, დიდხანს თამაშობს და როდესაც სათამაშოებს ადგილზევე სდებს, კიდევ განიცდის ამ საკმაოდ მდგრადი მიზნობრივი განწყობის გავლენას: „ხვალაც სილაზე ვითამაშებ!“

როგორც წინა, ისე ამ შემთხვევაშიც ჩვენ გვაქვს ნამდვილი წინასწარი აზროვნების პროცესი, ის, რასაც ჩვენ ვეძახით დაგეგმვას, რომელიც შეიცავს: 1) წარსული გამოცდილების მხედველობაში მიღებასა და შეფასებას, 2) დადებითის ამორჩევასა და უარყოფითის უკუგდებას და 3) დადებითის შემდგომი წინწაწევისათვის საშუალებებისა და გზების გამონახვას.

3. მოძრაობათა და მოქმედებათა კოორდინაცია. აზროვნების განვითარება. წინასწარი მოფიქრებისა და დაგეგმვის უნარი წარმოადგენს ბაზას, რომელზეც ეზრდება და უვითარდება ბავშს თავის მოძრაობათა და მოქმედებათა კოორდინაციის ჩვევა. მის ტვინში წა-

მოჭრილი მიზნები და გეგმები იძულებულს ხდიან მას მთელი რიგი ცდა შეასრულოს. ამ ცდებს ხშირად შედეგად მოსდევს მარცხი, ე. ი. ისეთი მოძრაობები, რომლებიც არ შეეფერება მის თავში არსებულ მიზნებსა და გეგმებს. ასეთი ცდები და მოძრაობები თანდათანობით მუხრუჭდება, იცხრილება, ხოლო წარმატებით დამთავრებული, ე. ი. ისეთები, რომლებიც მიზნებსა და გეგმებს შეეფერება, მაგრდება და მტკიცდება. თვითსწავლების ამ მეთოდს ამერიკელი ფსიქოლოგები ცდებისა და შეცდომების მეთოდს უწოდებენ. ცდებისა და შეცდომების ეს მეთოდი, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი მიზანდასახულობისა და მოფიქრების ბაზაზე, ვინაიდან მხოლოდ წინასწარი აზრი შეიძლება იყოს ამ ცდებისა და შეცდომების კონტროლისა და შეფასების კრიტერიუმი. რაც უფრო ნათელია ბავშისთვის მისი მოქმედიანობის მიზანი და გეგმა, მით უფრო შესძლებს იგი მათი შესრულების შესწავლას.

მაგრამ არა მარტო წინასწარი აზროვნება წარმოადგენს პრაქტიკულ ჩვევათა შეძენის ბაზას, არამედ პირიქითაც — პრაქტიკულ ცდათა და შეცდომათა პროცესი წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელზეც იზრდება, ყვავის და იფურჩქნება აზროვნებისა და დაგეგმვის ეს უნარი. ხშირად პრაქტიკაზე განცდილი მარცხი ბავშისთვის ნათელყოფს არა მარტო იმას, რომ მან ამის შესრულება არ იცის, არამედ მისი წინასწარი გეგმის ნაკლულევანებებსაც, დასახული მიზნის უმართებულობასა და განუხორციელებლობასაც. თავისი პრაქტიკული ცდებისა და შეცდომების პროცესში ბავში ხშირად შეასწორებს და გააუმჯობესებს ხოლმე თავის გეგმებს, გააზუსტებს და შესცვლის ხოლმე თავის მიზანს. აქ ჩვენს წინაშე სწარმოებს თეორიისა და პრაქტიკის, აზროვნებისა და კეთების დიალექტიკური ურთიერთქმედების პროცესი, რის შედეგადაც მაქსიმალურად მიზანშეწონილ გონივრულ ყოფაქცევას ვღებულობთ.

5. განმტკიცების რეაქცია. აღნიშნულ პროცესებთან ერთად იზრდება და მტკიცდება ბავშში ის რეაქცია, რომელსაც ზემოდ ჩვენ განმტკიცების რეაქცია ვუწოდეთ. ეს არის მიდრეკილება მოგროვებისადმი, შენახვისადმი და ყოველივე მიღწეულის, მოპოვებულისა და შეძენილის დაცვისადმი. ბავში უკვე აღარა ჰყრის მოწყენილ სათამაშოებს, არამედ აგროვებს და ინახავს მათ ყოველი შემთხვევისათვის. დაგროვების ეს ინსტინქტი, რომელიც ბავშში მყლავნდება, ვრცელდება არა მარტო მატერიალურ საგნებზე, არამედ ყველაფერზე, რაც

კი ბავშს ახლად აქვს შეძენილი. ის აგრეთვე აგროვებს, თავს უყრის ახალ სიტყვებს, სიმღერებს, ცოდნას, ჩვევებს, რომლებსაც ითვისებს. ყველამ ვიცით, თუ როგორ ამაყობს და ტრაბახობს ბავში ახალი სათამაშოთიც და ახალი ცოდნა-ჩვევებითაც ამა თუ იმ დარგში. — „მე ახალი ავტომობილი მაქვს". „მე ვიცი კითხვა და ასამდე თვლა". „მე ბევრი, ბევრი ფერადი შუშა მაქვს". „მე ზეპირად ბევრი, ბევრი ლექსი ვიცი" და სხვ.

ალბათ ყველა ჩვენგანს უნახავს რა ენერგიითა და დაჟინებით ვარჯიშობს პატარა ბავში თვლაში ან წერა-კითხვაში, როგორც კი იგრძნობს ერთგვარ წარმატებასა და მიღწევას ამ დარგში. ეს მისწრაფება ყოველივე იმის შენახვისა, განმტკიცებისა და დაგროვებისადმი, რასაც კი რაიმე ფასი სდევს, დიდ როლს ასრულებს ბავშის შემდგომ ზრდასა და განვითარებაში. ბავშის განვითარებულ აზროვნებაზე, გონივრული მიზნობრივი მოქმედიანობის და ამ მოქმედიანობის შედეგების მხედველობაში მიღებისა და შეფასების უნარზე დამყარებით ეს მიდრეკილება ყოველივე ფასიანის შენახვისა და დაგროვებისადმი სძენს ბავშს განუწყვეტელი და შეუფერხებელი ზრდისა და განვითარების უნარს, უხსნის მას გზას ნამდვილი გონივრული და მიზანშეწონილი ყოფაქცევისაკენ, რაზეც ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

6. ბავშებში მიზანშეწონილი ყოფაქცევის განხორციელების სიძნელენი. ბავშებში მიზნობრივი გონივრული მოქმედიანობის განვითარების ჩვენ მიერ მოხაზული გზა წარმოადგენს რეალური სინამდვილიდან გადმოღებულ მხოლოდ სქემატიურ ნახაზს. სინამდვილეში ეს გზა ისე სწორხაზოვანი არ არის, როგორც ჩვენ აქ გვაქვს მოხაზული. მას მრავალი მიხვევ-მოხვევა და გადახრა ახასიათებს. თუ ბავშისათვის უმეტესად მისაწვდომ რომელსამე დარგში, როგორიცაა, მაგალით., წმინდა საბავშო თამაშობისა ან ბავშის ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგი, ბავში შედარებით ადვილად და სწრაფად გაივლის ხოლმე ჩვენ მიერ აღნიშნულ გზას, სამაგიეროდ სხვა დარგებში, რომლებსაც მის წინაშე მოზრდილთა გარემო საზოგადოებრივი ცხოვრება გადაშლის ხოლმე, ბავში მათთან შეგუების პროცესში მრავალ სიძნელესა ხვდება. აქ მიზანშეწონილი ყოფაქცევის შესაძლებლობას ბავში ისე ადვილად ვეღარ იმორჩილებს.

რაც უფრო რთულია ცხოვრების მიერ წამოყენებული ამოცანა, ბავში, რა. თქმა უნდა, მით უფრო შეუიარაღებელი აღმოჩნდება მის

დასაძლევად, და მით უფრო ძნელი იქნება მისთვის ამ ამოცანისადმი გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის გამოჩენა. ამ ამოცანათა დაძლევისას ბავშის წინაშე წამოჭრილი ამოცანები შეიცავს შემდეგ ძირითად მომენტებს:

ა) გარემო ცხოვრების მიერ წამოყენებული მიზნის ასიმილიაციისათვის აუცილებელი იმპულსების სიღარიბე და სისუსტე. ხშირად ის მიზნები, რომლებიც მოზრდილთა ცხოვრებას ხელმძღვანელობენ, არ შეიძლება ბავშისათვისაც მიზნები იყოს. ბავშის ტვინში ჯერ კიდევ არ არის ის იმპულსები და მისწრაფებანი, რომლებიდანაც ეს მიზნები სდგება. მაგალითად, პატარებს ხშირად არ შეუძლიათ მოზრდილთა ცხოვრების ისეთი მიზნის აღქმა, როგორიცაა სისუფთავის დაცვა, თუ კი მათ წარსულ გამოცდილებაში და ახლანდელ განცდებში არა არის რა ისეთი, რასაც ეს იდეა უშუალოდ გააერთიანებდა. ზემოდ ჩვენ ვთქვით, რომ მიზანი ინტერესთა განსაზღვრული ჯამის გამაერთიანებელი ცენტრიაო. თუ არ არის ეს ინტერესები, როგორც შემადგენელი ნაწილები, არც მიზანი შეიძლება იყოს.

ბ) ყურადღების გამახვილების არასაკმაო უნარი, ყურადღების სისუსტე. თუ წმინდა ბავშური ინტერესების და ამ ინტერესებთან უშუალოდ დაკავშირებული საგნების ვიწრო სფეროში ბავში იჩენს ყურადღების გამახვილების საკმაო უნარს, სამაგიეროდ როდესაც იგი გარემო საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა და საგანთა ფართო წრეში ხვდება და მრავალი სხვადასხვა და ურთულესი გამალიზიანებლის გავლენას განიცდის, იგი ჰკარგავს ამ უნარს და დაბნეული, დეზორგანიზაციაქმნილი ხდება.

გ) გამოცდილების სიღარიბე. ბავშის განკარგულებაში მყოფი მცირე გამოცდილება, რასაც იგი ხშირად დიდი წარმატებით გამოიყენებს ხოლმე თავის პატარა საქმეებში, რა თქმა უნდა, სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდება ხოლმე გარემო საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ საქმეებში გასარკვევად.

დ) ლოღიკური აზროვნების სისუსტე. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი დახელოვნებით, თითქო ლოღიკის ყველა წესის დაცვით, აზროვნობს და ადგენს გეგმას სამი წლის ბავში. მაგრამ, რა თქმა უნდა, „სასიცოცხლო საკითხების“ მხოლოდ მეტად ვიწრო წრეში. როდესაც ეს „ჭკვიანი“ ბავში დადგება ცხოვრების სერიოზული ამოცანის წინაშე, რომლის გადასაჭრელადაც შეიძლება იგივე ლოღი-

კური ოპერაციები იყოს საჭირო, რომლებიც მან შეასრულა წინად, მაგრამ მის შაქარლამაზე უფრო რთული ობიექტების მეტ რაოდენობაზე, იგი, ცხადია, სრულიად უმწეო აღმოჩნდება, მით უმეტეს, რომ მოზრდილთა გარემო ცხოვრება ჩვენგან ზოგჯერ აზრთა მეტად რთულ ქსოვას მოითხოვს.

ე) მოქმედებათა ორგანოვბისა და მათი კოორდინაციის სისუსტე. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ბავშის სხვადასხვა ტეხნიკური ჩვევაც. ის მანიპულიაციები, რომლებსაც იგი ადვილად ასრულებს თავისი სათამაშოების წრეში, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის საკმარისი იმ რთულ მოქმედებათა შესასრულებლად, რომლებსაც თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სიძნელეებს, რომლებსაც ბავში ხვდება თანამედროვე ცხოვრებაში და რომლებიც წინ ეღობება განმტკიცებისადმი მისი მიდრეკილების განვითარებას. თუ ბავშს მისთვის მისაწვდომ მოქმედებებში ვარჯიშობა ჩვეულებრივ ჰგვრის სიამოვნებას და მისთვის ეს ხშირად თამაშად იქცევა ხოლმე, სამაგიეროდ განმტკიცება და ვარჯიშობა რთულ აქტებში, რომლებიც ძალების დიდ დაჭიმვას მოითხოვს, მისთვის დაუძლეველი შრომა ხდება, რომელიც სწრაფად ჰქანცავს ბავშს და მასში ზიზღის გრძნობას იწვევს. ეს დიდი სიძნელეები, რომლებსაც ბავში ხვდება, იმდენად მავნე და საშიში არ არის იმით, რომ ბავშს არ ძალუძს მათი დაძლევა, რამდენადაც იმით, რომ ბავშს ეს საერთოდ სწავლის სურვილს უკლავს. ძნელი ვარჯიშობა, იწვევს რა დაღლისა და ზიზღის გრძნობას, აფერხებს და ჰკლავს ბავშში საერთოდ ვარჯიშობისადმი მიდრეკილებას, თვით ადვილი და მისაწვდომი ვარჯიშობისადმიც კი. ფაფით შეშინებული ბავში დოს უწყებს შებერვას. სავსებით შესაძლებელია, რომ ბავშები, რომლებიც ისე ხალისიანად ჰკიდებენ ხელს სწავლას სწავლების პირველ წლებში, იმიტომ აიცრუებენ ხოლმე გულს სწავლაზე უფროს ჯგუფებში გადასვლისას, რომ იქ ხვდებიან მეტად ძნელ ამოცანებს, რომლებსაც ჩვენ მათ წინაშე ვაყენებთ.

მაშასადამე, ბავშის ბუნებრივი ზრდა და განვითარება, მასში გონივრული მიზანშეწონილი მოქმედების უნარისა და ამ მოქმედებაში ვარჯიშობისადმი მიდრეკილების განვითარება პირისპირ ხვდება მრავალ სერიოზულ დაბრკოლებასა და სიძნელეს თანამედროვე რთული სოციალური გარემოს მხრივ, რომელშიც ბავშს ცხოვრება უხდება.

ამ ცხოვრების მიერ წამოყენებული რთული ამოცანებისა და პრობლემების წინაშე ბავში ხშირად ქედს იხრის, იბნევა, ჰკარგავს თავისი ძალისა და უნარის რწმენას, ამას კი შედეგად მისი განვითარების შეფერხება და შეჩერება მოსდევს.

ბავშვებში გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული მოქმედიანობის უნარის აღზრდის ძირითადი გზები.

ყოველივე ზემოთქმული ცხადჰყოფს, თუ რამდენად რთულია ამოცანა ბავშისათვის მიზანშეწონილი ყოფაქცევის შესწავლებისა გარემო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ცურვის შესწავლა მხოლოდ ღრმა წყალში შესვლით შეიძლება. გარემო საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მიმართ მიზანშეწონილი მოქცევის შესწავლა შეიძლება მხოლოდ მთელ რიგ გონივრულ და მიზანშეწონილ მოქმედებაში ვარჯიშით სახელდობრ ამ მოვლენათა მიმართ. ჩვენ ვერ დავიმშვიდებთ თავს იმით, რომ ბავში თავის პატარა მიზანშეწონილ საბავშო საქმეებში ვარჯიშობს და ამით სწავლობს გონივრულ მოპყრობას გარემო ცხოვრების სერიოზული საქმეებისადმი. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ პატარა საბავშო ამოცანათა ჭკვიანური და წარმატებითი გადაწყვეტა კიდევ არ უზრუნველყოფს ბავშისათვის წარმატებას საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პირობებში. საჭიროა სერიოზული ვარჯიშობა სახელდობრ ამ სერიოზულ საზოგადოებრივ-მნიშვნელოვან საქმეებში.

აქ საჭიროა ჩვენი დამატებითი დახმარება, ურომლისოდაც ბავში საქმეს თავს ვერ გაართმევს. არსებითად, ეს ჩვენი დამატებითი დახმარება შეადგენს ჩვენი პედაგოგიური მუშაობის შინაარსს.

რაში მდგომარეობს ამ ჩვენი დამატებითი, პედაგოგიური დახმარების ძირითადი მომენტები. ამ ძირითად მომენტებს განსაზღვრავენ ზემოჩამოთვლილი სიძნელენი, რომლებსაც ბავში ხვდება გარემო ცხოვრების მოთხოვნებთან შეგუების პროცესში.

1. დახმარება მიზნის დასახვაში.

ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ პირველი სიძნელე, რომელსაც ბავში მოზრდილთა გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხვდება, ეს ეარის ამ ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამოცანათა გაუგებრობა და მიუწვდომლობა. ჩვენ მოვითხოვთ ბავშებისაგან სისუფთავესა და წესიე-

რებას, სიწყნარეს, ყაირათიანობას და სხვ., მათ ტვინში კი არ არის არავითარი მონაცემი, არავითარი იმპულსი, რომელსაც შეეძლებოდა ეს მოთხოვნები ბავშვებისათვის აქტუალურ, ცოცხალ მიზნებათ გაეხადა. ზემოდ ჩვენ ვთქვით, რომ მიზანი არის გაერთიანებული, შეთანხმებული იმპულსების ცენტრი, რომ იგი არის ფოკუსი, რომელშიც თავს იყრის მოთხოვნილებებისა და წადილების განსაზღვრული ჯამი. სისუფთავისა და წესიერების მოთხოვნა რომ ბავშის ნამდვილ ამოცანად გავხადოთ, საჭიროა წინდაწინ ვიზრუნოთ ბავშში იმ იმპულსებისა და ბიძგების დაგროვებაზე, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ამ მიზნის შედგენა. ამისათვის ჩვენ ვცდილობთ შევუქმნათ ბავშს ტვინში მთელი რიგი კავშირი სისუფთავესა და ჯანმრთელობას შორის, წესიერებასა და სიმარჯვეს და სამუშაოს ადვილად დაძლევას შორის და სხვ. ეს დაგროვილი კავშირები, თუ იგინი საკმაოდ ინტენსიური იქნება, შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ბავშების წინაშე დავაყენოთ, როგორც მიზანი, მოთხოვნა სისუფთავისა და წესიერების განსაზღვრული დონის მიღწევისა.

ეს არის პირველი საფეხური ჩვენი პედაგოგიური დახმარებისა ბავშისათვის გარემო ცხოვრებისადმი მისი შეგუების პროცესში. დახმარების ამ სახეს მომზადება ეწოდება. პედაგოგს აქ მხედველობაში აქვს ბავშების მომზადება ჩვენ მიერ მათ წინაშე დაყენებული სერიოზული მიზნებისა და ამოცანების აღქმისა და ასიმილიაციისათვის. ამ მუშაობაში ჩვენ, ცხადია, უნდა გამოვდიოდეთ იმ იმპულსებიდანა და მოთხოვნილებებიდან, რომლებიც ბავშს უკვე აქვს, მათი გაფართოვების მიზნით უნდა ვუკავშირებდეთ და ასოციაციით ვაბამდეთ მათ იმ ახალ იმპულსებსა და მოთხოვნილებებს, რომლებიც ჩვენ მიერ წამოყენებული მიზნის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. მაგალ., ზემომოყვანილ მაგალითში ჩვენ ვემყარებით ბავშის მოთხოვნილებას გახდეს ძლიერი და ჯანმრთელი, მის მისწრაფებას ზრდისა და წინსვლისადმი, მისი ღირებულებისა და ღირსების საზოგადოებრივი ცნობის მოთხოვნილებას, ვუკავშირებთ ყოველსავე ამას სისუფთავისა, წესიერებისა და ყაირათიანობის ცნებებსა და წარმოდგენებს, და ამ გაერთიანებული იმპულსებისა, წარმოდგენებისა და იდეების მთელ ჯამს ვაყალიბებთ გარკვეულ მიზნობრივ დავალებად — შეისწავლოს ბავშმა ხელ-პირისა და ყურების დაბანვა, კბილების წმენდა, მუშაობასა და ჭამაში სისუფთავის დაცვა და სხვ.

ამ მუშაობის ღირებულებას შეადგენს არა მარტო-ის, რომ იგი

ბავშს ჩვენი მიზნების აღქმისათვის ამზადებს, არამედ უმთავრესად ის, რომ იგი ასწავლის მას საზოგადოებრივ-ღირებული მიზნების დამოუკიდებლად დასახვას. როდესაც ჩვენ ვძენთ ბავშს ამ დამატებით იმპულსებს, თანდათანობით ვაგროვებთ მათ და თანდათანობითვე მიგვყავს იგი ჩვენ მიერ წამოყენებული მიზნისაკენ, ამით ვავარჯიშებთ მას მიზნის მომწიფების პროცესში. სახელდობრ აქ აქვს დიდი მნიშვნელობა მიზნის მომწიფების ამ პროცესს. ამ აზრით გაგებული პრინციპი მომზადებისა სწორედ ამით განსხვავდება მისი ჩვეულებრივი განმარტებისაგან ჩვენს ძველ პედაგოგიურ პრაქტიკაში, სადაც პედაგოგს წინადადება ეძლეოდა თვითეული მეცადინეობის წინ ბავშებში სათანადო განწყობილება შეექმნა. ჩვენ კი ვლაპარაკობთ არა ბავშის აგიტაციის შესახებ მეცადინეობის სწორედ დაწყების წინ, არამედ ბავშების ტვინში იმ აზრებისა და იდეების წინასწარ დაფრთხილად ჩანერგვის შესახებ, რომლებიც ჩვენ მიერ წამოყენებულ მიზნებსა და ამოცანებს საფუძვლად უნდა დაედოს.

ამ მიზნებს ბავშების წინაშე ანაზდეულად კი არ უნდა ვაყენებდეთ, არამედ უნდა ვცდილობდეთ მათი ჩანასახების დათესვას და ხელს ვუწყობდეთ მათ მომწიფებას ბავშის ტვინში. ეს მიზნის დასახვის სწავლებას ნიშნავს. რაც შეეხება აგიტაციას მეცადინეობის დაწყების წინ, ამ ეგრეთწოდებულ განწყობილების შექმნას, იგი ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა და მასწავლებელს იმედს უცრუებს. ბავშებს ჩვეულებრივ არ უყვართ ზედმეტი აგიტაცია. ხშირად ისინი დიდი მოუთმენლობით ისმენენ ამ შესავალ ბაასს და დაჟინებით სთხოვენ მასწავლებელს: „ახლა მუშაობას შევუდგეთ“-ო. მასწავლებლის ეს აგიტაცია ხშირად საწინააღმდეგოდ განაწყობს ხოლმე ბავშებს: „მასწავლებელი ასე ძალიან რომ გვარწმუნებს, ეტყობა მაინც და მაინც საინტერესო საქმე არ უნდა იყოსო“.

2. დახმარება ყურადღების გამახვილებაში, დასახული ამოცანის მოფიქრებასა, დაგეგმვასა და გადაჭრაში.

შემდეგი სიძნელე, რომელსაც ბავში ხვდება გარემო ცხოვრების მოთხოვნებთან შეგუების პროცესში, ეს არის, როგორც ზემოდაც ვთქვით, — გარემოს რთულ მრავალსახეობაში გარკვევისა და მისი გაგების სიძნელე.

აქ მასწავლებლის დახმარება უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიმართავს ბავშების ყურადღებას უმეტესად მნი-

შვნელოვანსა და არსებითზე, ეხმარება ბავშებს მათი წარსული გამოცდილების მაქსიმალურად გამოვლინებასა და ამ არსებითის გარშემო თავმოყრაში, უადვილებს მათ აუცილებელი დამატებითი გამოცდილებისა და ცნობების მიღებას, ეხმარება ამ უკანასკნელთა ასიმილიაციასა, გარკვევასა და წინანდელ გამოცდილებასთან დაკავშირებაში, იგი ეხმარება ბავშებს ყოველივე ამის საფუძველზე ლოგიკურად სწორე და გეგმაზომიერად მოიფიქრონ დასახული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელი ყველა ნაბიჯი და საშუალება.

ამ მუშაობის ღირებულებაც მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მასწავლებელი უადვილებს ბავშებს დასახული ამოცანის შესრულებას, არამედ უმთავრესად იმაში, რომ იგი მათ ასწავლის მათი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრას. ამას იგი აღწევს ამ დახმარების დანაწილებით და თავის დროზე მიწოდებით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დახმარება სჭირდება ბავშს როგორც ბიძგი მისი დამოუკიდებელი წინსვლისათვის. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელდობრ ამ დახმარების თავის დროზე მიწოდებას ბავშისათვის. ცუდია, როდესაც მასწავლებელი აგვიანებს თავის დახმარებას და ბავშს მეტად დიდხანს ამყოფებს დაუძლეველი სიძნელის წინაშე. ბავშს მაშინ ეკარგება თავისი ძალების იმედი, ეკარგება რწმენა საკუთარი თავისადმი, რომელიც ყოველგვარი წინსვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მაგრამ ასევე ცუდია, როდესაც მასწავლებელი ძალიან ჩქარობს თავისი დახმარებითა და რჩევით და ბავშს საშუალებას არ აძლევს საკმაოდ გამოიყენოს თავისი ძალღონე და დაბრკოლების დამოუკიდებლად დაძლევით გამოწვეული სიხარული განიცადოს.

3. დახმარება ტეხნიკური მუშაობის შესრულებაში.

განსაკუთრებით ძნელია მასწავლებლის როლი, როდესაც ბავში დგას ტეხნიკური ხასიათის სიძნელეთა წინაშე, როდესაც საჭიროა ბავშისათვის დახმარება ამა თუ იმ მისთვის უჩვეულო ფიზიკური მუშაობის შესრულებაში. აქ ბავშების დამოუკიდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. არავითარ კარნახს, რჩევას და ჩვენებას არ შეუძლია ბავშისათვის სრული წარმატების უზრუნველყოფა. მასწავლებელს შეუძლია, მაგალითად, სწეროს დაფაზე სუფთად და ლამაზად, შეუძლია ყოველნაირად ახსნას და განმარტოს თავისი მოძრაობანი, ბავშმა კი შეიძლება მაინც ვერ მოახერხოს ამის გამეო-

რება. ამ შემთხვევაში ერთად-ერთი საშუალება, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, არის ზემოაღნიშნული საშუალება სინჯვისა და შეცდომებისა. იგი ბავშისაგან მოითხოვს დიდ გულდადებას, დიდ მოთმინებასა და სიმტკიცეს. მასწავლებლის როლი აქ უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ წააქეზოს ბავშში და შეუნარჩუნოს მას ეს გულდადება, აგრეთვე რამდენადაც შესაძლებელია ააცილოს თავიდან და გაუადვილოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც მას გზაზე შეხვდება. მაგალითად, ზემომოყვანილ მაგალითში მასწავლებელმა, გარდა იმისა, რომ ბავშებს დაფაზე ნიმუშს უჩვენებს, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ფანქრის დაჭერასაც, რვეულის სწორე დადებასაც, კარგ განათებასაც და ყველა დანარჩენ საშუალებასაც, რასაც კი შეუძლია ბავშებს წერის პროცესი გაუადვილოს; მან უნდა იზრუნოს აგრეთვე ამ პროცესისადმი ბავშების ინტერესის შეუნელებლობაზე მათი წინსვლის თავის დროზე აღნუსხვის საშუალებით.

4. დახმარება ბავშებისათვის მათი მუშაობის შეფასებაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშების წინსვლის აღნუსხვის მომენტს. გარდა იმისა, რომ იგი წარმოადგენს ინტერესის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებას, იგი მით არის ძვირფასი, რომ ბავშებს საკუთარი მუშაობის დამოუკიდებლად შეფასებას ასწავლის. ამ საქმის შესწავლა მართლაც რომ ღირს. ბევრი მოზრდილი, რომელსაც საკმაოდ კარგად შეუძლია მუშაობა, ხშირად სრულიად უმწეო ხდება და იბნევა, როდესაც მას უხდება საკუთარი მუშაობის შეფასება. საქმე ისაა, რომ მუშაობის მიზანსა, გეგმასა და შედეგებს შორის არასოდეს არ არის სრული იგივეობა. კონკრეტული შედეგი აჭრელებულია ისეთი დეტალებით, შეიცავს მრავალ ისეთ ახალ ელემენტსა და წვრილმანს, რაც სრულებითაც არა ყოფილა გათვალისწინებული მიზანსა და გეგმაში. მეორე მხრით, ბევრი რამ, რაც გეგმაში იყო დასახული, ყოველთვის არ არის ხოლმე განხორციელებული შედეგში. მოქმედების პროცესიდანა და შედეგიდან მიღებული ეს ახალი შთაბეჭდილებანი შეეხლებიან ხოლმე თავდაპირველი აზრებისა და იდეების კვალს და ჰქმნიან არევ-დარევისა და რყევის მდგომარეობას. ამ მდგომარეობას უფრო ხშირად ბავში განიცდის. მას არ შეუძლია თავისი მუშაობის ნაყოფის შეფასება, ამიტომ მოგმართავთ დახმარებისათვის და დაჟინებით თხოულობს შეფა-

სებას. ამ უმწეო მდგომარეობას საკუთარი ნამუშევარის შეფასებაში მათთვის ხშირადზიანი მოაქვს. ბავში მთლად დამოკიდებული ხდება ვისიმე შემთხვევითი აზრისაგან და გზასა სცდება.

ბავშებს რომ საკუთარი ნამუშევარის დამოუკიდებლად შეფასება ვასწავლოთ, ისინი რაც შეიძლება ხშირად უნდა ვავარჯიშოთ ამაში. ხოლო მასწავლებლის დახმარებას ამ დარგში თავისი ავტორიტეტული აზრის გამოთქმა კი არ უნდა შეადგენდეს. მისი დახმარება უნდა შეიცავდეს თავისდროული დახმარების ყველა იმ მომენტს, რომელსაც ბავშებისათვის დამოუკიდებელი აზროვნებისა და ამოცანათა გადაჭრის სწავლებისას აქვს ადგილი. აღრიცხვა ბავშთა თვითაღრიცხვად უნდა გადაიქცეს.

5. დახმარება მიღწევათა განმტკიცებაში.

წარმატებათა და მიღწევათა აღნუსხვა და შეფასება წარმოადგენს საუკეთესო სტიმულს მიღწეულში ვარჯიშობისა და მისი განმტკიცებისათვის. ბავში თუ ნამდვილად რწმუნდება ამა თუ იმ პროცესის ღირებულებაში თავისი მუშაობის შედეგებისათვის, ეს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე გ ნ ე ბ ა წარმოადგენს საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ ეს პროცესები დროდადრო რეგულიარულად იქნას განმეორებული, რათა ბავშმა ისინი საბოლოოდ განიმტკიცოს და შეითვისოს. ბავშები, როგორც ზემოდაც ვნახეთ, სიამოვნებით ასრულებენ ამას, თუ კი ეს ვარჯიშობა ძალების დიდ დაჭიმვას არ მოითხოვს. ამას ისინი ხშირად ისე ექცევიან, როგორც სასიამოვნო თამაშს. ცუდია მხოლოდ, თუ ეს ვარჯიშობა ძალების მეტად დიდსა და დამქანცველ დაჭიმვას მოითხოვს.

ამიტომ პედაგოგის დახმარებას ამ დარგში უწინარეს ყოვლისა უნდა შეადგენდეს ამ ვარჯიშობის სწორე დანაწილება, მისი გულდასმით დანაწევრება და თ ა ნ დ ა თ ა ნ და ნელა მოზარდი სიძნელისა და სირთულის წესით დაწყობა.

მიზანშეწონილი გონივრული ყოფაქცევის აღზრდა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამები.

წინა თავში წამოყენებული ამოცანა ბავშებში გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ღირებული მოქმედიანობის უნარის აღზრდისა საბჭოთა აღზრდის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ეს ამოცანა საფუძვლად უდევს ჩვენს სასკოლო ამოცანებს. საბელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამის მთელ შინაარსს წარმოადგენს მთელი რიგი პრობლემა, რომელთაც ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება იძლევა. ასეთი პირობებია ყოფაცხოვრების გაჯანსაღების, მეურნეობის გაუმჯობესების, კულტურული დონის აწევის და მრავალი სხვა პრობლემა. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია სწავლების ყველა წლების პროგრამის თემების შინაარსის თუნდა სულ ზერელედ გადათვალიერება.

ზემოაღნიშნული პრობლემები და მათთან დაკავშირებული თეორიული საკითხები და პრაქტიკული ამოცანები წარმოადგენს, რა თქმა უნდა, მისაწვდომი ფორმით, მესასწავლ საგანს ჩვენი ბავშებისათვის და მომენტებს მათი მონაწილეობისათვის საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მუშაობაში.

ეს თეორიული და საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ მოწაფეები არა მარტო სწავლობდენ ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ასე თუ ისე დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს და ამ შესწავლასთან დაკავშირებით ასრულებდენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმეს, მასში მიზანშეწონილობის დაუნახავად და პერსპექტივების უქონლად. ეს მუშაობა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ თვით ბავშებმა თანდათანობით წამოაყენონ საკითხები, ჩამოაყალიბონ სათანადო ამოცანები, მოიფიქრონ მათი გადაჭრის საშუალებანი, დაისახონ გეგმები, განახორციელონ ისინი და სხვ.

ჩვენი პროგრამებით მუშაობა ნამდვილად მხოლოდ მაშინ გაავარჯიშებს ბავშებს გონივრულ მიზანშეწონილ მოქმედიანობაში და შესძენს მათ სათანადო ჩვევასა და ცოდნას, თუ ასე იქნება დაყენებული.

მასწავლებლის როლი აქ უმთავრესად უნდა მდგომარეობდეს იმ თავისდროულ გარკვეულად დანაწილებულ დახმარებაში, რომელზეც ამ თავის წინა განყოფილებაში იყო ლაპარაკი. მასწავლებელი ეხმარება ბავშებს მიზნობრივი დავალებების დასახვაში, მიმართავს ბავშების ყურადღებას იმისაკენ, რაც კი ამ დავალებაში ძირითადია და არსებითი, ეხმარება ბავშებს მთელი იმ გამოცდილების გამოვლინებაში, რაც ბავშებს

ამ დარგში აქვთ, ეხმარება დავალების გადაჭრისათვის საჭირო ცოდნისა და ცნობების მიღებაში და მათ დაკავშირებაში წინანდელ გამოცდილებასთან, ეხმარება დავალების გადაჭრის საშუალებებისა და გზების სწორე მოფიქრებაში და სხვ. თუ ბავშებს გაუჭირდებათ ამა თუ იმ ტეხნიკური მუშაობის შესრულება, მასწავლებელი იღებს ყველა ზომას ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც საჭიროა მუშაობის სწორე შესრულებისათვის, და ხელს უწყობს ბავშებს სიმტკიცის შეუნელებლობაში მუშაობის დროს წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად. ბოლოს მასწავლებელი ეხმარება ბავშებს შესრულებული მუშაობის აღრიცხვასა და შეფასებაში, აგრეთვე მუშაობის პროცესში შეძენილ მიღწევათა განმტკიცებაში.

ცხადია, აქ თქმული ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ბავშებმა თრთქმის უმასწავლებლოდ უნდა იმუშაონ და რომ მასწავლებელმა მხოლოდ დროგამოშვებით უნდა აღმოუჩინოს ხოლმე დახმარება. მასწავლებელი ბავშების მთელ მუშაობას განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს, მაგრამ ხელმძღვანელობს ფრთხილად, არა ბავშებისადმი მიმართული ბრძანებებისა და ავტორიტარულ დავალებების საშუალებით, არამედ მათთან ერთად მუშაობის თვითეული ნაბიჯის მოფიქრების საშუალებით.

უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ, წესიერად მოწყობილ კომპლექსით მუშაობისას როგორ ვარჯიშობენ ბავშები გონივრულ, მიზანშეწონილ საზოგადოებრივ-ღირებულ მოქმედიანობაში, ხოლო მასწავლებელი როგორ ეხმარება ბავშებს ამ მუშაობაში, მოვიყვანოთ კომპლექსის „ჯანმრთელობის დაცვა“-ს დამუშავების აღწერა, მოცემული რიეესის წიგნში — „მიზნობრივ დავალებათა მეთოდი I საფეხურის სკოლაში.“.

კომპლექსი „ჯანმრთელობის დაცვა“.

სწავლების პირველი წელი

1. როგორ დავიცვათ თავი ქუნთრუშისა და სხვა გადამდებ სნეულებათა ეპიდემიებისაგან?

პრობლემის აქტუალობა.

ეს იყო ოქტომბრის მერვე წლის თავის უქმობის ორი კვირის შემდეგ. პიონერთა რაზმთანა და ქარხანასთან ერთად, რომლებთანაც დაკავშირებული ვართ, ჩვენ გამალებით ვემზადებოდით დღესასწაულისა-

თვის. მაგრამ მზადებამ უქმად ჩაგვიარა. დღესასწაულის სწორედ ორი დღის წინ ჩვენს სკოლაში აღმოჩენილი იქნა ქუნთრუშით დაავადების შემთხვევები და სკოლა დროებით დაიხურა. ბავშები მეტად დააღონა იმ გარემოებამ, რომ მათ გაფაციცებულ მზადებას დღესასწაულისათვის ასეთი ბედი ეწია. ვერაფერმა ნუგეშმა ვერ გასჭრა, ისე დიდი იყო ბავშების მწუხარება. დღესასწაულის ჩაშლით ბევრი ბავშის გული დაიჩაგრა. დავპირდით, სკოლაში დაბრუნებისთანავე გაგიმართავთ საღამოსო, მაგრამ ამისი დიდი იმედი არა ჰქონდათ და სკოლიდან გულჩაკლულები და თავჩაქინდრულები წავიდენ.

ქუნთრუშა აღმოჩენილი იქნა არა მარტო ჩვენს სკოლაში, არამედ მრავალ სხვა სკოლაშიც. ეპიდემია საერთოდ მთელს ქალაქს მოედო და იგი რომ უფრო მეტად არ გავრცელებულიყო — ყველა სკოლა დროებით დაიხურა სახალხო განათლების განყოფილების განკარგულებით.

პრობლემის დაყენება ბავშების წინაშე.

მეცადინეობის განახლების პირველი დღეა. ბაასია იმის შესახებ, თუ როგორ გაატარა თვითეულმა ოქტომბრის დღესასწაული; ბავშები დაჟინებით კითხულობენ: ასე დიდხანს რატომ არ დაიწყო მეცადინეობაო (სკოლა მთელი ორი კვირა იყო დახურული). ირკვევა, რომ ქუნთრუშა მძვინვარებს ჩვენს ქალაქში და რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ზოგიერთი ბავში უამბობს ამხანაგებს, როგორ იყო ავად ქუნთრუშით და როგორ მიმდინარეობდა ავადმყოფობა. **ბ.** ახალი მორჩენილია ქუნთრუშის შემდეგ და ის დაწვრილებით უამბობს ამხანაგებს, თუ როგორ გრძნობდა თავს ავადმყოფობის დროს და როგორ არჩენდენ.

ბუნებრივად წამოჭრილი თემისადმი ინტერესის უფრო მეტად გაღვივების მიზნით მასწავლებელი უკითხავს ბავშებს სათანადო მოთხრობას, რომლიდანაც ცხადი ხდება, თუ რა სიფრთხილეა საჭირო, რომ ავად არ გახდე. „კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა — და სკოლას ხელახლა დახურავენ. მთელი ზამთარი ისე გაივლის, რომ მეცადინეობა არ გვექნება“.

ბოლოს კლასში მოდის მეტად სამწუხარი ამბავი, რომ მოკვდა ჩვენი **ბ.** (იმავე ჯგუფის ბიჭი, თუმცა სულ სხვა ავადმყოფობისაგან და არა ქუნთრუშისაგან). „დასაფლავებასაც კი ვერ დავესწარითო“, — შეწუხებული ამბობენ ბავშები (ვერ დაესწრენ მეცადინეობის შეწყვეტის გამო). მასწავლებლის წინადადებით მთელი ჯგუფი მიდის დარ-

ბაზში, სადაც სამგლოვიარო მარშს უკრავენ; მარშის გათავების შემდეგ ჯგუფი დაბრუნდა კლასში; ყველა გარს შემოეხვა გარდაცვლილის პატარა ძმას და დიდხანს ეკითხებოდენ, რამდენ ხანს იყო ავად და რატომ ვერ შესძლეს მისი გადარჩენაო.

მასწავლებელმა, ბავშებს ასეთ გუნებაზე დადგომა რომ შეამჩნია, უამბო, რომ ასეთ შემთხვევებში დიდები გაზეთში ბეჭდავენ ხოლმე განცხადებებს, რომლებითაც თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის მახლობლებსო. ბავშებს მოეწონათ ეს აზრი და განაცხადეს, რომ მათაც სურთ „მისწერონ მშობლებს გაზეთის საშუალებით“. მასწავლებელმა არ დაუშალა. თვითეული შეუდგა თანაგრძნობის ინდივიდუალურად შედგენას, მერე დიდი ყურადღებით მოისმინეს ყველა ინდივიდუალური ნამუშევარი და ამოირჩიეს ის, რომელიც უმრავლესობას მოეწონა. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს განცხადების მიღებული ტექსტის გადაწერა და გაზეთის რედაქციაში მიტანა.

რამდენიმე ხანს კიდევ გაჰყვათ ბავშებს სამგლოვიარო განწყობილება. ცოტა რომ გადაავიწყდათ, მასწავლებელმა წინადადება მისცა შემდეგი სასკოლო მუშაობა დაეწყოთ იმით, რომ გასცნობოდენ, თუ „რა გადამდები სნეულებებია, რომლებიც სახიფათოა ბავშებისათვის, და როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა“. მკითხველისათვის ნათელია, რომ ამ შექმნილ განსაკუთრებულ გარემოებაში ეს წინადადება სრულიად ბუნებრივი იყო. ბავშებმა ჩაიწერეს რვეულში მორიგი დავალება, რომლის შესრულებასაც უნდა შესდგომოდენ. იგი ასე იყო ჩამოყალიბებული: „რა უნდა გავაკეთოთ ახლა? უნდა გავიგოთ, რა საშიში გადამდები სნეულებანია ჩვენში და როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა“.

სად ვაწყობთ ექსკურსიას, რას ვიგებთ და აქედან რა დასკვნა გამოგვყავს.

ბავშებს ეძლევათ დავალება სახლში: უნდა გაიგონ, რა სნეულებებით ყოფილან ან არიან ავად შინაურები. მათ მიერ მოტანილ ცნობებს ვისმენთ მეორე დღეს. ირკვევა, რომ ყველაზე გავრცელებული გადამდები სნეულებებია: ქუნთრუშა, წითელა, მუნი. ბავშები უამბობენ ერთმანეთს, თუ როგორ შიმდინარეობს თვითეული ეს ავადმყოფობა, როგორ ჰყავდა ავად ბავში მეზობელს: „დიდი სიცხე ჰქონდა. უ, რა წითელი იყო! მერე ისე გაფითრდა. ო, როგორ გაფითრდა!“ ზოგი ბავში ლაპარაკობს მუნზე, მაგრამ ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ე-ს ლაპარაკი,

რომელიც უამბობს ამხანაგებს, თუ როგორ იყო ავად წითელათი: „სკოლაში არ დავიარებოდი. ტანზე გამოყრილი მქონდა, თვალები „მოჭუტული“ მქონდა და ცრემლები მომდიოდა“. ო., რომელსაც აგრეთვე მოხდილი აქვს წითელა, ეკითხება, შენ უმცროს ძმებს არ გადაედოთო. „გადაედოთ“, უპასუხა ე-მ. მასწავლებელი ეკითხება ბავშებს, შეიძლება თუ არა კაცმა ისე მოუაროს თავს, რომ წითელა არასოდეს არ შეხვდესო. იწყება დიდი დავა იმის შესახებ, ყველა „მოვალეა“ თუ არა წითელათი იყოს ავად. ზოგი ამტკიცებს, რომ წითელა მხოლოდ ბავშებს შეხვდებათ ხოლმე: „თუ ბავშობისას არ გახდი ავად—მორჩა!.“ ზოგი კი ამტკიცებს, რომ წითელათი ავად გახდომა აუცილებელია, „თუნდა ას წლამდე“.

ყველა მასწავლებელს მიმართავს, უნდათ გაიგონ იმის აზრი. მასწავლებელი ეუბნება, რომ „ეს უნდა გამოვიკვლიოთო“. „ეკითხოთ ექიმებს, წავიდეთ ისეთ ადგილას, სადაც არიან ყველა სნეულების სპეციალისტი ექიმები. იქ მივიღებთ პასუხს ყველა საკითხზე, რომელიც კი ჩვენ გვაინტერესებს“.

— იცით, რა ადგილია, სადაც ჩვენ წავალთ?—გაისმა სხვადასხვა პასუხი: „საავადმყოფოში“, „ბაგაში, იქ ბევრი ექიმია“. „ამბულატორიაში—იქ რეცეპტებს იძლევიან, ოპერაციებს აკეთებენ“.

მასწავლებელი ეკითხება ბავშებს, ხომ არ იციან რა ჰქვია იმ დაწესებულებას, რომელიც ყოველგვარ საექიმო დახმარებას აწყობს. არავინ არ იცის. მასწავლებელი უხსნის, რომ ეს არის ჯანმრთელობის საოლქო განყოფილება, და რომ, მაშასადამე, იქ შეიძლება ყველაფრის გაგება, რაც კი გვაინტერესებს. ბავშები იმუშავებენ ჯანმრთელობის საოლქო განყოფილებაში მოსაწყობ ექსკურსიის გეგმას: „ჩვენი კითხვები ჯანმრთელობის საოლქო განყოფილებას“. აქ მოყვანილია ყველა ის კითხვა, რომლებსაც ბავშები საუბრის დროს იძლეოდენ, უმთავრესია ისინი, რომელთა გამოც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი.

აი ჯანმრთელობის განყოფილებისათვის დაყენებული კითხვები:

1. სად უფრო მეტია ქუნთრუშით, წითელათი და მუნით დაავადება: ქალაქის ცენტრში თუ განაპირა უბნებში?

2. რა დროს უფრო ხშირია ხოლმე დაავადების შემთხვევები?

3. წითელა მარტო ბავშებს შეხვდებათ ხოლმე თუ დიდებსაც?

4. შეიძლება წითელასაგან თავის დაცვა თუ მით დაავადება „აუცილებელია“?

5. რამდენია ჩვენს ქალაქში ქუნთრუშითა, წითელათი და მუნით ავადმყოფი?

ჯანმრთელობის განყოფილებაში მიგვიღო ექიმმა, რომელიც ახლო იცნობდა ჩვენს სკოლას, და ამიტომ ექსკურსიამ სავსებით მიაღწია დასახულ მიზნებს.

ჯანმრთელობის საოლქო განყოფილებაში.

ბავშებს განსაკუთრებით აინტერესებდა საკითხი, შეიძლება თუ არა ავადმყოფობისაგან თავის დაცვა (ეს ხომ მათი ძირითადი დავალება იყო). „ქუნთრუშა თუ მოხდილი მაქვს, შემიძლია ვიჯდე ავადმყოფთან?“ ექიმი უპასუხებს: „შენ თითონ არ გახდები ავად, მაგრამ შეგიძლია ავადმყოფობა სხვას გადასდო, მაგალითად ამხანაგს“. ე-ს ძალიან აინტერესებდა საკითხი, ქუნთრუშათი დიდებიც ხდებიან ავად თუ არა. როდესაც ექიმისაგან სათანადო პასუხი მიიღო, უცებ მოჰყვა უჩვეულო ამბავს: „იცით, ექიმო, ჩვენს ეზოში ერთ ბიჭს არავისგან არ გადასდებია ავადმყოფობა, ისე გახდა წითელათი ავად“. ექიმი უხსნის, რომ ეს შეუძლებელია, რომ ის ალბათ ისეთ ადგილას იყო, სადაც ავადმყოფი იმყოფებოდა და მან კი არ ოცოდა. და ასე შემდეგ.

მეორე დღეს სწარმოებს ექსკურსიის შედეგის დამუშავება. პირველ საკითხზე, თუ სად უფრო მძვინვარებს ეპიდემია — ქალაქის ცენტრში თუ განაპირა უბნებში, პასუხი მოცემულია ჯანმრთელობის განყოფილებიდან მიღებულ ცნობაში. იგი გვიჩვენებს, რომ დაავადების შემთხვევები განაპირა უბნებში გაცილებით მეტია, ვიდრე ცენტრში. მიზეზები? ფ. ემყარება ექიმთან საუბარს და განმარტავს: „იმიტომ, რომ განაპირა უბნებში პატარა სახლებია და მასთან ჭუჭყიანი“. ხ. დასძენს: „იმიტომ რომ რამდენიმე ბავში ერთ ლოგინში წვება“. ლ. აღნიშნავს, რომ „დიდ ქალაქში შპალიერიანი სახლებია, ოთახებში—დიდი საწოლები დგას, იქ კი, განაპირა უბნებში—სახლები ხისაა“. ამ საკითხზე კლასის საერთო პასუხი, როგორც დასკვნა, ასეთია: „განაპირა უბნებში დაავადების შემთხვევები ხშირია იმიტომ, რომ იქ ვიწროდ და ჭუჭყიანად ცხოვრობენ“.

მეორე საკითხის შესახებ, თუ წლის რა დროს უფრო გავრცელებულია გადამდები სნეულებანი, პასუხი აგრეთვე მოცემულია ცნობაში: დაავადება უფრო ხშირია შემოდგომაზე და ზამთარში (აქედან გამოგვყავს ფრიად სერიოზული დასკვნა, რომ სწორედ ახლა მეტად საშიში დროა და საჭიროა თავს განსაკუთრებით გავუფრთხილ-

დეთ). რათ ხდება ასე? ე. გვიხსნის: „ზაფხულში შეიძლება ბაღში წასვლა, აიღებ პურს და გაფრინდები, ზამთარში კი სახლში უნდა იჯდე“. ბ. — „ზაფხულში კიდევ აგარაკზე წასვლა შეიძლება“. კ. დასძენს, რომ „ზამთარში ბევრი ბავში პირს არ იბანს და ჭუჭყიან ტანისამოს იცვამს“. ა-ს აზრით, როდესაც ადამიანს „ფეხები უცივდება, ყველა სენს ადვილად გადაეყრება“.

განსაკუთრებული ინტერესით უკეთებენ ჯამს დავას იმის შესახებ, აუცილებელია თუ არა წითელათი დაავადება. ბავშებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმის განცხადებამ, — ადამიანები რომ ჭუჭყიანად არა ცხოვრობდენ, ავად არ გახდებიანო. — „აი მე გერმანიაში ვიყავი, იქ არავინ არა ხდება წითელათი ავად, იმიტომ რომ სუფთად ცხოვრობენ“. მასწავლებელი თავის მხრივ დასძენს, რომ მისი ნაცნობი, რომელიც უკვე 40 წლისაა, ჯერ არ ყოფილა ავად წითელათი, იმიტომ რომ სუფთად ცხოვრობს.

ამ დასკვნამ, რომ შეიძლება ადამიანი არ გახდეს წითელათი ავად, დაიფაროს მისგან თავი, მთლად უკუაგდო ის წარმოდგენა, რაც მათ ოჯახიდან მოჰყვათ. იქ ძველათგანვე განმტკიცებულია ასეთი ჩვეულება: რადგან ბავში წითელათი ავად გახდა და ავადმყოფობა კარგად მიმდინარეობს, ჯანსაღ ბავშს აწვენენ ავადმყოფის ლოგინში: სჯობს ახლავე მოიხადოს, როდესაც ავადმყოფობა ნორმალურად მიმდინარეობს, თორემ შეიძლება მერე უარესი იყოსო. ზოგჯერ ამას სჩადიან იმ მოსაზრებით, რომ „ბარემ ყველამ ერთად მოიხადოს და გავთავისუფლდეთო“. ბავშებისათვის ახლა ნათელი გახდა ასეთი საქციელის ველურობა. და თვითეული ბავში მოუთმენლად ელოდა, თუ როგორ მივიდოდა სახლში და ამ „აღმოჩენას“ დედას გაუზიარებდა. მასწავლებელი ეკითხება: „იცით, როგორ უნდა აუხსნათ? შეგიძლიათ დაუმტკიცოთ დედას, რომ ეს სწორედ ასეა?“ ილ. — „ვიცით. დედას ჩვენ გაკვეთილს მივცემთ.!“

ექსკურსიიდან მიღებული ყველა შედეგი მზად არის, აღბეჭდილია. მასწავლებელი უკითხავს ბავშებს მოთხრობას, ერთმა დედამ როგორ იჩქარა და თავისი ბიჭი გააგდო სკოლაში, როცა ის ჯერ კიდევ მთლად გამოკეთებული არ იყო ავადმყოფობის შემდეგ, და ამას რა მოყვა შედეგად.

ლიტერატურული დამუშავების შემდეგ იწყება მათემატიკური დამუშავება ტაბულებისა და ცნობებისა, რომლებსაც ისინი თავისი დასკვნების გამოყვანაში ხმარობდენ. შედეგებს გამოხატავენ დიაგრამებით.

მეცადინეობის გათავებისას მივიღეთ ადგილობრივი გაზეთის მორიგი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია მათი თანაგრძნობა გარდაცვლილი ამხანაგის მშობლებისადმი. ბავშები კმაყოფილი არიან განცხადებით, მაგრამ კიდევ სწუხან ამხანაგის სიკვდილს.

ექსკურსია სანგანათლების განყოფილებაში.

ზემოაღწერილი ექსკურსიით მიღებული დასკვნების უფრო მეტი გაღრმავების მიზნით მივდივართ კიდევ სანგანათლების განყოფილებაში, სადაც ბევრი საილუსტრაციო მასალაა (კარტოგრამები, სურათები, პლაკატები და სხვ.).

ამ ექსკურსიის დროს ბავშები მეტად დააინტერესა სანგანათლების განყ. ექიმის განცხადებამ, რომელმაც სთქვა, რომ სნეულებათა გამავრცელებლები მიკრობები არიანო.

ბავშები დიდხანს აკვირდებოდენ სურათს, რომელზეც მიკრობების გამრავლებაა გამოხატული. შემდეგ ისინი დააინტერესა პლაკატმა, რომელზეც იდეალური სისუფთავის წესრიგია გამოხატული.

სანგანათლების განყ. ჩატარებული ექსკურსიის დამუშავება. ექსკურსიის დროს ნახულის განზოგადოებამდე მასწავლებელი ეკითხება ბავშებს, სასარგებლოა თუ არა, მათი აზრით, ისეთი დაწესებულება, როგორიცაა სანგანათლების გან. ყველა ერთხმად უპასუხებს: „სასარგებლოა“. ი. განმარტავს: „იქ მუშებს აჩვენებენ, როგორ ხდებიან ავად და როგორ უნდა თავის დაცვა“. გ. — „იქ ბევრი მუშა დადის, მათ ლექციებს უკითხავენ, კინოში უჩვენებენ, როგორ უნდა დაიცვან თავი ავადმყოფობათაგან“. — მასწავლებელი: „მიიღეთ იქ პასუხი თქვენს კითხვაზე, როგორ უნდა დავიცვათ თავი გადამდებ სნეულებათაგან?“ გ. — „ჩვენ გავიგეთ, როგორ იბრძვიან ჩვენს თავზე მიკრობები: იმათ ძალიან უყვართ ჭუჭყი“. ი. — „ისინი იბრძვიან მანამდე, ვიდრე ექიმი წამალს მოგვცემს და დახოცავს იმათ“. ხ. — „არის ისეთი მიკრობები, როგორც ჯოხები, და არის მრგვალებიც“. მ. — „არის მანქანა, რომლითაც შეიძლება მიკრობების დანახვა“. ყველა ერთხმად ამბობს: „მიკროსკოპი“. მ. განაგრძობს თავის განმარტებას: „მიკრობები ძალიან პატარებია; როდესაც ჩვენ ჭუჭყიანები ვართ და სუფთა საცვლებს არ ვიცვამთ, ისინი შეძვრებიან ხოლმე ჩვენს სხეულში, მაშინ იქ შეუშვებენ ხოლმე წამალს, იქ ბრძოლა იწყება და მიკრობები იხოცებიან“.

მასწავლებელი ეკითხება, ამ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლის დასასრული თვით ორგანიზმზეა დამოკიდებული თუ არა. ხ. უპა-

სუხებს, რომ „უფრო იტანს სუფთა, ჯანსაღი ადამიანი“. ი. — „ბევრი უნდა ჭამო, რომ ბევრი სისხლი გქონდეს“. ხ. — „ჭუჭყიან კაცს, თუ მას ჭრილობა აქვს, მიკრობები უფრო ეტანებიან, იმიტომ რომ იმათ ჭუჭყი უყვართ“. ე. — „ტკიპებს თითებს შუა ცხოვრება უყვართ. ისინი იქ კვერცხებსა სდებენ და ბევრი მუწუკი ჩნდება“. ილ. დასძენს, რომ „ადამიანს კანში ბევრი ნახვრეტი აქვს — მიკრობები აი იქიდან ძვრებიან. ღამეობით, როცა დასთბებაო ხოლმე, ისინი დაცოცავენ კანზე. ერთი ექიმი ამის შესახებ გაზეთში სწერს“.

ბაასიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ბავშებს დაახლოვებით სწორე წარმოდგენა შეექმნათ იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგება და როგორ ვითარდება ავადმყოფობა. ამ წარმოდგენის გასაღრმავებლად კითხულობენ სათანადო წერილს, რომელშიც ირკვევა ექიმის მიერ გამოწერილ მალამოს როლი: „უსვამენ მალამოს, როდესაც მიკრობი ჯერ კიდევ ხელზეა, მერე ხელთან ერთად უსვამენ ჭუჭყსაც. მაშინ ხელი რჩება“. წერილის წაკითხვის შემდეგ განვაგრძობთ ჯანმრთელობის განყოფილებაში მიღებული ცნობის დამუშავებას დაავადების შესახებ.

მეორე დღეს ვჩერდებით დეზინფექციისა და იზოლიაციის საკითხზე. მასწავლებელი: „აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, თუ როგორ დავიცვათ თავი ავადმყოფობისაგან. მაშინ რა უნდა ვქნათ, როცა ვინმე ავად გახდება? სად უნდა წავიდეთ, რა ზომები უნდა მივიღოთ? ამის ცოდნა ძალიან საჭიროა, როცა ეპიდემია მძვინვარებს.

ბავშები იძლევიან პასუხს ამ საკითხზე. ხ. — „საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ“. ი. — „იქ ბევრი ექიმებია, ბევრი დებია“. მასწავლებელი ეკითხება, რატომ დებს არ ედებათ ავადმყოფობა. ილ. — „დებს ხალათები აცვიათ და ხელებზე კარბოლის სიმჟავე აქვთ დასხმული“. მასწავლ. — „არ იცით, ბავშებო, რისთვის არის ეს კარბოლის სიმჟავე?“ ილ. — „დეზინფექცია“. მასწ. — „რისთვის აკეთებენ დეზინფექციას?“ ი. — „კარბოლის სიმჟავის სუნი სწამლავს მიკრობებს, რომ ისინი ჯანსაღებს არ შეაცოცდენ“. ო. — „მე რომ მოვრჩი, ჩვენსა ქალალდი დაახრჩოლეს“. გ. — „დეზინფექციას როცა აკეთებენ, დარაბებსა ხურავენ“. მასწ. — „რათა ხურავენ?“ ილ. — „მიკრობები რომ არ გაფრინდენ“. მასწ. — „საავადმყოფოში ავადმყოფებს მათ ტანისამოსს რად ჩამოართმევენ ხოლმე?“ ი. — „სოდაში და კარბოლის სიმჟავეში ხარშავენ. მიკრობებსა ხოცავენ“. ილ. — „დე-

ზინფექციის შემდეგ ადამიანს თვალები ეწვის. 2 კვირას არ შეიძლება ოთახში შესვლა". ყოველივე ეს პასუხს იძლევა მასწავლებლის მიერ დაყენებულ კითხვაზე, თუ როგორ იქცევიან იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე გადამდები სნეულებით გახდება ავად. მასწავლებელი თავის სიტყვაში უფრო მეტად ანვითარებს წამოყენებულ დებულებებს, გამორკვეულის დასადასტურებლად კითხულობს კიდევ სათანადო მოთხრობას, შემდეგ კი ყველანი სწერენ შესაჯუმლებელ მუშაობას შემდეგ თემაზე: „როგორ გავიგეთ, თუ რა არის გადამდები სნეულებანი, და როგორ დავიცვათ მათგან თავი". შემდეგ კოლექტიურად ჩამოაყალიბეს ის დასკვნები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ. ეს დასკვნები გამოვხატეთ სპეციალურად დამზადებული პლაკატით. აი მისი შინაარსი.

ავადმყოფო, გახსოვდეს რა უნდა გააკეთო!

(ეს ნიმუში ბავშებმა ისესხეს სანგანათლ. განყ-ში. მათ სახელდობრ ეს ბრძანებითი გამაფრთხილებელი კილო მოეწონათ).

1. არ მისცე ჯანსაღს შენი ტანისამოსი.
2. ჯანსაღთან ერთად არ დაიძინო.
3. შენი საცვლები კარგად უნდა გამოიხარშოს.
4. ოთახში ჰაერი ხშირად უნდა გაიწმინდოს.
5. უნდა გაკეთდეს დეზინფექცია.
6. ყოველთვის სუფთა უნდა იყო.
7. 6 კვირის გასვლამდე კლასში არ გამოცხადდე.

ჯანსაღო, გახსოვდეს!

1. მიკრობებს სისუფთავისა ეშინიათ, ამიტომ სუფთა იყავი.
2. უთხარი დედაშენს, რომ წითელათი დაავადება აუცილებელი არ არის.
4. ხელები დაიბანე.
5. იატაკზე არ დააფურთხო.
6. მუნით დაავადებულს ხელს ნუ ჩამოართმევ.
7. არ მიხვიდე იქ, სადაც ავადმყოფია.

მაშასადამე, ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ დავიცვათ თავი გადამდები სნეულებისაგან. ეს მეტად დიდი მიღწევა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენი უკულტურობის პირობებში ბავშების მიერ ელემენტარული პროფილაქტიკის ასეთი ცოდნა მეტად

აუცილებელი საქმეა. ამით უთუოდ შეიძლება ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ შევუწყოთ ხელი დაავადებათა რიცხვის შემცირებას. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ცნობები, როგორიცაა იმის ცოდნა, თუ რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ვინმე ავად გახდება, — ვინაიდან ავადმყოფს ხშირად დიდხანს გააჩერებენ ხოლმე, რასაც ბევრჯერ სამწუხარო შედეგი მოსდევს.

მაგრამ ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ კომპლექსით „ჯანმრთელობის დაცვა“, არ განისაზღვრებოდა იმით, რომ ბავშვებისათვის მარტო ეს, მართალია მეტად მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ცნობები შეგვეძინა. ჩვენ გვწადდა აგრეთვე შეგვეტანა ს კ ო ლ ა ს ა დ ა ო ჯ ა ხ შ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ-ჰ ი გ ი ე ნ უ რ ი წ ე ს ი ს ი ბ ი.

(დასასრული იქნება)

ამ ინფორმაციას გამოსაგზავნად

ტ ფ ი ლ ი ს ი

რუსთველის პროსპექტი, 31

განათლების სახალხო კომისარიატი

ჟურნალის **„ახალ სკოლისაკენ“**

რედაქცია

მსურს ჩავეწერო „დაუსწრებელ კურსებზე“

ზუსტი მისამართი	
სახელი და გვარი	
რა ტიპის სასწავლებელში მუშაობთ	
ასაკი	
პარტიულობა	
პედაგ. სტაჟი	
თანამდებობა	
განათლება (რა სასწავლებელი დაამთავრეთ ან სად სწავლობდით და როდის?	
რა კურსები გაქვთ გავლილი 1921 წლის შემდეგ?	
ინდივიდუალურად აპირებთ კურსების მასალის დამუშავებას თუ წრეში?	
რამდენ საათს ანდომებთ დღეში სასკოლო და საზოგადოებრივ მუშაობას?	
რა საკითხები გაინტერესებთ პროგრამაში ჩამოთვლილიდან ან პროგრამის გარეშე?	
რა პედაგ. ჟურნალები გაქვთ გამოწერილი?	

ხელის მოწერა:

შ ი ნ ა ა რ ს ი

83

დიდი გარდატეხის წელი სტალინი 5

კულტურული მშენებლობის 5-წლიანი გეგმა. . შ. სიხარულიძე 19

საბჭოთა მეურნეობის განვითარების მთავარი ხაზები და ახალი ფაქტორები ნ. ელიავა 38

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

როგორ მუშაობენ ჩვენი სასწავლებლები ზაფხულში დ. თურდოსპირელი 62

სკოლის მონაწილეობა თესვის კამპანიაში ა. მაჭარაშვილი 71

საზმეცნიერების კაბინეთი და საზმეცის მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხი ს. რეხვიაშვილი 73

ოფიციალური ნაწილი

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი ენტუზიაზმით გავასალოთ ცირკულარი 76

სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ცირკულარი . . . 78

დაუსწრებელი კურსები

გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის აღზრდა (მეცხრე დავალება) 2

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი რ. ნიკოლაძე.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პროსპ. № 91.

მთავლიტ. № 1569. შეკვ. № 119. ტირაჟი 3200